186
1969

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 3

მაისი—ივნისი

1969 წ.

71.168

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 3 მაისი—ივნისი 1969 წ.

შ ი ნ ა ა რ ს ი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

39. ფიზიკური მეცნიერების დარგში მეცნიერულ გამოკვლევათა მდგომარეობისა და მათი განვითარების ზომების შესახებ

40. გამომცემლობა „ხელოვნების“ შექმნის შესახებ

41. ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო საგეგმო კომისიების და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქ თბილისის, ქუთაისისა და რუსთავის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების საგეგმო კომისიების შემადგენლობაში ისეთი სტრუქტურული ქვეგანაყოფების შექმნის შესახებ, რომლებიც ფასების საკითხებზე იმუშავებენ

42. ძირითადი ფონდების გადაფასებისა და საამორტიზაციო ანარიცხთა მოქმედი ნორმების დაზუსტების შესახებ

43. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის საკითხები

44. ფრინვლის შესასყიდი ფასების გადიდების შესახებ

45. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ

46. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დამზადებათა სახელმწიფო კომიტეტის კომბინირებული საკვების მრეწველობის საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის მოწყობის შესახებ

47. მსუბუქი მრეწველობის პროდუქციის საბითუმო ფასების შემდგომი სრულყოფის შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

48. კავკასიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტისათვის აკადემიკოს ალექსანდრე ანტონ' ძე თვალჭრელიძის სახელის მიკუთვნების შესახებ

49. თბილისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმისა და ზესტაფონის რაიონის სოფ. შროშის საშუალო სკოლისათვის სახელწოდებათა მიკუთვნების შესახებ.

50. საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს 67 საწარმოს დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადაყვანის შესახებ

51. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პურეული პროდუქტებისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ.

52. საქართველოს სს რესპუბლიკაში შხამიან და სხვა სახის გველთა დაცვისა და მოპოვების მოწესრიგების შესახებ

53. რესპუბლიკის ქალაქებსა და სხვა დასახლებულ ადგილებში ქუჩების სახელწოდებათა და სახლთმფლობელობათა ნუმერაციის შეცვლის დროებით შეწყვეტის შესახებ

54. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გაზიფიკაციის მთავარი სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ

55. საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ

56. აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ადგილობრივი მრეწველობის მმართველობის ორგანოების სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანის შესახებ

57. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 17 იანვრის № 40 დადგენილებასთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებების შეცვლისა და ნაწილობრივ გაუქმების შესახებ

58. სოციალისტური სახელმწიფო საწარმოს დებულების საქართველოს სსრ რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების სამშენებლო ორგანიზაციების მიმართ გამოყენების თავისებურებათა შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
დადგენილებები

39 ფიზიკური მეცნიერების დარგში მეცნიერულ გამოკვლევათა მდგომარეობისა და მათი განვითარების ზომების შესახებ

ამონაკრები

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებსა და უმაღლეს სასწავლებლებში წარმოებს დიდმნიშვნელოვანი მეცნიერული გამოკვლევები თანამედროვე ფიზიკის აქტუალურ პრობლემებზე, რომლებსაც დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვთ.

ფართოდ წარმოებს გამოკვლევები დაბალი ენერგიების ბირთვული ფიზიკის, კერძოდ ატომური ბირთვის, დაბალი ენერგიების გამოყენებითი ბირთვული ფიზიკის თეორიის საკითხებზე რადიოაქტიურ გამოსხივებათა გამოყენებით, ელემენტარული ნაწილაკების თეორიული და ექსპერიმენტული ასპექტების მიხედვით.

უნდა აღინიშნოს იმ სამუშაოთა მეცნიერული დონე, რომლებიც სრულდება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტში. ფიზიკის ინსტიტუტის და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუშაობაში დიდი ადგილი უჭირავს გამოკვლევებს მაგარი სხეულის ფიზიკის პრობლემებზე, რომლებსაც კარგად იცნობენ და ფართოდ იყენებენ როგორც საბჭოთა მეცნიერები, ისე ბევრი უცხო ქვეყნის მეცნიერებიც.

ამავე დროს, ქართველი ფიზიკოსების მიერ ფიზიკური მეცნიერების განვითარებაში მიღწეული დიდი წარმატებების მიუხედავად, ადგილი აქვს მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს, სერიოზულ სიძნელეებს, რომლებიც ამცირებენ მეცნიერული გამოკვლევების ტემპებს და რომლებსაც შეიძლება მოყვეს უახლოეს მომავალში გამოკვლევის ჩამორჩენა თანამედროვე მეცნიერების ამ დიდმნიშვნელოვან დარგში.

შესაბამისი დანადგარების უქონლობის გამო, ჯერ კიდევ არ არის მოგვარებული ფუნდამენტური ექსპერიმენტული გამოკვლევების ჩატარება სათანადო დონეზე დაბალი ენერგიების ბირთვული ფიზიკის დარგში, რაც იწვევს მეცნიერული გამოკვლევების ცალმხრივობას — წმინდა თეორიული თემების სიჭარბეს გეგმებში.

ცალკეულ შემთხვევებში, საჭირო მოწყობილობის უქონლობის გამო, მნიშვნელოვნად მცირდება მეცნიერულ ძიებათა დონე.

მაშინ როდესაც ჩვენი ქვეყნის წამყვან ფიზიკურ ინსტიტუტებში შექმნილია მძლავრი ცენტრები ექსპერიმენტული დანადგარების პროგრამული მართვისათვის, ინფორმაციის პირველადი დაგროვებისა და დამუშავებისათვის სწრაფმოქმედ გამოთვლითს მანქანებზე, — ფიზიკის ინსტიტუტი და თბილისის სახელ-

მწიფო უნივერსიტეტი არ არიან აღჭურვილი შესაბამისი გამოთვლითი ტექნიკით.

საკმაოდ არ არის გამოყენებული დაბალი ენერგიების ბირთვული ფიზიკის მიღწევები მრეწველობის სხვადასხვა დარგების პროცესების ავტომატიზაციაში, აგროფიზიკურ გამოკვლევებში, მედიცინასა და მეცნიერების სხვა დარგებში.

არადამაკმაყოფილებლად წარმოებს მეცნიერ მუშაკთა კადრების მომზადება. არ სრულდება ასპირანტთა შერჩევის გეგმა. როგორც წესი, ფიზიკოსი ასპირანტები ვერ ეტევიან იმ სამწლიან ვადაში, რაც მათთვის გამოყოფილია დისერტაციების მოსამზადებლად.

განსახორციელებლად სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 24 სექტემბრის № 760 დადგენილებისა „სამეცნიერო ორგანიზაციების მუშაობის ეფექტიანობის ამაღლებისა და სახალხო მეურნეობაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების გამოყენების დაჩქარების ღონისძიებათა შესახებ“ და რესპუბლიკაში ფიზიკური მეცნიერების შემდგომი განვითარების ამოცანებიდან გამომდინარე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

ა დ გ ე ნ ს:

1. უმნიშვნელოვანეს ამოცანად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტისა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და რესპუბლიკის იმ სხვა სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებებისა, რომლებიც ეწევიან გამოკვლევებს ფიზიკის დარგში, მაგარი სხეულის ფიზიკის აქტუალური პრობლემების გადაწყვეტა: მაგარი სხეულის ფიზიკის, ნახევარგამტართა ფიზიკის, ლითონებისა და შენადნობების ფიზიკის ზეგამტარობისა და ზედენადობის სამუშაოთა განვითარება და სრულყოფა, დაბალტემპერატურული და რადიაციური ასპექტები;

— მაღალი და დაბალი ენერგიების ბირთვული ფიზიკა — ელემენტარული ნაწილაკები, კოსმოსური სხივები, ატომური ბირთვი, რეაქტორთა ფიზიკა და დაბალი ენერგიების ბირთვული ფიზიკის გამოყენება.

მიზანშეწონილად ჩაითვალოს სამუშაოთა გაშლა მაკრომოლეკულების ფიზიკის, კრიობიოფიზიკის და რადიაციულ დაზიანებათა დარგში.

2. დაევალოს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას:

— გააძლიეროს ფიზიკის დარგში წარმოებულ მეცნიერულ გამოკვლევათა კოორდინაცია რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების კათედრებზე და მონათესავე სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებში, ამასთან იქონიოს მხედველობაში, რომ საჭიროა სამეცნიერო კოლექტივების მთელი ყურადღება მიექცეს თანამედროვე ფიზიკის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და აქტუალური ამოცანების გადაწყვეტას;

— სისტემატურად განახორციელოს ღონისძიებანი იმ სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა ბაზების გასაძლიერებლად, რომლებიც გამოკვლევებს აწარმოებენ ფიზიკურ მეცნიერებათა დარგში, აღჭურვოს ისინი თანამედროვე სამეცნიერო-საკვლევი მოწყობილობით, ხელსაწყოებითა და აპარატურით; მოაგვაროს ამ დაწესებულებების მომარაგება საჭირო მასალებით და დამხმარე ტექნიკური საშუალებებით;

— მეცნიერების გასავითარებლად გამოყოფილი დაფინანსების განაწილებისას გაითვალისწინოს საჭირო სახსრების გამოყოფა გამოკვლევათა განვითარებისათვის ფიზიკის, კიბერნეტიკისა და მეცნიერების სხვა მომიჯნავე აქტუალური დარგების სფეროში.

3. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს განიხილოს, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან ერთად საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის წინადადებანი დამთავრებული სამეცნიერო გამოკვლევების სახალხო მეურნეობაში დანერგვის შესახებ და განხილვის შედეგები მოახსენოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 15 სექტემბრისათვის.

4. საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ:

ა) განიხილოს საკითხი და მიიღოს საჭირო ზომები, რათა შემდგომ გაუმჯობესდეს სასწავლო პროცესი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფიზიკურ და საინჟინერო-ფიზიკურ ფაკულტეტებზე და გაუმჯობესდეს მეცნიერთა კადრების მომზადების ორგანიზაცია;

ბ) მოაწყოს 1969 წლის 1 სექტემბრიდან რესპუბლიკის ერთერთ ტექნიკუმში ჯგუფები, სადაც მოსწავლეები შეისწავლიან შემდეგ სპეციალობებს: „საანგარიშო და საანგარიშო-ანალიზური მანქანების ექსპლუატაცია და რემონტი“ (0643), „ელექტრონული გამოთვლითი მანქანები, ხელსაწყოები და მოწყობილობანი“ (0612), „საანგარიშო და საანგარიშო-ანალიზური მანქანების წარმოება“ (0613),

10. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ- ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა განახორციელოს საერთო გეგმის ანგარიშში 1969 წლის 1 სექტემბრიდან ლითონდამუშავების, მინის დამუშავების და ოპტიკური სისტემების აწყობის კადრების მომზადება ფიზიკის ინსტიტუტისათვის ამ ინსტიტუტის ლაბორატორიების ბაზაზე.

11. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ გადასინჯოს ინსტრუქცია „სამეცნიერო ექსპედიციაში მივლინებულ მუშაკთა შრომის ანაზღაურების წესის შესახებ“ ფიზიკის ინსტიტუტის წინადადებათა გათვალისწინებით და შეათანხმოს იგი საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან.

12. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს სისტემატური კონტროლი გაუწიოს ამ დადგენილების შესრულებას და შესრულებულ სამუშაოთა შედეგები პერიოდულად მოახსენოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1969 წ. 6 მაისი, № 245.

40 გამომცემლობა „ხელოვნების“ შექმნის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

— თეატრალური, კინოხელოვნების, მუსიკის, არქიტექტურის, სახვითი და ფოტოხელოვნების საკითხებზე ლიტერატურის გამოცემის გაუმჯობესების მიზნით მიმდინარე წლის პირველი მაისიდან შეიქმნას გამომცემლობა „ხელოვნება“, რომელიც დაექვემდებაროს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტს;

— გამომცემლობა „ხელოვნების“ სამუშაოთა მოცულობა 1969 წლისათვის განისაზღვროს 400 სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახის ოდენობით და ხელმძღვანელი და სარედაქციო-საგამომცემლო მუშაკების ხელფასის ანაზღაურების მხრივ ის, როგორც სპეციალიზებული გამომცემლობა, მიეკუთვნოს რესპუბლიკური გამომცემლობების მეორე ჯგუფს;

— დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტს, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით, განსაზღვროს გამომცემლობა „ხელოვნების“ საშტატო ერთეულების ოდენობა, ხელფასის ფონდი და დოტაცია მისთვის 1969 წლისათვის გამომცემლობებზე დამტკიცებული მუშაკთა რიცხობრიობის, ხელფასის ფონდის, დოტაციის და ქაღალდის ფონდის ფარგლებში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1969 წ. 7 მაისი, № 258.

41 ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო საგეგმო კომისიების და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქ თბილისის, ქუთაისისა და რუსთავის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების საგეგმო კომისიების შემადგენლობაში ისეთი სტრუქტურული ქვეგანაყოფების შექმნის შესახებ, რომლებიც ფასების საკითხებზე იმუშავებენ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

წინადადება მიეცეთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქ თბილისის, ქუთაისის და რუსთავის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს შექმნან ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო საგეგმო კომისიების და მშრომელთა დეპუტატების საოლქო და საქალაქო საბჭოების აღმასკომების შემადგენლობაში ფასების საკითხებზე მომუშავე სპეციალური სტრუქტურული ქვეგანაყოფები, შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის და ქალაქების სახელმწიფო მმართველობის ორგანოების მუშაკთა რაოდენობისა და ხელფასის ფონდის ფარგლებში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **გ. ჩოგოვაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1969 წ. 15 მაისი № 271.

42 ძირითადი ფონდების გადაფასებისა და საამორტიზაციო ანარიცხთა მოქმედი ნორმების დაზუსტების შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 7 აპრილის № 252 დადგენილების შესაბამისად და იმ მიზნით, რომ დაწესდეს სახალხო მეურნეობის ძირითადი ფონდების ერთნაირი შეფასება მათი კვლავწარმოების თანამედროვე ღირებულების მიხედვით და დაზუსტდეს საამორტიზაციო ანარიცხთა მოქმედი ნორმები დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალი სისტემის მოთხოვნების შესაბამისად, — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოთ საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების აღგილობრივი საბჭოების აღმასკომებს 1971 წლის 1 აგვისტოდან 31 დეკემბრამდე ჩაატარონ ქვესაუწყებო საწარმოებსა და ორგანიზაციებში, რომლებიც სამეურნეო ანგარიშზე იმყოფებიან, ძირითადი ფონდების გადაფასება 1972 წლის 1 იანვრის მდგომარეობის მიხედვით და დაადგინონ მათი გაცვეთის პროცენტი.

საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებსა და ორგანიზაციებში გადაფასება და გაცვეთის პროცენტის დადგენა აწარმოონ მხოლოდ შენობათა, ნაგებობათა და გადასაცემ მოწყობილობათა მიმართ.

რჩევა მიეცეთ სასოფლო-სამეურნეო არტელებს, თევზჭერისა და სარეწაო კოლმეურნეობებს, აგრეთვე საკოლმეურნეობათაშორისო საწარმოებსა და ორგანიზაციებს ჩაატარონ აღნიშნულ ვადაში შენობათა, ნაგებობათა და გადასაცემ მოწყობილობათა გადაფასება და მათი გაცვეთის პროცენტის გამორკვევა. რჩევა მიეცეთ სხვა კოოპერაციულ, აგრეთვე საზოგადოებრივ ორგანიზაციებს იმავე ვადაში ჩაატარონ ყველა იმ ქვესაუწყებო საწარმოსა და ორგანიზაციის ძირითადი ფონდების გადაფასება, რომლებიც სამეურნეო ანგარიშზე იმყოფებიან და განსაზღვრონ მათი გაცვეთის პროცენტი.

2. ძირითადი ფონდების გადაფასების ძირითად ამოცანებად ჩაითვალოს:

ისეთი სრული და ზუსტი მონაცემების მიღება ძირითადი ფონდების არსებობისა და სტრუქტურის, მათი აღდგენითი ღირებულებისა და გაცვეთის ოდენობის შესახებ, რომლებიც საჭიროა სახალხო-სამეურნეო დაგეგმვის შემდგომი სრულყოფისა და საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის;

ეკონომიურად დასაბუთებული პირობების შექმნა იმისათვის, რომ განისაზღვროს პროდუქციის წარმოების (თვითღირებულების) ხარჯები ყველა საწარმოსა და ორგანიზაციაში, რომლებიც სამეურნეო ანგარიშზე იმყოფებიან, წარმოების რენტაბელობის დონე, ძირითადი ფონდების გადასახდელის ოდენობა და შეიქმნას ეკონომიური სტიმულირების ფონდები;

ეკონომიურად დასაბუთებული ბაზის შექმნა საამორტიზაციო ანარიცხთა მოქმედი ნორმების დასაზუსტებლად ტექნიკური პროგრესის მიღწევებისა და იმ ახალი საბითუმო ფასებისა და ტარიფების გათვალისწინებით, რომლებიც შემოღებულია 1967 წლის 1 ივლისიდან;

საჭირო პირობების შექმნა ძირითადი ფონდების დროული კვლავწარმოების, დაცვა-შენახვისა და უკეთ გამოყენების უზრუნველსაყოფად.

3. ძირითადი ფონდების გადაფასება მოხდეს თანამედროვე აღდგენითი ღირებულების მიხედვით, რაც განისაზღვრება სამრეწველო პროდუქციის, 1967 წლის 1 ივლისიდან შემოღებული საბითუმო ფასების, ელექტრო და თბოენერგიის და ტვირთზიდვის ტარიფების, აგრეთვე მშენებლობაში 1969 წლის 1 იანვრიდან შემოღებული სახარჯთაღრიცხვო ნორმების, ფასებისა და ტარიფების საფუძველზე. მოწყობილობის, მანქანებისა და სატრანსპორტო საშუალებათა გადაფასებისას გათვალისწინებულ უნდა იქნას აგრეთვე ცალკეული სახისა და ჯგუფის პროდუქციის ფასების შეცვლა, რაც შემოღებული იქნება 1970 წლის 1 იანვრიდან, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 24 ოქტომბრის № 833 დადგენილების შესაბამისად.

შენობათა, ნაგებობათა და გადასაცემ მოწყობილობათა გადაფასება მოხდეს მათი აღდგენითი ღირებულების გამსხვილებულ მაჩვენებელთა კრებულების მიხედვით, რომლებსაც შეიმუშავებენ სსრ კავშირის შესაბამისი სამინისტროები და უწყებები სსრ კავშირის სახმშენთან შეთანხმებით.

მოწყობილობის, მანქანებისა და სატრანსპორტო საშუალებათა გადაფასება მოხდეს იმ საფასურებში აღნიშნული აღდგენითი ღირებულების მიხედვით, რომლებსაც შეიმუშავებენ სსრ კავშირის და საქართველოს სსრ სამინისტროები და უწყებები, სსრ კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსთან შეთანხმებით.

4. დაევალოს საქართველოს სსრ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს 1972 წლის 1 ოქტომბრისათვის წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, ხოლო ასლები — საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს, სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკურ კანტორას და სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის საქართველოს რესპუბლიკურ კანტორას — შეჯამებითი მონაცემები იმ ძირითადი ფონდების გადაფასებისა და გაცვეთის განსაზღვრის შედეგების შესახებ, რომლებიც იმყოფებიან მთლიანად საქართველოს სსრ სახელმწიფო, კოოპერაციულ და საზოგადოებრივ საწარმოთა და ორგანიზაციათა სახელმწიფო ანგარიშზე.

5. დაევალოთ საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს:

ა) გააანალიზონ ძირითადი ფონდების საექსპლოატაციოდ გადაცემისა და მწყობრიდან გამოსვლის უკანასკნელი წლების მონაცემები იმ ანგარიშით, რომ გამოვლინდეს ჩამოსაწერი ძირითადი ფონდების რაოდენობის ზრდის მიზეზები, აგრეთვე შეიმუშაონ ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ მშენებარე ობიექტების დროზე გადაცემას საექსპლოატაციოდ;

ბ) შეიმუშაონ და 1970 წლის 1 იანვრამდე დაამტკიცონ სამეურნეო ანგარიშზე მყოფ საწარმოთა და ორგანიზაციათა ძირითადი ფონდების გადაფასებისა და გაცვეთის დადგენის ორგანიზაციული გეგმები;

გ) მოაწყონ ქვესაუწყებო საწარმოებსა და ორგანიზაციებში საჭირო სამზადისი ძირითადი ფონდების გადაფასებისა და მათი გაცვეთის დადგენისათვის (ძირითადი ფონდების პირველადი აღრიცხვისა და ტექნიკური დოკუმენტაციის მოყვანა წესრიგში, აღურიცხველი ობიექტების გამოვლინება და შემოსავალში გატარება, სპეციალური კომისიების შექმნა ძირითადი ფონდების გადაფასებისა და მათი გაცვეთის განსაზღვრისათვის, შესაბამისი სპეციალისტების გამოყოფა ამ სამუშაოს უშუალოდ შესრულებისათვის, სხვა სამუშაოებისაგან მათი გათავისუფლებით, და საწარმოებისა და ორგანიზაციების დროულად უზრუნველყოფა საჭირო ინსტრუმენტებით);

დ) სისტემატური კონტროლი გაუწიონ იმას, რომ დროულად და სწორად მოეწყოს საწარმოებსა და ორგანიზაციებში ძირითადი ფონდების ინვენტარიზაცია, მათი გადაფასება და გაცვეთის დადგენა, ანგარიშების შედგენა, ამ მუშაობის შედეგების შესახებ და მათი წარდგენა იმ მისამართების მიხედვით და იმ ვადებში, რომლებიც დაწესებულია სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიერ;

ე) განიხილონ და დაამტკიცონ საწარმოთა და ორგანიზაციათა ანგარიშები ძირითადი ფონდების გადაფასების შედეგების შესახებ, შეადგინონ შეჯამებითი ანგარიშები საქართველოს სსრ სამინისტროს (უწყების) ხაზით ამ მუშაობის შედეგების შესახებ და წარადგინონ იმ მისამართების მიხედვით და იმ ვადებში,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომლებიც დაწესებულია სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიერ;

ვ) შეიტანონ ძირითადი ფონდების გადასაფასებლად საჭირო კრებულებისა და საფასარების შედგენის სამუშაოები შესაბამისი საპროექტო, საკონსტრუქტორო და სამეცნიერო-საკვლევი ორგანიზაციების თემატიკურ გეგმებში, ამასთან გაითვალისწინონ ამ სამუშაოთა დაფინანსება არსებული საბიუჯეტო ასიგნებებისა და ცენტრალიზებული წყაროების ხარჯზე, ხოლო მათი დანაკლისის შემთხვევაში — საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებული ხარჯთაღრიცხვებისა და დაფინანსების წყაროების ხარჯზე;

სსრ კავშირის სახმშენთან და სსრ კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსთან შეთანხმებით შემუშავებული და დასაბეჭდად მომზადებული კრებულები და საფასარები წარუდგინონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტს, სსრ კავშირის სახმშენს და სსრ კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს მათთან შეთანხმებულ ვადებში: საფასარები — არა უგვიანეს 1970 წლის 1 იანვრისა და კრებულები — არა უგვიანეს 1970 წლის 1 აპრილისა;

ზ) შეიმუშაონ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მითითებით საამორტიზაციო ანარიცხთა ახალი ნორმების პროექტები და წარუდგინონ ისინი გაანგარიშებებთან და დასაბუთებებთან ერთად სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს 1972 წლის 1 ოქტომბრისათვის;

6. დაეკისროთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს:

ა) იმ მუშაობის ხელმძღვანელობა, რაც წარმოებს სასოფლო-სამეურნეო არტელებში, სარეწაო კოლმეურნეობებსა და საკოლმეურნეობათაშორისო საწარმოებსა და ორგანიზაციებში ძირითადი ფონდების გადაფასებისა და მათი გაცვეთის ოდენობის დადგენისათვის, აგრეთვე გადაფასების შედეგების შესახებ მათი ანგარიშების დამტკიცება და ამ ანგარიშების წარდგენა იმ მისამართების მიხედვით და იმ ვადებში, რომლებიც დაწესებულია სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიერ;

ბ) ტექნიკური ინვენტარიზაციის საქალაქო, რაიონული და სარაიონთაშორისო ბიუროების გამოყენება სახელშეკრულებო საწყისებზე, რათა დახმარება გაუწიონ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების საწარმოებსა და ორგანიზაციებს, კოლმეურნეობებსა და საკოლმეურნეობათაშორისო საწარმოებსა და ორგანიზაციებს შენობათა, ნაგებობათა და გადასაცემ მოწყობილობათა ტექნიკური ინვენტარიზაციის ჩატარებაში, აგრეთვე მათ გადაფასებასა და გაცვეთის ოდენობის დადგენაში.

7. ძირითადი ფონდების გადაფასების იმ მუშაობის ხელმძღვანელობა, რაც ამ დადგენილების შესაბამისად ხორციელდება, დაეკისროს საქართველოს სსრ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს.

საქართველოს სსრ ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან, სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკურ კანტორასთან და სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის საქართველოს რესპუბლიკურ კანტორასთან ერთად, ჩაატაროს ადგილებზე ძირითადი ფონდების პირველადი აღრიცხვისა და ტექნიკური დოკუმენტაციის მდგომარეობის, ინვენტარიზაციის სისრულის, აღდგენითი ღირებულებისა და ფიზიკური გაცვეთის განსაზღვრის სისწორის, ძირითადი ფონდების გადაფასების შედეგების შესახებ საანგარიშო მონაცემების სინამდვილის საკონტროლო შემოწმება.

8. მიღებულ იქნას ცნობად და სახელმძღვანელოდ, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1969 წლის 7 აპრილის № 252 დადგენილებით:

ა) ნება დართო სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სამინისტროებსა და უწყებებს, სსრ კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს და სსრ კავშირის სახმშენს:

გამოიყენონ 1969 და 1970 წლებში კრებულებისა და საფასარების შესადგენად, მათი ექსპერტიზისა და კონსულტაციებისათვის, შემთავსებლობის წესით ცალკეული სპეციალისტები (სამ თვემდე ვადით), აგრეთვე გამოიყენონ პენსიონერები ძირითადი ფონდების გადასაფასებლად და მათი გაცვეთის დასადგენად (6 თვემდე ვადით) იმ ანგარიშით, რომ შეუნარჩუნდეთ მათ პენსია ამ მუშაობის პერიოდში;

გამოიყენონ საპროექტო, საკონსტრუქტორო და სამეცნიერო-საკვლევი ორგანიზაციების მუშაკთა შრომის ასანაზღაურებლად შრომის სანარდო და ცალკეულ შემთხვევებში აკორდული სისტემა მთლიანად სამინისტროსათვის ან უწყებისათვის დაწესებული ხელფასის ფონდის ფარგლებში;

ბ) დააწესა, რომ ძირითადი ფონდების გადაფასებისა და მათი გაცვეთის დადგენის ხარჯები გაიწევა საწარმოებსა და ორგანიზაციებში შესაბამისი სამინისტროების, უწყებების, კოოპერაციული, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და ძათი საწარმოებისა და ორგანიზაციების სახსრების ანგარიშში, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან ან შესაბამისად მოკავშირე რესპუბლიკების ფინანსთა სამინისტროებთან შეთანხმებული ხარჯთაღრიცხვებისა და დაფინანსების წყაროების მიხედვით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ბ. ჩოგოვაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1969 წ. 16 მაისი, № 284.

43 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის საკითხები

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს:

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის სტრუქტურა, № 1 დანართის თანახმად, ამასთან განისაზღვროს ამ კომიტეტის შტატის საერთო რაოდენობა 36 კაცის რაოდენობით და ხელფასის თვიური ფონდი — 6293 მან. 50 კაპიკის რაოდენობით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის დებულება, № 2 დანართის თანახმად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1969 წ. 22 მაისი, № 297.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1969 წლის 22 მაისის № 297
დადგენილების დანართი № 1

ს ტ რ უ ქ ტ უ რ ა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტისა

კომიტეტის ხელმძღვანელობა
მეცნიერებისა და ტექნიკის განყოფილება
სამეცნიერო-ტექნიკური გეგმის შეჯამებითი განყოფილება
უცხოეთის ქვეყნებთან სამეცნიერო-ტექნიკური კავშირურთიერთობის განყოფილება
გამოფენათა განყოფილება
კანცელარია

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტთან იმყოფებიან:

საქართველოს სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციისა და ტექნიკურ-ეკონომიური გამოკვლევების სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი
საქართველოს რესპუბლიკური სამეცნიერო-ტექნიკური ბიბლიოთეკა
საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1969 წლის 22 მაისის № 297
დადგენილებით

დებულება

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის შესახებ

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტი, შექმნილი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1969 წლის 19 მარტის ბრძანებულებით, წარმოადგენს რესპუბლიკურ ორგანოს, რომელიც მოწოდებულია უზრუნველყოს, პარტიისა და მთავრობის დირექტივების შესაბამისად, სახელმწიფო პოლიტიკის გატარება სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესისა და სახალხო მეურნეობაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების ყოველნაირად გამოყენების დარგში.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის ძირითადი ამოცანებია:

— რესპუბლიკაში მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ძირითად მიმართულებათა განსაზღვრა;

— იმ დარგთშორისი და უმნიშვნელოვანესი დარგობრივი სამეცნიერო-ტექნიკური პრობლემების შემუშავებისადმი ხელმძღვანელობა, რომლებსაც ასრულებენ რესპუბლიკური დაქვემდებარების სამეცნიერო-საკვლევი და საპროექტო-საკონსტრუქტორო დაწესებულებები;

— სამეცნიერო გამოკვლევებისა და ახალი ტექნიკის ათვისების ეფექტიანობის ამაღლება;

— ხელმძღვანელობა სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციისა და მოწინავე გამოცდილების პროპაგანდისადმი, რესპუბლიკური სამეცნიერო-ტექნიკური ბიბლიოთეკისა და სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის საქმიანობისადმი, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მუშაობაში და საერთაშორისო გამოფენებსა და ბაზრობებში რესპუბლიკის მონაწილეობისადმი, აგრეთვე რესპუბლიკაში უცხოეთის გამოფენათა მოწყობისადმი;

— იმ მუშაობისადმი ხელმძღვანელობა, რომელიც რესპუბლიკაში ტარდება უცხოეთის ქვეყნებთან სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობისათვის.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტი მასზე დაკისრებული ამოცანების შესაბამისად:

ა) შეიმუშავებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსათვის საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, მეცნიერებათა აკადემიასთან, სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად, ღონისძიებებს, რომელთა მიზანია სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება და ამ საფუძველზე საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლება, აგრეთვე წინადადებებს რესპუბლიკაში პერსპექტიული პერიოდისათვის მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ძირითად მიმართულებათა შესახებ;

ბ) შეიმუშავებს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის, სამინისტროებისა და უწყებების მასალების საფუძველზე, და წინასწარ, წლიური სახალხო-სამეურნეო გეგმების შედგენამდე, წარმოუდგენს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებებს იმის შესახებ, რომ გამოყენებულ იქნას სახალხო მეურნეობაში სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევები და დამთავრებული სამეცნიერო-საკვლევი ნაშრომების შედეგები;

გ) განსაზღვრავს საქართველოს სსრ სახელმწიფო-საგეგმო კომიტეტთან და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან ერთად მეცნიერული გამოკვლევებისა და მეცნიერების განვითარებისათვის კაპიტალურ დაბანდებათა დასაფინანსებლად საჭირო ასიგნებათა საერთო მოცულობას, გაანაწილებს გამოყოფილ სახსრებს რესპუბლიკის სამინისტროებსა, უწყებებსა და მეცნიერებათა აკადემიას შორის, ამასთან უზრუნველყოფს ამ ასიგნებათა ყველაზე რაციონალურად გამოყენებას, უწინარეს ყოვლისა უმნიშვნელოვანესი სამეცნიერო-ტექნიკური პრობლემების გადასაწყვეტად;

დ) სისტემატურად შეამოწმებს საწარმოებსა და სამეცნიერო დაწესებულებებში სამეცნიერო-კვლევითი და საცდელი სამუშაოების, აგრეთვე მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვის გეგმების შესრულებას;

ე) შეიმუშავებს და განახორციელებს საქართველოს სსრ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად, ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მეცნიერული გამოკვლევების ორგანიზაციის გაუმჯობესებას და მათი ეფექტიანობის ამაღლებას, მოამზადებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსათვის წინადადებებს არსებული სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების სრულყოფისა და ახალი ასეთი დაწესებულებების მოწყობის შესახებ;

ვ) განსაზღვრავს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან, სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად იმ სამეცნიერო კადრების მომზადებაზე არსებულ მოთხოვნილებას, რომლებიც დაკავშირებული არიან რესპუბლიკის უმნიშვნელოვანესი სამეცნიერო-ტექნიკური პრობლემების გადაწყვეტასთან; შეიმუშავებს ღონისძიებებს მეცნიერთა კადრების მომზადებისა და გამოყენების გაუმჯობესებისათვის;

ზ) ხელმძღვანელობას გაუწევს სამამულო და უცხოეთის მეცნიერების, ტექნიკისა და მოწინავე საწარმოო ტექნიკური გამოცდილების მიღწევების შესწავლას, გავრცელებასა და პროპაგანდას, ორგანიზაციულ-მეთოდურ ხელმძღვანელობას გაუწევს რესპუბლიკური დაქვემდებარების სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციისა და პროპაგანდის ორგანოების საქმიანობას, ხელმძღვანელობას გაუწევს რესპუბლიკური სამეცნიერო-ტექნიკური ბიბლიოთეკის მუშაობას;

თ) ხელმძღვანელობას გაუწევს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მუშაობას და რესპუბლიკის მონაწილეობას სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაში;

ი) ხელმძღვანელობას გაუწევს საქართველოს სსრ სავაჭრო პალატასთან ერთად რესპუბლიკის მონაწილეობას საერთაშორისო გამოფენებსა და ბაზრობებში, აგრეთვე რესპუბლიკის ტერიტორიაზე უცხოეთის გამოფენების მოწყობას;

კ) განახორციელებს იმ მუშაობისადმი ხელმძღვანელობას, რაც რესპუბლიკაში ტარდება უცხოეთის ქვეყნებთან სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობისათვის.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს უფლება ენიჭება:

ა) შეამოწმოს რესპუბლიკის სამინისტროებში, უწყებებში, სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებში, საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციებსა და სამრეწველო საწარმოებში სახალხო მეურნეობის დარგების, სამეცნიერო-საკვლევ სამუშაოთა განვითარების ტექნიკური დონის მდგომარეობა და მათი შედეგების დანერგვა წარმოებაში, ის თუ რამდენად შეესაბამება სამინისტროებისა და უწყებების მიერ დამტკიცებული სამეცნიერო-საკვლევ სამუშაოთა წლიური გეგმები რესპუბლიკაში მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ძირითად მიმართულებებს, შეამოწმოს მეცნიერთა კადრების მომზადება სამეცნიერო დაწესებულებებსა და უმაღლეს სასწავლებლებში;

ბ) განიხილოს სამეცნიერო-საკვლევი ორგანიზაციებისა და მათი საცდელ-სამრეწველო ობიექტების ნუსხა, რომლებიც უნდა აშენდეს;

გ) აძლიოს რესპუბლიკის სამინისტროებს, უწყებებსა და ორგანიზაციებს მითითებანი ისეთ სამეცნიერო-საკვლევ და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა შეწყვეტის შესახებ, რომლებსაც თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა არა აქვთ და მათი დაფინანსების შეწყვეტის შესახებ;

დ) განიხილოს სადავო საკითხები, რომლებიც სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების პროცესში წამოიჭრება რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებს შორის, და მიიღოს მათ გამო გადაწყვეტილებანი;

ე) გამოიტანოს რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებებისათვის სავალდებულო დადგენილებანი კომიტეტის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე;

ვ) მოაწყოს და განახორციელოს საჭირო შემთხვევებში იმ ღონისძიებათა მეცნიერული ექსპერტიზა, რომლებიც დაკავშირებულია სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების შესრულებასთან და რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების დანერგვასთან;

ზ) შექმნას რესპუბლიკაში სამეცნიერო-ტექნიკური კომისიები და ექსპერტთა ჯგუფები მეცნიერებისა და ტექნიკის უმნიშვნელოვანესი საკითხების მოსამზადებლად და გადასაწყვეტად, მონაწილეობა მიაღებინოს მეცნიერებსა და სპეციალისტებს ამ კომისიებისა და ექსპერტთა ჯგუფების მუშაობაში;

თ) მიიღოს რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებებისაგან, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიისაგან, აგრეთვე საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოსაგან მასალები, რომლებიც საჭიროა კომიტეტზე დაკისრებული ამოცანების შესასრულებლად, მოქმედი ანგარიშგების ფარგლებში;

ი) მოიწვიოს დადგენილი წესით კონფერენციები და თათბირები რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების პრობლემების განსახილველად.

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტი შეიქმნება შემდეგი შემადგენლობით: კომიტეტის თავ-

მჯდომარე, რომელსაც ნიშნავს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, თავმჯდომარის მოადგილეები, კოლეგიის წევრები და კომიტეტის წევრები, რომლებსაც დანიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

6. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტი ხელმძღვანელობას გაუწევს კომიტეტისა და მისდამი დაქვემდებარებული ორგანიზაციების მთელ საქმიანობას, გამოსცემს კომიტეტის კომპეტენციის ფარგლებში ბრძანებებსა და ინსტრუქციებს სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონების, აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა და განკარგულებების საფუძველზე და შესასრულებლად, შეამოწმებს მათს შესრულებას; დაამტკიცებს უშუალოდ მისდამი დაქვემდებარებული დაწესებულებებისა და ორგანიზაციების წესდებებს (დებულებებს); დანიშნავს და სამუშაოდან გაათავისუფლებს კომიტეტის ცენტრალური აპარატის და უშუალოდ მისდამი დაქვემდებარებული დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელ მუშაკებს.

7. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის ცენტრალური აპარატის სტრუქტურას დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

8. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს აქვს ბეჭედი, რომელზედაც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო ღერბი და თავისი სახელწოდება.

---

44 ფრინვლის შესასყიდი ფასების გადიდების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. გადიდდეს 1969 წლის 1 მაისიდან იმ ფრინვლის შესასყიდი ფასები, რომლებსაც სახელმწიფოს მიყიდიან საქართველოს სსრ კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა სახელმწიფო და კოოპერაციული მეურნეობები, შემდეგი ოდენობით: ქათმისა — 20 პროცენტით, წიწილისა — 40 პროცენტით, იხვისა — 50 პროცენტით, ბატისა — 60 პროცენტით და ინდაურისა — 40 პროცენტით, ამასთან დაწესდეს მათი ოდენობა რესპუბლიკაში, დანართის თანახმად.

დაწესდეს ბროილერების შესასყიდი ფასები წიწილის შესასყიდი ფასების დონეზე და ციცრისა — ინდაურის შესასყიდი ფასების დონეზე.

2. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ შესაბამისი ცვლილებანი შეიტანოს სათანადო სამინისტროების შემოსავალ-გასავლის ბალანსებში.

3. მიღებულ იქნას ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ ზემოაღნიშნული დადგენილებით დააწესა:

სხვაობა იმ ფრინვლის ხორცის შესასყიდ ფასებსა, რომელსაც საბჭოთა მეურნეობები და მეფრინველეობის ფაბრიკები უშუალოდ მიაწვდიან სავაჭრო ქსელს, და ფრინვლის ხორცის საცალო ფასებს შორის (სავაჭრო ფასდაკლების; და გადამუშავების ხარჯების გამოკლებით, ანაზღაურდება სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე);

დაავალა სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს შეიტანოს მოკავშირე რესპუბლიკების ბიუჯეტებთან საკავშირო ბიუჯეტის 1969 წლის ურთიერთანგარიშსწორებაში ცვლილებანი, რომლებიც გამომდინარეობენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებიდან.

11168

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1969 წ. 22 მაისი, № 298.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1969 წლის 22 მაისის № 298
დადგენილების დანართი

ფრინვლის შესასყიდი ფასები

(მანეთობით ტონაში)

	კოლმეურნეობებში	საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო მეურნეობებში
ქათამი	1680	1512
წიწილი	1960	1764
იხვი	1650	1485
ბატი	1600	1440
ინდაური	2240	2016

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

45 საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს დებულება საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს შესახებ, დანართის თანახმად.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 18 დეკემბრის № 965 დადგენილება „საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1969 წლის 29 მაისი, № 316.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1969 წლის 29 მაისის № 316
დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს შესახებ

1. საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო წარმოადგენს საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროს და თავის საქმიანობაში ემორჩილება როგორც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, ისე სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროსაც.

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო ხელმძღვანელობას გაუწევს რესპუბლიკაში საცალო, საბითუმო ვაჭრობას და საზოგადოებრივ კვებას, პასუხისმგებელია ვაჭრობის მდგომარეობისა და შემდგომი განვითარებისათვის, დარგში სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესისა და მოსახლეობის სავაჭრო მომსახურების ხარისხისათვის.

2. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს მთავარი ამოცანებია:

— ვაჭრობის, როგორც რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის შემადგენელი ნაწილის, ყოველმხრივი განვითარების უზრუნველყოფა, აქტიური ზეგავლენის მოხდენა სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებაზე მისი ასორტიმენტის გაუმჯობესების, ხარისხის ამაღლების მიზნით და ამ საფუძველზე მოსახლეობის მხრივ საქონელზე არსებული მზარდი მოთხოვნილების რაც შეიძლება უფრო სრულად დაკმაყოფილების უზრუნველყოფა;

— სახელმწიფო საცალო საქონელბრუნვის გეგმის და ვაჭრობაში სხვა გეგმიან დავალებათა შესრულება, სახელმწიფო დისციპლინის მტკიცედ დაცვის უზრუნველყოფა;

— ვაჭრობის ორგანიზაციისა და ტექნიკის სრულყოფის, მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებისა და განმტკიცების უზრუნველყოფა საზოგადოებრივი შრომის მინიმალური დანახარჯებით, ძირითადი ფონდების, შრომის, მატერიალური და ფინანსური რესურსების გამოყენების გაუმჯობესება;

— მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების მოწინავე გამოცდილების დანერგვა ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოებსა და ორგანიზაციებში, მაღალი ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლების უზრუნველყოფა ვაჭრობის განვითარებაში;

— კაპიტალურ დაბანდებათა რაციონალურად გამოყენება, მათი ეფექტიანობის ამაღლება, მშენებლობის ღირებულების შემცირება და ვადების შეკვეცა, საწარმოო სიმძლავრეთა და ძირითადი ფონდების დროზე გადაცემა საექსპლუატაციოდ, აგრეთვე საწარმოო სიმძლავრეთა ათვისება მოკლე ვადებში;

— შრომისა და მართვის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვა ქვესაუწყებო საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში, შრომის ეფექტიანობის ამაღლება, სამინისტროს სისტემის უზრუნველყოფა კვალიფიციური კადრე-

ბით, პირობების შექმნა მუშაკთა ცოდნისა და გამოცდილების რაც შეიძლება უკეთ გამოყენებისათვის, იმ ახალგაზრდა სპეციალისტთა დაწინაურება ხელმძღვანელ სამუშაოზე, რომლებმაც კარგად გაძოიჩინეს თავი მუშაობაში;

სამინისტროს სისტემის საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეთა საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება, საჭირო სანიტარულ-ჰიგიენური პირობებისა და შრომის უსაფრთხობის პირობების შექმნა მათთვის;

3. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო საცალო ვაჭრობას და საზოგადოებრივ კვებას ხელმძღვანელობას გაუწევს, როგორც წესი, ავტონომიური რესპუბლიკების ვაჭრობის სამინისტროების, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების სამმართველოებისა და განყოფილებების მეშვეობით და განაგებს რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს უშუალოდ ან მის მიერ შექმნილი ორგანოების მეშვეობით.

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო, ავტონომიური რესპუბლიკების ვაჭრობის სამინისტროები, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების მმართველობის ორგანოები, მათდამი დაქვემდებარებული საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები შეადგენენ საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს სისტემას.

4. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან, ოლქის, ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებთან ერთად იღებს ზომებს რესპუბლიკაში ვაჭრობის განვითარებისათვის, საცალო საქონელბრუნვის გეგმების შესრულების უზრუნველყოფისათვის, მოსახლეობის სავაჭრო მომსახურების გაუმჯობესებისათვის და როგორც წამყვანი ვაჭრობის დარგში, აწესრიგებს სამომხმარებლო კოოპერაციის, აგრეთვე სხვა სამინისტროებისა და უწყებების სავაჭრო საქმიანობას რესპუბლიკაში, სავაჭრო ქსელის განვითარებისა და განლაგების საკითხების ჩათვლით.

5. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით, სსრ კავშირის მთავრობის და საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებებითა და განკარგულებებით, სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს ბრძანებებითა და ინსტრუქციებით და სხვა ნორმატიული აქტებით, აგრეთვე ამ დებულებით და უზრუნველყოფს მოქმედი კანონმდებლობის სწორად გამოყენებას სამინისტროს სისტემის საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში.

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო განაზოგადებს სამინისტროს სისტემაში კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკას, შეიმუშავებს წინადადებებს მისი სრულყოფისათვის და განსახილველად წარუდგენს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს.

6. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო:

ა) უზრუნველყოფს ხელმძღვანელობის ეკონომიური და ადმინისტრაციული მეთოდების სწორად შეხამებას, ისეთი ეკონომიური ბერკეტების რაც შეი-

ძლება უფრო სრულად გამოყენებას, როგორიცაა მოგება, ფასი, პრემია და კრედიტი, მართვის ეფექტიანი სისტემების დანერგვას ელექტრონულ-გამოთვლითი ტექნიკის გამოყენებით, მმართველობის სტრუქტურისა და ორგანიზაციული ფორმების გაუმჯობესებას;

ბ) დადგენილი წესით შეიმუშავებს ვაჭრობის განვითარების პერსპექტიული და წლიური გეგმების პროექტებს, მთლიანად რესპუბლიკის, ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების, აგრეთვე სავაჭრო სისტემების მიხედვით და წარუდგენს ამ პროექტებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს და სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს; დაამტკიცებს საცალო საქონელბრუნვის გეგმებს სამინისტროს სისტემის ორგანიზაციებისათვის;

განიხილავს ავტონომიური რესპუბლიკების ვაჭრობის სამინისტროების, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების სამმართველოებისა და განყოფილებების, ქვესაუწყებო საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მონაწილეობით და დაუმტკიცებს მათ პერსპექტიულ და წლიურ გეგმებს დაწესებული მაჩვენებლების მიხედვით სახალხო-სამეურნეო გეგმის ამოცანების შესაბამისად. ამასთან უზრუნველყოფს ამ გეგმების ყველა განაყოფისა და მაჩვენებლის შეთანხმებას;

მოაწყობს სამინისტროს სისტემის საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მიერ პერსპექტიული და წლიური გეგმების პროექტების შედგენას, შეიმუშავებს მეთოდურ მითითებებს ამ გეგმების პროექტების მომზადებისათვის;

კონტროლს გაუწევს და უზრუნველყოფს დაწესებული გეგმების შესრულებას სამინისტროს სისტემის ყველა საწარმოს, ორგანიზაციისა და დაწესებულების მიერ;

შეადგენს დაწესებული მაჩვენებლების მიხედვით და დაამტკიცებს რესპუბლიკური დაქვემდებარების ორგანიზაციების, საწარმოებისა და დაწესებულებების საბითუმო საქონელბრუნვის, საფინანსო, საწარმოო გეგმებს, შრომის გეგმებს;

განახორციელებს მათს დაფინანსებას და დადგენილი წესით გადაანაწილებს სახსრებს ამ ორგანიზაციებსა, საწარმოებსა და დაწესებულებებს შორის;

დაუწესებს ქვესაუწყებო ორგანიზაციებსა და საწარმოებს, სახალხო მოხმარების საქონლის სარესპუბლიკათაშორისო მიწოდების გეგმების შესასრულებლად, საერთო-საკავშირო საჭიროებისათვის და საერთო-საკავშირო ფონდებში ამ საქონლის მიწოდების დავალებებს, კონტროლს გაუწევს ამ გეგმების შესრულებას;

გ) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს და რესპუბლიკის შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებს წარუდგენს წინადადებებს სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და მიწოდების, ამ საქონლის საბაზრო ფონდების რაოდენობის, მისი სარესპუბლიკათაშორისო შემოტანისა და გატანის შესახებ, მონაწილეობას მიიღებს მათ მიერ აღნიშნული საქონლის წარმოების გეგმების პროექტების მომზადებასა და საბაზრო ფონდების განსაზღვრაში;

უზრუნველყოფს მეცხოველეობის პროდუქტების მიწოდებას რესპუბლიკურ ფონდში და ადგილობრივი საჭიროებისათვის სახალხო-სამეურნეო გეგმით დაწესებული რაოდენობითა და ვადებში და დადგენილი წესით დამტკიცებული ასორტიმენტის მიხედვით; შეიმუშავებს და რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს და სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს წარუდგენს განაცხადებს კარტოფილისა და ხილბოსტნეულის პროდუქციაზე საერთო საკავშირო და რესპუბლიკური ფონდებისათვის, აგრეთვე ადგილობრივი მოხმარებისათვის, კონტროლს გაუწევს ბოსტნეულის, ხილისა და კარტოფილის ხანგრძლივ შესანახად გამოყოფის დავალებათა შესრულებას;

დ) დადგენილი წესით გაანაწილებს და გადაანაწილებს სახალხო მოხმარების საქონლის საბაზრო ფონდებს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებული ნომენკლატურის მიხედვით, შეადგენს საცალო საქონელბრუნვის გეგმის სასაქონლო უზრუნველყოფის გაანგარიშებებს რესპუბლიკის სავაჭრო ორგანიზაციებისა და სისტემებისათვის, ცალკეული სახის საქონლის ბალანსებს და მონაწილეობას მიიღებს სახალხო მოხმარების საქონლის სარესპუბლიკათაშორისო შემოტანისა და გატანის და საერთო-საკავშირო საჭიროებისათვის საქონლის მიწოდების გეგმების შემუშავებაში;

ე) შეიმუშავებს და განახორციელებს ღონისძიებებს, რომლებიც დაკავშირებულია სამინისტროს სისტემის საწარმოების მიერ თავიანთი პროდუქციის რეალიზაციასთან; განსაზღვრავს დაინტერესებულ ორგანიზაციათა წინადადებების გათვალისწინებით, სამინისტროს სისტემის საწარმოების მიერ პროდუქციის წარმოების მოცულობას სახალხო-სამეურნეო გეგმით გაუთვალისწინებელი ნომენკლატურის მიხედვით;

ვ) მოაწყობს სახალხო მოხმარების საქონელზე მოსახლეობის მოთხოვნილების შესწავლას და პროგნოზირებას, უზრუნველყოფს ვაჭრობის საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ შეკვეთების წარდგენას მრეწველობისათვის სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და მიწოდების შესახებ, დაინტერესებულ სამინისტროებთან, უწყებებთან და ორგანიზაციებთან ერთად მიიღებს ზომებს, რათა განვითარდეს საქონლის მიწოდების რაციონალური სამეურნეო კავშირურთიერთობა ვაჭრობისა და მრეწველობის საწარმოებსა და ორგანიზაციებს შორის, აგრეთვე ვაჭრობის საწარმოებსა და ორგანიზაციებს შორის, და შემცირდეს საქონლის მოძრაობის გზები, მოაწყობს ბაზრობებს სახალხო მოხმარების საქონლის საბითუმო გაყიდვისათვის;

ზ) მოაწყობს მუშაობას სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების განლაგებისათვის, წარადგენს მოთხოვნებს სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების გადიდების, მისი ასორტიმენტის გაუმჯობესების, ხარისხის ამაღლების და ახალ ნაკეთობათა გამოშვების მოწყობის შესახებ, დადგენილი წესით დაამტკიცებს დამამზადებელ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად საქონლის საუკეთესო ნიმუშებს წარმოებაში დასანერგავად; სამინისტროებისა და უწყებების წინაშე დააყენებს საკითხს, რომ მოიხსნას წარმოებიდან მოძველებული სახის საქონელი და შეიცვალოს იგი უფრო სრულყოფილი ნაწარმით;

თ) კონტროლს გაუწევს სახალხო მოხმარების საქონლის, აგრეთვე სავაჭრო ტექნოლოგიური, სამაცივრო და სხვა სავაჭრო მოწყობილობისა და ინვენტარის

მიწოდებას; გასცემს მომარაგებისა და გასაღების ორგანოებისათვის, საბითუმო სავაჭრო ორგანიზაციებისა და მრეწველობის საწარმოებისათვის სავალდებულო მითითებებს სახალხო მოხმარების საქონლის მიწოდების, ამ საქონლის გაგზავნის რიგითობის შესახებ (დაწესებული გეგმებისა და ნომენკლატურის ფარგლებში), როგორც რესპუბლიკის ფარგლებში, ისე სარესპუბლიკათაშორისო მიწოდების და საერთო საკავშირო საჭიროებისათვის საქონლის მიწოდების გეგმების მიხედვით;

ი) ხელმძღვანელობას გაუწევს რესპუბლიკური ბაზებისა და კანტორების საქმიანობას, უზრუნველყოფს რესპუბლიკაში სახალხო მოხმარების საქონლის საბითუმო ვაჭრობას, საქონლის დროულად მიწოდებას დამტკიცებული გეგმებისა და დადებული ხელშეკრულებების მიხედვით, საცალო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოების, აგრეთვე ბაზრისგარეშე მომხმარებლების შეუფერხებელ მომარაგებას საქონლით (დაწესებული ნომენკლატურის მიხედვით), კონტროლს გაუწევს მრეწველობის საწარმოების მიერ საქონლის მიწოდებას;

სისტემატურ კონტროლს განახორციელებს ყველა სისტემის სავაჭრო ორგანიზაციებში საქონლის მარაგის მდგომარეობისადმი, მოაწყობს საქონლის ზენორმატიული მარაგის და საქონლის ნამეტის გადაადგილებას სახელმწიფო ვაჭრობაში, ამასთან უზრუნველყოფს აღნიშნული საქონლის გადაზიდვის რაციონალობას; მოაწყობს ყველა სისტემის სავაჭრო ორგანიზაციების მიერ საქონლის ნამეტის ყიდვა-გაყიდვის სავაჭრო-საშუამავლო ოპერაციებს; მოაწყობს რესპუბლიკურ და სარაიონთაშორისო ბაზრობებს საქონლის ნამეტის საბითუმო გაყიდვისათვის;

განახორციელებს კონტროლს სახალხო მოხმარების საქონლის ხარისხისადმი, მონაწილეობას მიიღებს იმ წინადადებებში, რომლებიც შეეხება ამ საქონლის სტანდარტების და ტექნიკური პირობების დამტკიცებასა და შეცვლას, მისცემს დასკვნებს საბაზრო დანიშნულების ისეთ ნაკეთობათა ნიმუშების (ეტალონების) შესახებ, რომლებიც დამზადებულ უნდა იქნას; მიიღებს გადაწყვეტილებებს იმის შესახებ, რომ ვაჭრობის საწარმოებმა და ორგანიზაციებმა შეწყვიტონ ცუდი ხარისხის, მოძველებული და ისეთი საქონლის მიღება, რომელზედაც მოთხოვნილება არ არსებობს, აგრეთვე იმის შესახებ, რომ შემოღებულ იქნას საქონლის მიღების განსაკუთრებული რეჟიმის მრეწველობის იმ საწარმოებში, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ მის სათანადო ხარისხს;

კ) გამოავლენს სავაჭრო ორგანიზაციების მოთხოვნილებას სავაჭრო-ტექნოლოგიურ, სამაცივრო და სხვა სავაჭრო მოწყობილობაზე, ინვენტარსა, ნედლეულსა, სათბობსა და სხვა მატერიალურ რესურსებზე დამტკიცებული ნომენკლატურის მიხედვით. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს და სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს წარუდგენს წინადადებებს წარმოების და ამ მატერიალური რესურსების გეგმების პროექტების შესამუშავებლად; გაანაწილებს და გადაანაწილებს აღნიშნულ მატერიალურ რესურსებს; კონტროლს გაუწევს მოწყობილობის, ინვენტარის, ნედლეულის, სათბობისა და სხვ. მიწოდებას, უზრუნველყოფს სავაჭრო ტექნიკის, მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვას, საწარმოო პროცესების ავტომატიზაციასა და მექანიზაციას, სავაჭრო ტექნიკის რემონტისა და პროფილაქტიკური მომსახურების საწარმოო ბაზის გა-

ნვითარებას, სავაჭრო მოწყობილობისა და ინვენტარის ექსპლოატაციისა და რემონტის გაუმჯობესებას;

მოამზადებს წინადადებებს ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოებისათვის ახალი სახის მოწყობილობის, ინვენტარისა და მასალების შემუშავების შესახებ, მონაწილეობას მიიღებს მათი ტექნიკურ-ეკონომიური მოთხოვნილების განხილვაში, ხოლო საჭირო შემთხვევებში გასცემს ასეთს ტექნიკურ-ეკონომიურ მოთხოვნებს, მონაწილეობას მიიღებს აღნიშნული სახის მოწყობილობის, ინვენტარისა და მასალების შემუშავების იმ ტექნიკურ დავალებათა განხილვაში, რომლებიც წარდგენილია შესათანხმებლად, საჭიროების შემთხვევაში გამოსცემს პირობებს ამ სახის მოწყობილობის, ინვენტარისა და მასალების ტექნოლოგიური გამოცდების ჩასატარებლად, მონაწილეობას მიიღებს გამოცდასა და მიღებაში;

ლ) უზრუნველყოფს სამინისტროს სისტემის საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მიერ საქონლის, ნედლეულის, სათბობის, მოწყობილობისა და სხვა მატერიალური რესურსების სწორად შენახვას, მომჭირნეობით გამოყენებას და მათი დანაკარგების შემცირებას, მიიღებს ზომებს ზედმეტი და გამოუყენებელი მატერიალური რესურსების რეალიზაციისათვის;

მ) მოაწყობს სამინისტროს სისტემის საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მიერ ხელშეკრულებების დადებას სახალხო მოხმარების საქონლის, საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციის მიწოდების შესახებ და სხვა ხელშეკრულებების დადებას, კონტროლს გაუწევს სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულებას, მიიღებს ზომებს სახელშეკრულებო ურთიერთობათა გაუმჯობესებისა და სრულყოფისათვის, უზრუნველყოფს სახელშეკრულებო დისციპლინის დაცვასა და განმტკიცებას;

ნ) დაამტკიცებს ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მუშაობის წესებს, რომლებიც სავალდებულოა რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული ყველა სამინისტროსა და უწყების ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციებისათვის და კონტროლს გაუწევს მათს შესრულებას; შეიმუშავებს და დანერგავს ვაჭრობის პროგრესულ ფორმებსა და მეთოდებს, შეისწავლის და განაზოგადებს ვაჭრობის ორგანიზაციისა და ტექნიკის მოწინავე სამამულო და საზღვარგარეთის გამოცდილებას, განახორციელებს ღონისძიებებს ამ გამოცდილების გამოსაყენებლად ვაჭრობის საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაობაში, განავითარებს სავაჭრო რეკლამას, მოაწყობს კონკურსებს ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების გაუმჯობესების სამუშაოთა შესრულებისათვის;

ო) უშუალო ხელმძღვანელობას გაუწევს უცხოურ ვალუტაზე ვაჭრობას, საამანათო ვაჭრობას, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების მოწყობას საკურორტო ადგილებში, მგზავრთა მომსახურებას კვებით სარკინიგზო, საჰაერო ტრანსპორტსა და საავტომობილო ტრასებზე;

პ) დადგენილი წესით შეიმუშავებს სახალხო მოხმარების საქონლის სარკინიგზო, საზღვაო, სამდინარო, საჰაერო და საავტომობილო გადაზიდვის გეგმებს და ოპერატიულ კონტროლს გაუწევს მათს შესრულებას, კონტროლს გაუწევს

სამინისტროს სისტემის საავტომობილო ტრანსპორტის ექსპლოატაციას, მის ტექნიკურ მდგომარეობას, სწორად და რენტაბელურად გამოყენებას;

შეიმუშავებს ღონისძიებებს, რათა უკეთ მოეწყოს და გაფართოვდეს საქონლის ცენტრალიზებული მიტანა ავტოტრანსპორტით საბითუმო ვაჭრობის საწარმოებიდან, სამრეწველო საწარმოებიდან და სხვა მიმწოდებლებიდან უშუალოდ საცალო სავაჭრო ქსელში და საზოგადოებრივი კვების საწარმოებში;

ე) განახორციელებს კაპიტალურ მშენებლობას სამინისტროს სისტემაში, უზრუნველყოფს კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანად გამოყენებას, ახალი მშენებლობის რაციონალურად განლაგებას, მოქმედი საწარმოების ხელახლა ტექნიკურ შეიარაღებას, კაპიტალურ დაბანდებათა კონცენტრაციას საექსპლოატაციოდ გადასაცემ სამუშაოებზე და დაუმთავრებელი მშენებლობის შემცირებას.

კაპიტალური მშენებლობა წარმოებს, როგორც წესი, საიჯარო საწყისებზე.

კონტროლს გაუწევს იმ სახსრების გამოყენებას, რომლებიც ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოების მშენებლობისათვის გამოიყოფა საბინაო მშენებლობის ასიგნებათა ხუთპროცენტიანი ანარიცხებისა და სხვა წყაროების ხარჯზე, მიიღებს ზომებს მათი სრულად ათვისებისათვის;

დადგენილი წესით შეიმუშავებს და დაამტკიცებს ახალი საწარმოების, შენობებისა და ნაგებობების მშენებლობის და მოქმედი საწარმოების, შენობებისა და ნაგებობების რეკონსტრუქციისა და გაფართოების დაპროექტების ტექნიკურ-ეკონომიურ დასაბუთებებსა და დავალებებს; შეიმუშავებს და დადგენილი წესით დაამტკიცებს მშენებლობათა სატიტულო სიებს, აგრეთვე მომავალი წლების მშენებლობისათვის საპროექტო-საძიებო სამუშაოთა სატიტულო სიებს; უზრუნველყოფს საჭირო საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დროულად შემუშავებას და მშენებლობებისათვის მიცემას; განახორციელებს კონტროლს საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ხარისხისა და მშენებლობის დამტკიცებული სახარჯთაღრიცხვო ღირებულების დაცვისადმი, აგრეთვე ტექნიკურ ზედამხედველობას გაუწევს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებისა და ობიექტების მშენებლობისათვის მიწოდებული მოწყობილობის ხარისხს; დადგენილი წესით მოაწყობს მშენებლობისადმი საავტორო ზედამხედველობას;

უზრუნველყოფს მშენებლობათა დაფინანსებას და მათ მომარაგებას ისეთი მოწყობილობით, მასალებითა და ნაკეთობებით, რომელთა მიწოდება შემკვეთთა მოვალეობაში შედის, განახორციელებს იმისადმი კონტროლს, რომ ქვესაუწყებო საწარმოებმა და ორგანიზაციებმა გაანაწილონ კაპიტალური მშენებლობისათვის საჭირო მოწყობილობის შეკვეთები მის შესაძენად გამოყოფილი ფონდებისა და ასიგნებათა შესაბამისად, შეიმუშავებს ღონისძიებებს მშენებლობაში შინაგანი რესურსების მობილიზაციისათვის და კონტროლს გაუწევს ამ ღონისძიებათა შესრულებას;

უზრუნველყოფს საწარმოო სიმძლავრეთა და ძირითადი ფონდების დროზე გადაცემას საექსპლოატაციოდ, აგრეთვე საწარმოო სიმძლავრეთა ათვისებას მოკლე ვადებში; დადგენილი წესით დანიშნავს სახელმწიფო კომისიებს მშენებლობით დამთავრებულ საწარმოთა, შენობათა და ნაგებობათა მისაღებად, დაამ-

ტკიცებს მათი მიღების აქტებს და გამოიტანს გადაწყვეტილებებს შეჯამებითი სახარჯთაღრიცხვო საფინანსო გაანგარიშებების დახურვის შესახებ;

მოაწყობს ძირითადი ფონდების კაპიტალურ რემონტს, უზრუნველყოფს მოწყობილობის მოდერნიზაციას, ტექნიკური დონისა და მწარმოებლურობის ამაღლებას, აგრეთვე შენობათა და ნაგებობათა ტექნიკური და საექსპლოატაციო მდგომარეობის გაუმჯობესებას, განახორციელებს ღონისძიებებს რემონტის ხარისხის ამაღლებისა და მისი გაიაფებისათვის;

რ) განახორციელებს ღონისძიებებს, რომელთა მიზანია სამეურნეო ანგარიშის განმტკიცება, სამინისტროს სისტემის საწარმოთა და ორგანიზაციათა რენტაბელობის ამაღლება და დაგროვების მაქსიმალურად გადიდება, ძირითადი ფონდების, საბრუნავი სახსრებისა და ბანკის კრედიტების ეფექტიანად გამოყენება;

დააფინანსებს რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, დადგენილი წესით გადაანაწილებს მათ შორის სახსრებს და ხელმძღვანელობას გაუწევს მათს ფინანსურ საქმიანობას; განახორციელებს კონტროლს სამინისტროს სისტემაში ფინანსური რესურსების გამოყენებისადმი;

უზრუნველყოფს სამინისტროს საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ საფინანსო გეგმების შესრულებას, საკუთარი საბრუნავი სახსრების დაცვა-შენახვას, ანგარიშის დროზე გასწორებას მუშებთან და მოსამსახურეებთან, ბიუჯეტთან, მიმწოდებლებთან, მოიჯარეებთან, ბანკებთან, აგრეთვე იმას, რომ საწარმოებმა და ორგანიზაციებმა გადარიცხონ საკუთარი სახსრები, რომლებიც განკუთვნილია კაპიტალური მშენებლობის, კაპიტალური რემონტის დასაფინანსებლად და საფინანსო გეგმით გათვალისწინებული სხვა მიზნებისათვის;

დადგენილი წესით შექმნის ახალი ტექნიკის ათვისების ფონდს, ახალი ტექნიკის შექმნისა და დანერგვისათვის დაჯილდოების ფონდს და სხვა ცენტრალიზებულ ფონდებს, აგრეთვე რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის ფინანსური დახმარების გასაწევ რეზერვს;

მოაწყობს ბანკების დაწესებულებებთან ერთად ანგარიშსწორების ყველაზე ეკონომიური და პროგრესული ფორმების დანერგვას;

გახსნის ბანკებში საანგარიშსწორებო ანგარიშებს იმისათვის, რომ გადანაწილდეს რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებსა და ორგანიზაციებს შორის საკუთარი საბრუნავი სახსრები, მოგება, ახალი ტექნიკის ათვისების ფონდის შესაქმნელი თანხები და სხვა სახსრები, აგრეთვე გახსნის ცალკეულ ანგარიშებს საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის ფინანსური დახმარების გასაწევი რეზერვის სახსრების და კაპიტალური რემონტისათვის განკუთვნილი საამორტიზაციო ანარიცხების რეზერვის სახსრების დაცვა-შენახვისათვის;

მოაწყობს საბუღალტრო აღრიცხვას სამინისტროს სისტემის საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში, დადგენილი წესით მიიღებს სტატისტიკურ და საბუღალტრო ანგარიშგებას, განახორციელებს ღონისძიებებს საღრიცხვო სამუშაოთა ცენტრალიზაციისა და მექანიზაციისათვის, აღრიცხვის პროგრესული მეთოდების დანერგვისათვის; განიხილავს ავტონომიური რესპუბლიკების ვაჭრობის სამინისტროების, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკო-

მების ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების სამმართველოების და განყოფილებების შეჯამებითს ანგარიშებსა და ბალანსებს, დაამტკიცებს სამინისტროს სამმართველოებისა და განყოფილებების, რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ანგარიშებსა და ბალანსებს; შეადგენს შეჯამებითს ანგარიშებსა და ბალანსებს სამინისტროს საქმიანობის სახეობათა მიხედვით;

მოაწყობს სამინისტროს სისტემაში საკონტროლო-სარევიზიო მუშაობას უწყებრივი კონტროლის შესახებ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, უზრუნველყოფს რევიზიების რეგულარულად ჩატარებას, ეკონომიკის მდგომარეობის ყოველმხრივ ანალიზს, ფულადი სახსრებისა და მატერიალურ ფასეულობათა დაცვა-შენახვის შემოწმებას, მომჭირნეობის რეჟიმის დაცვას; კონტროლს გაუწევს სამინისტროს სისტემაში აღრიცხვისა და ანგარიშგების სწორად წარმოებასა და სინამდვილეს, აგრეთვე განახორციელებს ღონისძიებებს სახელმწიფო ქონების დაცვისა და მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურებისათვის;

განახორციელებს შიგასაუწყებო საფინანსო კონტროლს რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებსა და ორგანიზაციებში, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებთან ერთად მიიღებს მონაწილეობას ამ სამუშაოს შესრულებაში რესპუბლიკური (ასსრ) და ადგილობრივი დაქვემდებარების ორგანიზაციებისა და საწარმოების მიხედვით;

სისტემატურ დახმარებას გაუწევს საზოგადოებრივი კონტროლის კომისიებს კონტროლის ხაზით მუშაობაში, აგრეთვე პროფკავშირული ორგანიზაციების საზოგადოებრივ კონტროლიორებს საცალო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა საქმიანობის შემოწმებაში;

ს) შეიმუშავებს და დადგენილი წესით წარადგენს წინადადებებს სახალხო მოხმარების საქონლის საცალო ფასების, სავაჭრო, სავაჭრო-საყოფაცხოვრებო შეღავათების სისტემის სრულყოფისა და მოქმედი პრეისკურანტების მოწესრიგების საკითხებზე;

დაადგენს საზოგადოებრივი კვების სახელმწიფო საწარმოთა პროდუქციის ფასების განსაზღვრის წესს და დაამტკიცებს ამ პროდუქციის ფასნამატის ზღვრულ ოდენობას;

მონაწილეობას მიიღებს სახალხო მოხმარების საქონლის იმ საცალო ფასების დაწესების საკითხების განხილვაში, რომლებსაც საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული ფასების კომიტეტი ამტკიცებს; განახორციელებს კონტროლს ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციებისა და საწარმოების მიერ ფასების სწორად გამოყენებისადმი, კონტროლს გაუწევს ადგილობრივი ორგანოების მიერ ბოსტნეულისა და ხილის საცალო ფასების სწორად დამტკიცებას;

შეიმუშავებს და დასამტკიცებლად წარუდგენს სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს იმ სავაჭრო მოწყობილობის, სავაჭრო ინვენტარის, სარეკლამო პროდუქციის და სავაჭრო-ტექნოლოგიური მოწყობილობის რემონტის საბითუმო ფასების პროექტებს, რომლებსაც სამინისტროს სისტემის საწარმოები ამზადებენ;

ტ) უზრუნველყოფს სამინისტროს სისტემის საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს მუშაკთა კვალიფიციური კადრებით, მოაწყობს კადრების მომზადებას და მათი კვალიფიკაციის ამაღლებას; შეისწავლის სამინისტროს სისტემაში მომუშავე კადრებს, უზრუნველყოფს ძველი გამოცდილი კადრებისა და ახალგაზრდა ნიჭიერი მუშაკების შეხამებას, შექმნის იმის პირობებს, რომ დაწინაურებულ იქნან ხელმძღვანელ სამუშაოზე თავისი საქმის კარგად მცოდნე, პოლიტიკურად მომწიფებული სპეციალისტები, რომლებიც ავტორიტეტითა და ნდობით სარგებლობენ კოლექტივში; განახორციელებს ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მუდმივი კადრების შექმნას სამინისტროს სისტემაში; მიიღებს ზომებს ახალგაზრდა სპეციალისტების რაციონალურად გამოყენებისათვის;

დადგენილი წესით განსაზღვრავს ბრუნვის ხარჯების ანგარიშში ანარიცხთა ოდენობას სამინისტროს სისტემის კადრების მომზადებისა და გადამზადებისათვის და მოახდენს ანარიცხთა რაოდენობის დიფერენციაციას ავტონომიური რესპუბლიკების, ოლქის, ქალაქებისა და რესპუბლიკური დაქვემდებარების ორგანიზაციების მიხედვით დამტკიცებული გეგმის ფარგლებში;

სისტემატურ დახმარებას გაუწევს შრომისა და მართვის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვას სამინისტროს სისტემის საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში, უზრუნველყოფს ისეთ ღონისძიებათა განხორციელებას, რომელთა მიზანია შრომის პირობების შემდგომი გაუმჯობესება და გაჯანსაღება, უსაფრთხოების ტექნიკის წესებისა და საწარმოო სანიტარიის მოთხოვნების მტკიცედ დაცვა;

პროფკავშირული ორგანიზაციების მონაწილეობით შეიმუშავებს და განახორციელებს ღონისძიებებს შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის;

უზრუნველყოფს შრომის ანაზღაურებისა და დაჯილდოების მოქმედი პირობების სწორად გამოყენებას, განახორციელებს კონტროლს ხელფასის ფონდის და წახალისებითი ფონდების ხარჯვისადმი;

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებით შეიტანს ცვლილებებს (2 პროცენტამდე რაოდენობით) ხელფასის ფონდის კვარტალურ გეგმებში სამინისტროსათვის დამტკიცებული ხელფასის წლიური ფონდის ფარგლებში, ამასთან შემდგომ ამ ცვლილებებს აცნობებს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს;

დააწესებს საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა არასაშტატო (არასიობრივ) მუშაკთა ხელფასის ფონდს ხელფასის იმ საერთო ფონდის ფარგლებში, რაც დამტკიცებულია სამინისტროსათვის;

გაათავისუფლებს ცალკეულ საწარმოებს ხელფასის ფონდის დაშვებული გადახარჯვის ანაზღაურებისაგან სამინისტროსათვის დაწესებული ხელფასის ფონდის ფარგლებში;

უ) სახელმწიფო ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტთან ერთად უზრუნველყოფს კოლექტიური ხელშეკრულებების დადებას და განახორციელებს მათი შესრულების კონტროლს;

უზრუნველყოფს სახელმწიფო ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის მონაწილეობით სამინისტროს სისტემის საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მუშაკთა საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, აგრეთვე გამაჯანსაღებელი ღონისძიებების გატარებას;

ფ) მიაკუთვნებს დადგენილი წესით საწარმოთა მაღალკვალიფიციურ მუშაკებს ოსტატის წოდებას პროფესიების მიხედვით, დააჯილდოებს რესპუბლიკის სახელმწიფო ვაჭრობის მოწინავეებს სამკერდე ნიშნებით, საპატიო სიგელებით და გამოიყენებს წახალისების სხვა ღონისძიებებს; დადგენილი წესით წარადგენს წინადადებებს რესპუბლიკის საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ;

ქ) სახელმწიფო ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტთან ერთად მოაწყობს სოციალისტურ შეჯიბრებას და კომუნისტური შრომისათვის მოძრაობას, დაამტკიცებს პირობებს რესპუბლიკური დაქვემდებარების, ავტონომიური რესპუბლიკების, საქართველოს სსრ ოლქისა და ქალაქების საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივების სოციალისტური შეჯიბრებისა სახელმწიფო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების უკეთ დაყენებისათვის, დადგენილი წესით დაამტკიცებს გარდამავალ წითელ დროშებს, დააწესებს რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრებისათვის დროშებისა და ფულადი პრემიების რაოდენობას ავტონომიური რესპუბლიკების, ოლქის სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივების წასახალისებლად;

პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტთან ერთად შეაჯამებს სოციალისტური შეჯიბრების შედეგებს და გამარჯვებულ კოლექტივებს მიანიჭებს გარდამავალ წითელ დროშებსა და ფულად პრემიებს, მოაწყობს შრომის მოწინავე მეთოდების და მოწინავე გამოცდილების შესწავლას, განზოგადებას და გავრცელებას;

ღ) ხელმძღვანელობას გაუწევს გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის განვითარებას, შეიმუშავებს გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის პერსპექტიულ და თემატურ გეგმებს, უზრუნველყოფს გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვას. გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის განვითარებისათვის მუშაობას სამინისტრო ეწევა სახელმწიფო ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტთან ერთად;

ყ) ხელმძღვანელობას გაუწევს საკოლმეურნეო ბაზრების სამმართველოების (განყოფილებების) მუშაობას, განიხილავს და დაამტკიცებს მათი შემოსავალ-გასავლის გეგმებს, აგრეთვე ბაზრების მშენებლობისა და კეთილმოწყობის გეგმებს.

7. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო:

რესპუბლიკის მგეგმავი ორგანოებისაგან, სამინისტროებისა და უწყებებისაგან მიიღებს სახალხო მოხმარების საქონლის ასორტიმენტული წარმოებისა და განაწილების გეგმებს, აგრეთვე ანგარიშებს აღნიშნული საქონლის წარმოებისა და მიწოდების შესახებ;

აწარმოებს რესპუბლიკაში ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების სტატისტიკურ აღრიცხვას და კონიუნქტურულ დაკვირვებას მათი მდგომარეობისა და მათში მომხდარი ცვლილებებისადმი.

8. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო უზრუნველყოფს სოციალისტური სახელმწიფო საკუთრების დაცვას და ხანძარსაწინააღმდეგო უშიშროებას სამინისტროს სისტემის საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში და მისდამი დამზოგველურ დამოკიდებულებას.

9. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო უზრუნველყოფს მმართველობის დემოკრატიული საწყისების განვითარებას, შექმნის იმის პირობებს, რომ მშრომელებმა, მათმა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა გამოიჩინონ ინიციატივა და აქტიური მონაწილეობა მიიღონ ვაჭრობისა და წარმოების გაუმჯობესებაში, სამინისტროსა და მისი ქვესაუწყებო საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების საქმიანობის ნაკლოვანებათა აღმოფხვრაში;

მუშა-მოსამსახურეთა შრომისა და ყოფაცხოვრების საკითხებს სამინისტრო გადაწყვეტს საბჭოთა და პროფკავშირული ორგანოების წინადადებათა გათვალისწინებით, ხოლო მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში — ამ ორგანოებთან ერთად ან მათთან შეთანხმებით.

10. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო შექმნის, გადააკეთებს და გაუქმებს თავისი სისტემის საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს დადგენილი წესით, აგრეთვე შეცვლის საჭიროების დროს მათს დაქვემდებარებას მისთვის დაწესებული შრომის გეგმის (საბიუჯეტო ასიგნებათა) ფარგლებში, დაამტკიცებს ამ საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების წესდებებს (დებულებებს), შეიმუშავებს და განახორციელებს ღონისძიებებს, რომელთა მიზანია ვაჭრობის მმართველობის ორგანოების სტრუქტურის გაუმჯობესება და გამარტივება, საცალო და საბითუმო სავაჭრო ორგანიზაციების მუშაობაში არსებული პარალელიზმის აღმოფხვრა.

11. სისტემის საწარმოებსა, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს შორის წამოჭრილი სამეურნეო დავის განსახილველად საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო შექმნის არბიტრაჟს. სამინისტროს არბიტრაჟს უფლება ენიჭება გასცეს ბრძანებები მის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებათა იძულებითი წესით შესრულების შესახებ.

12. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო დადგენილი წესით მოიწვევს საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაწილეობით აქტივის თათბირებს, რომლებზედაც მოისმენენ და განიხილავენ მოხსენებებს ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების დარგში პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულების ღონისძიებათა შესახებ, დარგის განვითარების უმნიშვნელოვანეს პრობლემებს, აგრეთვე კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაშლის საფუძველზე განიხილავენ სამინისტროსა და მის ქვესაუწყებო საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა საქმიანობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

13. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო მოაწყობს მშრომელთა წერილების (განცხადებებისა და საჩივრების) დროულად და ყურადღებით განხილვას, ეცდება ამ წერილებში დაყენებული საკითხების სწორად გადაწყვეტას, აგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეთვე მიიღებს ზომებს სამინისტროს სისტემის საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების საქმიანობაში არსებულ იმ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის, რომლებიც აღნიშნულია მშრომელთა წერილებში.

14. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს სათავეში უდგას მინისტრი, რომელსაც საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად, ნიშნავს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო, ხოლო სესიებს შორის პერიოდში — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რასაც შემდგომ დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს.

საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრს ჰყავს მოადგილეები, რომლებსაც ნიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო. მინისტრის მოადგილეებს შორის მოვალეობას გაანაწილებს ვაჭრობის მინისტრი.

15. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროში შეიქმნება კოლეგია შემდეგი შემადგენლობით: მინისტრი (თავმჯდომარე) და მინისტრის მოადგილეები თანამდებობის მიხედვით, აგრეთვე ვაჭრობის სხვა ხელმძღვანელი მუშაკები.

სამინისტროს კოლეგიის წევრებს დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

16. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს კოლეგია თავის სხდომებზე, რომლებიც რეგულარულად იმართება, განიხილავს ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების განვითარების ძირითად საკითხებს და სამინისტროს საქმიანობის სხვა საკითხებს, ვაჭრობის და საზოგადოებრივი კვების საწარმოებისა, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისადმი პრაქტიკული ხელმძღვანელობის, შესრულების შემოწმების, კადრების შერჩევისა და გამოყენების საკითხებს, უმნიშვნელოვანესი ბრძანებებისა და ინსტრუქციების პროექტებს; მოისმენს ავტონომიური რესპუბლიკების ვაჭრობის სამინისტროების, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების სამმართველოებისა და განყოფილებების, იმ სამინისტროებისა და უწყებების მოხსენებებს, რომლებსაც სავაჭრო ქსელი აქვთ რესპუბლიკის ტერიტორიაზე, სამინისტროს სამმართველოების, განყოფილებების, სამინისტროს სისტემის საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ანგარიშებს;

კოლეგიის გადაწყვეტილებანი ცხოვრებაში ტარდება, როგორც წესი, მინისტრის ბრძანებით. მინისტრსა და კოლეგიას შორის უთანხმოების შემთხვევაში მინისტრი ცხოვრებაში გაატარებს თავის გადაწყვეტილებას და წამოჭრილი უთანხმოების შესახებ მოახსენებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, ხოლო კოლეგიის წევრებს თავიანთ მხრივ შეუძლიათ აცნობონ თავისი აზრი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

17. საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრს ეკისრება პერსონალურად პასუხისმგებლობა სამინისტროზე დაკისრებული ამოცანებისა და მოვალეობათა შესრულებისათვის, იგი დააწესებს მინისტრის მოადგილეების, სამმართველოებისა და განყოფილებათა უფროსების, აგრეთვე სამინისტროს სხვა ქვეგანაყოფების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობას სამინისტროს საქმიანობის ცალკეული დარგებისადმი ხელმძღვანელობისა და სამინისტროს სისტემის საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მუშაობისათვის.

18. საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრი მოქმედი კანონების, აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა და განკარგულებების, სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს ბრძანებებისა და ინსტრუქციების საფუძველზე და შესასრულებლად გამოსცემს ბრძანებებსა და ინსტრუქციებს, რომლებიც სამინისტროს კომპეტენციაში შედის, აგრეთვე შესასრულებლად სავალდებულო მითითებებს მისცემს ავტონომიური რესპუბლიკების ვაჭრობის სამინისტროებს, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების სამმართველოებს, განყოფილებებს, სამინისტროს სისტემის საწარმოებს, ორგანიზაციებს, დაწესებულებებს და შეამოწმებს ამ მითითებათა შესრულებას. საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრის ბრძანებები და ინსტრუქციები ვაჭრობისადმი ხელმძღვანელობის საკითხებზე, რომლებიც სამინისტროს კომპეტენციაში შედის, სავალდებულოა ვაჭრობის ყველა საწარმოსა და ორგანიზაციისათვის, აგრეთვე იმ სამინისტროებისა და უწყებებისათვის, რომლებსაც ეს საწარმოები და ორგანიზაციები ემორჩილებიან.

საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრს შეუძლია მიანდოს მის კომპეტენციაში შემავალი ცალკეული საკითხების გადაწყვეტა ავტონომიური რესპუბლიკების ვაჭრობის სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის და ქალაქ თბილისის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების ვაჭრობის სამმართველოებს;

საჭირო შემთხვევებში საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრი გამოსცემს ბრძანებებსა და ინსტრუქციებს სხვა სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებთან ერთად.

19. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსთან შეიქმნება:

წინადადებათა განსახილველად და ძირითად აქტუალურ საკითხებზე რეკომენდაციების შესამუშავებლად — საკონსულტაციო საბჭო. საბჭოს შემადგენლობას და მის დებულებას დაამტკიცებს საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრი;

პროდუქციის რეკლამირებისა და რეკლამის დანახარჯების გეგმების რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებს შორის კოორდინაციისათვის, სარეკლამო ღონისძიებებზე რეკომენდაციების შემუშავებისათვის, მათი განხორციელებისა და ეფექტიანობის ამაღლებისათვის — რეკლამის საუწყებათაშორისო საბჭო. საბჭოს შემადგენლობას და მის დებულებას დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო;

ისეთ წინადადებათა განსახილველად, რომლებიც შეეხება მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ძირითად მიმართულებებს, ვაჭრობაში მეცნიერულად დასაბუთებული ერთიანი ტექნოლოგიური პოლიტიკის განსაზღვრას, ვაჭრობაში სამამულო და უცხოეთის მეცნიერების ტექნიკისა და მოწინავე გამოცდილების უახლესი მიღწევების გამოყენებისა და დანერგვის რეკომენდაციების შემუშავებას, შეიქმნება ტექნიკურ-ეკონომიური საბჭო, რომლის შემადგენლობაში უნდა შედიოდნენ გამოჩენილი მეცნიერები, მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, ვაჭრობის ნოვატორები, აგრეთვე სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოებებისა

და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები. ტექნიკურ-ეკონომიური საბჭოს შემადგენლობას და მის დებულებას დაამტკიცებს საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრი.

20. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს ცენტრალური აპარატის მუშაკთა სტრუქტურას და რაოდენობას დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროსთან შეთანხმებით. მინისტრს შეუძლია შეიტანოს სამინისტროს ცენტრალური აპარატის სტრუქტურაში სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროსთან შეთანხმებული ცალკეული ცვლილებანი.

სამინისტროს ცენტრალური აპარატის საშტატო განრიგს, აგრეთვე დებულებას სამინისტროს სამმართველოებისა და განყოფილებების შესახებ დაამტკიცებს საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრი;

სამინისტროს სამმართველოები და განყოფილებები შეიძლება გადაყვანილ იქნან მინისტრის მიერ სამეურნეო ანგარიშზე.

21. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს აქვს ბეჭედი, რომელზედაც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი და თავისი სახელწოდება.

---

46 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დამზადებათა სახელმწიფო კომიტეტის კომბინირებული საკვების მრეწველობის საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის მოწყობის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მოეწყოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პურეული პროდუქტების და კომბინირებული საკვების მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის კომბინირებული საკვების მრეწველობის ცენტრალური რესპუბლიკური ლაბორატორიის ბაზაზე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დამზადებათა სახელმწიფო კომიტეტის კომბინირებული საკვების მრეწველობის საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ფილიალი და დაეკისროს მას სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების შესრულება კომბინირებული საკვების და მისი წარმოების ტექნოლოგიის შესაქმნელად ადგილობრივი ნედლეულისა და კვების მრეწველობის ნარჩენების კომპლექსური გამოყენების ბაზაზე.

2. მიღებულ იქნას ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დამზადებათა სახელმწიფო კომიტეტის კომბინირებული საკვების მრეწველობის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის მოწყობის საკითხი შეთანხმებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტთან.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პურეული პროდუქტებისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტმა გადასცეს კომბინირებული საკვების მრეწველობის ცენტრალური რესპუბლიკური ლაბორატორიის შენობა-ნაგებობანი და მთელი ქონება ბალანსიდან ბალანსზე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დამზადებათა სახელმწიფო კომიტეტის კომბინირებული საკვების მრეწველობის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1969 წლის 30 მაისი, № 322.

47 მსუბუქი მრეწველობის პროდუქციის საბითუმო ფასების შემდგომი სრულყოფის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 24 იანვრის № 69 დადგენილება „მსუბუქი მრეწველობის პროდუქციის საბითუმო ფასების შემდგომი სრულყოფის შესახებ“ დაეგზავნოს სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს, საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს, ცეკავშირს, საქართველოს ყრუმუნჯთა საზოგადოებას, საქართველოს უსინათლოთა საზოგადოებას და საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულ ფასების კომიტეტს.

2. დაევალოთ საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს, საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს, საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს, ცეკავშირს, საქართველოს ყრუმუნჯთა საზოგადოებას, საქართველოს უსინათლოთა საზოგადოებას:

ა) შეიმუშაონ საფეიქრო, საფეიქრო-საგალანტერიო, ქეჩის სათელავი, ტრიკოტაჟის, ტყავფეხსაცმლის, ტყავსაგალანტერიო, სასარაჯო-საუნაგირო და ჯაგრისის მრეწველობის, ხელოვნური ტყავის, ქურქ-ბეწვეულისა და საპროტეზ-ორთოპედიული მრეწველობის იმ პროდუქციის საბითუმო ფასების პრეისკურანტების პროექტები, რომლის ფასები რესპუბლიკაში მტკიცდება, და დასამტკიცებლად წარუდგინონ დასაბუთებული გაანგარიშებებით საქართველოს სსრ

სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულ ფასების კომიტეტს დანართით გათვალისწინებულ ვადებში;

ბ) წარუდგინონ საქართველოს სსრ სახელმწიფო-საგეგმო კომიტეტს, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს და საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული ფასების კომიტეტს გაანგარიშებანი პროდუქციის გაიაფებისა და გაძვირებისა მისი ახალი საბითუმო ფასების შემოღებასთან დაკავშირებით.

3. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულმა ფასების კომიტეტმა დაამტკიცოს და შემოიღოს სამოქმედოდ იმ პროდუქციის საბითუმო ფასები, რომლის ფასების დამტკიცება რესპუბლიკის კომპეტენციაში შედის:

— 1972 წლის 1 იანვრიდან — საფეიქრო, საფეიქრო-საგალანტერიო, ქეჩის სათელი და ტრიკოტაჟის მრეწველობის პროდუქციისა;

— 1973 წლის 1 იანვრიდან ტყავფეხსაცმლის, ტყავ-საგალანტერიო, სასარაჯო-საუნაგირო და ჯაგრისის მრეწველობის, ხელოვნური ტყავის, ქურქ-ბეწვეულის და საპროტეზო-ორთოპედიული მრეწველობის პროდუქციისა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1969 წლის 30 მაისი, № 324.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1969 წლის 30 მაისის № 324
დადგენილების დანართი

გ რ ა ფ ი კ ი

პრეისკურანტთა პროექტების წარდგენისა საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულ ფასების სახელმწიფო კომიტეტში

პრეისკურანტების დასახელება	პრეისკურანტების №№	საქართველოს სსრ სამინისტროები და უწყებები, რომლებიც პრეისკურანტების პროექტებს ადგენენ	პროექტების წარდგენის ვადა
1. საპროტეზო-ორთოპედიული ნაკეთობანი	35—10—06	სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო	1972 წლის 1 იანვარი
2. საგალანტერიო ნაწარმი ტყავისაგან, ტყავის შემცვლელებისაგან და ქსოვილისაგან	44—12—06	მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო, ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო, ცეკავშირი, ყრუ-მუნჯთა საზოგადოება, (მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს მთავარი ორგანიზაცია)	1972 წლის 1 იანვარი
3. საფეიქრო-საგალანტერიო ნაკეთობანი	48 - 02—06	მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო, ცეკავშირი	1971 წლის 1 იანვარი
4. ტექნიკური საფეიქრო-საგალანტერიო ნაკეთობანი	48—03—06	მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო	1971 წლის 1 იანვარი
5. ელასტიური ზონარი სამრეწველო მოხმარებისათვის	48—04—06	მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო	1971 წლის 1 იანვარი
6. ქეჩა და ქეჩის ნაწარმი	49—02—06	მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო	1971 წლის 1 იანვარი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ჟიტიაშვილი.**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 69

1969 წლის 24 იანვარი

მოსკოვი, კრემლი

მსუბუქი მრეწველობის პროდუქციის საბითუმო ფასების შემდგომი სრულყოფის შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნას სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული ფასების სახელმწიფო კომიტეტის, სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს წინადადებანი 1969-1972 წლებში მსუბუქი მრეწველობის პროდუქციის საბითუმო ფასების გადასინჯვის შესახებ იმ ანგარიშით, რომ:

ა) უფრო სრულად აისახოს ახალ საბითუმო ფასებში პროდუქციის წარმოების ხარჯები ცალკეული სახის სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო ნედლეულის ფასების შეცვლის გათვალისწინებით, ამასთან ძირითადად ლიკვიდირებულ იქნას ანაზღაურება სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროსთან არსებული „სოიუზგლავლეგპრომსირიოს“ საგანგებო ანგარიშიდან მიმწოდებელთა დანახარჯების გადამეტებისა იმ ფასებზე, რომელთა მიხედვით ქიმიური ბოჭკოები და სხვა სახის ნედლეული ეძლევათ მსუბუქი მრეწველობის საწარმოებს;

ბ) გაძლიერდეს საწარმოთა დაინტერესება მოსახლეობისათვის საჭირო ასორტიმენტის ნაკეთობათა გამოშვებით, გაფართოებითა და განახლებით, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებითა და საბავშვო ასორტიმენტის საქონლის წარმოების გადიდებით;

გ) გაფართოვდეს მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა ახალი სახის პროდუქციის ფასების განსაზღვრის ნორმატიული მეთოდების გამოყენების პრაქტიკა იმ ანგარიშით, რომ გაძლიერდეს ოპერატიულობა ახალი სახის საქონლის ფასების დაწესებაში.

დაწესდეს, რომ მსუბუქი მრეწველობის პროდუქციის საბითუმო ფასების გადასინჯვამ არ უნდა გამოიწვიოს საცალო ფასების გადიდება და დანაკარგები სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტისათვის.

2. სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ, სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის სამინისტრომ და სსრ კავშირის თევზის მრეწველობის სამინისტრომ:

ა) შეიმუშაონ საფეიქრო, ტრიკოტაჟის, ტყავფეხსაცმლის და ბეწვეულის მრეწველობის ხელოვნური ტყავის, ქიმიური ბოჭკოს, ბადესაქსოვი მასალების და ნატურალური ბოჭკოების პირველადი გადამუშავების საბითუმო ფასების დანახარჯების ნორმატივები და პრეისკურანტების პროექტები და წარუდგინონ ისინი (დასაბუთებული გაანგარიშებებით) დასამტკიცებლად სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულ ფასების სახელმწიფო კომიტეტს დანართით გათვალისწინებულ ვადებში;

ბ) წარუდგინონ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს და სსრ კავშირის სახელმწიფო კომიტეტთან არსებულ ფასების სახელმწიფო კომიტეტს გაანგარიშებანი პროდუქციის გაიაფებისა და გაძვირებისა მისი ახალი საბითუმო ფასების შემოღებასთან დაკავშირებით.

3. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულმა ფასების სახელმწიფო კომიტეტმა დაამტკიცოს და შემოიღოს სამოქმედოდ ახალი საბითუმო ფასები:

1972 წლის 1 იანვრიდან — საფეიქრო და ტრიკოტაჟის მრეწველობის, ნატურალური ბოჭკოების პირველადი დამუშავების მრეწველობის პროდუქციისა, ქიმიური ბოჭკოსა და ბადესაქსოვი მასალებისა.

1973 წლის 1 იანვრიდან — ტყავფეხსაცმლის მრეწველობის, ხელოვნური ტყავის მრეწველობის და ბეწვეულის მრეწველობის პროდუქციისა.

4. დაწესდეს, რომ საბავშვო ასორტიმენტის იმ ნაკეთობებსა და სამედიცინო ბამბის საბითუმო და საცალო ფასებს შორის არსებული სხვაობა, რომელთა საბითუმო ფასები წესდება საცალო ფასების გადამეტებით, აუნაზღაურდებათ საბითუმო-გამსაღებელ ორგანიზაციებსა და საწარმოებს ბრუნვის გადასახადის იმ გადასახდელთა შემცირების ხარჯზე, რაც მათ შეაქვთ ბიუჯეტში სხვა ნაკეთობებისათვის.

5. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა დაადგინონ მსუბუქი მრეწველობის იმ პროდუქციის საბითუმო ფასების გადასინჯვის წესი, რომლის ფასები მოკავშირე რესპუბლიკებში მტკიცდება და უზრუნველყონ ახალი პრეისკურანტების შემოღება სამოქმედოდ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულ ფასების სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებით.

6. ნება დაერთოს სამინისტროებსა და უწყებებს გასწიონ საბითუმო ფასების ამ დადგენილებით გათვალისწინებულ გადასინჯვასთან დაკავშირებული ხარჯები ცალკეული ქვესაუწყებო საწარმოებისა და ორგანიზაციების ზეგეგმითი მოგების ანგარიშში.

სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულმა ფასების სახელმწიფო კომიტეტმა განსაზღვრონ აღნიშნული სახსრების ხარჯვის წესი.

7. ნება დაერთოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულ ფასების სახელმწიფო კომიტეტს, მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო საგეგმო კომიტეტებთან არსებული ფასების კომიტეტებს, სამინისტროებს, უწყებებსა და მათს ქვესაუწყებო ორგანიზაციებს, რომლებსაც დავალებული აქვთ ამ დადგენილებით გათვალისწინებული ახალი საბითუმო ფასების პრეისკურანტთა პროექტებისა და დანახარჯების ნორმატივების შემუშავება, გამოიყენონ ამ სამუშაოს შესასრულებლად, აგრეთვე ექსპერტიზისა და კონსულტაციებისათვის სპეციალისტები სხვა ორგანიზაციებიდან და პენსიონერები იმ წესით, რაც გათვალისწინებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 23 აგვისტოს № 680 დადგენილების მე-20 პუნქტით.

8. შენარჩუნებულ იქნას 1969-1971 წლებისათვის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 5 ოქტომბრის № 925 დადგენილების მე-4 პუნქტით გათვალისწინებული წესი მატყლის ფასებში არსებული სხვაობის რეგულირებისა სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროსთან არსებული „სოიუზგლავლეგპრომსირიოს საგანგებო ანგარიშის მეშვეობით. ძალადაკარგულად ჩაითვალოს აღნიშნული დადგენილების მე-3 პუნქტი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **დ. პოლიანსკი.**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. სმირტიუკოვი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
1969 წლის 24 იანვრის № 69
დადგენილების დანართი

გ რ ა ფ ი კ ი

მსუბუქი მრეწველობის პროდუქციაზე დანახარჯების ნორმატივებისა და მისი საბითუმო ფასების პრეისკურანტების წარდგენისა

	სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული ფასების სახელმწიფო კომიტეტში წარდგენის ვადა
ცალკეული სახის პროდუქციის წარმოების დანახარჯების ნორმატივები, რომლებსაც შეიმუშავებს სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო:	
საფეიქრო მრეწველობის საწარმოთა პროდუქციისა	— 1971 წლის 1 იანვარი
ტრიკოტაჟის მრეწველობის საწარმოთა პროდუქციისა	— 1970 წლის 1 ივლისი
იმ საწარმოთა პროდუქციისა, რომლებიც აწარმოებენ ტყავს, ხელოვნურ ტყავს, საპირე მასალებს, სალანჩე რეზინას და მთრთილავ ექსტრაქტებს	— 1970 წლის 1 სექტემბერი
ფეხსაცმლის მრეწველობის საწარმოთა პროდუქციისა	— 1970 წლის 1 სექტემბერი
პრეისკურანტთა პროექტები, რომლებსაც შეიმუშავებს სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო: .	
ბამბის ბოჭკოსი მომხმარებლებთან ანგარიშსწორებისათვის. ბამბის საწმენდი მრეწველობის ნარჩენებისა და ბამბის ტექნიკური თესლისათვის	— 1970 წლის 1 მარტი
ბამბეულის წარმოების ნახვეწისა	— 1970 წლის 1 მარტი
სამედიცინო ბამბისა და სატანისამოსე და ტექნიკური ბამბის ნაწარმისა	— 1970 წლის 1 ივლისი
ბამბის ნართისა	— 1970 წლის 1 სექტემბერი
ბამბის ძაფისა და ძაფის ნაწარმისა, ხამი ბამბის ქსოვილისა, სპეციალური ტექნიკური ქსოვილებისა, კორდის ნაწარმისა, ღვედებისა, სატრანსპორტერო ლენტებისა და სხვა ტექნიკური ნაწარმისა	— 1971 წლის 1 იანვარი
მზა ბამბის ქსოვილებისა და ცალობრივი ნაწარმისა, არაქსოვილური საფეიქრო მასალებისა	— 1971 წლის 1 აპრილი
ნატურალური გარეცხილი მატყლისა, გაურეცხავი საიმპორტო მატყლისა, ...	— 1971 წლის 1 მარტი
აღდგენილი მატყლისა და შალის მრეწველობის ნარჩენებისა, შალის ნართისა, სასავარცხლე და სასაქონლო სააპარატოსი	— 1970 წლის 1 სექტემბერი
ტექნიკური მაუდისა, ხამი ქსოვილისა და მისი ნართისა.	
შალის ღვედებისა და ტილოებისა ხაოიანი ლენტებისათვის, ხალიჩებისა და ხალიჩის ნაწარმისა . . .	— 1971 წლის 1 იანვარი
ნართისა, ხამი ქსოვილისა, მზა ქსოვილებისა და შალის ცალობრივი ნაწარმისა	— 1971 წლის 1 აპრილი
აბრეშუმის წარმოების ნარჩენებისა	— 1970 წლის 1 მარტი
ნედლი აბრეშუმისა, აბრეშუმის ნართისა, შტაპელის ნართისა და დაგრეხილი ნაწარმისა (ნახევარფაბრიკატები)	— 1970 წლის 1 სექტემბერი
ხამი აბრეშუმის ქსოვილისა	— 1971 წლის 1 იანვარი
მზა აბრეშუმის ქსოვილისა და ცალობრივი ნაწარმისა, აბრეშუმის ტექნიკური ნაწარმისა	— 1971 წლის 1 აპრილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

	სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული ფასების სახელმწიფო კომიტეტში წარდგენის ვადა
საქარხნო და არასაქარხნო დამუშავების სელის ბოჭკოსა და სელის ძენძისა; კანაფის ბოჭკოსა და ლაფნისა და ჯუთის და კენაფის ბოჭკოსა; სელის და ქერელის ნახვეწისა, დამუშავებული სელ-ქერელის ნახვეწისა, სართავ-საქსოვისა	— 1970 წლის 1 მარტი
ვარცხნილი სელისა, ვარცხნილი ქერელისა და ნავარცხნისა	— 1970 წლის 1 აპრილი
სელის ნართისა	— 1970 წლის 1 სექტემბერი
სელის ძაფისა	— 1970 წლის 1 ოქტომბერი
ტრანსპორტერული ლენტებისა, სახანძრო საბუხარებისა და თევზტუმბოებისა, ხამი სელის ქსოვილისა, ქერელ-ჯუთის და დაგრეხილი ნაწარმისა	— 1971 წლის 1 იანვარი
მზა სელის ქსოვილებისა და ცალობრივი ნაწარმისა	— 1971 წლის 1 აპრილი
ტრიკოტაჟის მრეწველობის ნარჩენებისა	— 1971 წლის 1 იანვარი
წინდის ნაწარმისა, ხელთათმანებისა, ხელჯაგისა, შარფებისა, ქუდებისა, ცხვირსახოცებისა და ვატინისა; ტრიკოტაჟის ტილოებისა; ტრიკოტაჟის სპეციალურად შეკვეთილი ნაწარმისა	— 1971 წლის 1 აპრილი
ზედა ტრიკოტაჟის ნაწარმისა, სათეთრეულე ტრიკოტაჟის ნაწარმისა	— 1971 წლის 1 აპრილი
საგარდინე ტილოსა, ტიულისა და მაქმანისა . . .	— 1971 წლის 1 აპრილი
ხელოვნური ბეწვეულისა	— 1971 წლის 1 იანვარი
გამოქნილი და შეღებილი ბეწვეულის ტყავებისა .	— 1971 წლის 1 სექტემბერი
ტყავნედლეულისა, ცხვრის ტყავის და ბეწვეულის ქურქისა; კანქვეშა წებოსი, საქარხნო მატყლისა და ჯაგრისისა და ტყავის და ფეხსაცმლის მრეწველობის ნარჩენებისა	— 1970 წლის 1 მარტი
ტყავისა, რანტებისა და ტყავის ამძრავი ღვედებისა .	— 1970 წლის 1 სექტემბერი
მთრთილავი ექსტრაქტებისა და სინთეზური მთრთილავებისა	— 1970 წლის 1 აპრილი
საძირე რეზინისაგან დამზადებული ნაწარმისა, პლასტტყავისა და საფეხსაცმელე მუყაოსა	— 1971 წლის 1 იანვარი
ხელოვნური ტყავისა და საფირე მასალებისა, საყდე მასალებისა და ნიტროის ტყავისა	— 1971 წლის 1 ივლისი
სპეციალურად შეკვეთილი ფეხსაცმლის კომპლექტებისა და დეტალებისა	— 1971 წლის 1 ივლისი
ტყავის სპორტული ფეხსაცმლისა; ბიჭის, გოგოს, სასკოლო, საბავშვო, ბავშვის მცირე ზომის ტყავის ფეხსაცმლისა და პინეტებისა, ქალის ტყავის ფეხსაცმლისა, კაცის ტყავის ფეხსაცმლისა, ...	—1972 წლის 1 იანვარი
პრეისკურანტთა პროექტები, რომლებსაც შეიმუშავებს სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის სამინისტრო:	
სამრეწველო ქიმიური ბოჭკოს საწარმოების მიერ გამომუშავებული პროდუქციისა	— 1970 წლის 1 მარტი
პრეისკურანტთა პროექტები, რომლებსაც შეიმუშავებენ სსრ კავშირის თევზის მეურნეობის სამინისტრო.	
ბადესაქსოვი მასალებისა	— 1971 წლის 1 იანვარი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. სმირტიუკოვი.**

48 კავკასიის მინერალურ ნედლეულის ინსტიტუტისათვის აკადემიკოს ალექსანდრე ანტონის ძე თვალჭრელიძის სახელის მიკუთვნების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

დაკმაყოფილდეს კავკასიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიის სამმართველოს შუამდგომლობა და მიეკუთვნოს კავკასიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტს გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, აკადემიკოს ალექსანდრე ანტონის ძე თვალჭრელიძის სახელი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1969 წლის 5 ივნისი, № 332.

49 თბილისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმისა და ზესტაფონის რაიონის სოფ. შროშის საშუალო სკოლისათვის სახელწოდებათა მიკუთვნების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

დაკმაყოფილდეს მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო და ზესტაფონის რაიონული საბჭოების აღმასკომების შუამდგომლობა და მიეკუთვნოთ:

თბილისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმს — პოეტ-აკადემიკოს იოსებ გრიშაშვილის სახელი;

ზესტაფონის რაიონის სოფ. შროშის საშუალო სკოლას — ამ სოფლის მკვიდრის, კონტრ-ადმირალ კონსტანტინე დავითის ძე სუხიაშვილის სახელი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1969 წლის 10 ივნისი, № 338.

50 საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს 67 საწარმოს დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადაყვანის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნას საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს წინადადება და იმ საწარმოთა დამატებით, რომლებიც წინათ არიან გადაყვანილი დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 27 თებერვლის № 99 დადგენილებით, გადაყვანილ იქნას 1969 წლის 1 აპრილიდან მეურნეობის გაძღოლის ახალ სისტემაზე კავშირგაბმულობის 67 საწარმო, № 1 დანართის თანახმად.

2. მიღებულ იქნას ცნობად, რომ მეურნეობის გაძღოლის ახალ სისტემაზე გადაყვანილმა კავშირგაბმულობის 67 საწარმომ:

ა) მიიღო 1969 წლისათვის დამტკიცებული გეგმის დამატებით დავალება — გაადიდონ მოგება 1411 ათასი მანეთით, მათ შორის დამატებითი მოგების ხარჯზე — 1291 ათასი მანეთით, აქედან სატარიფო შემოსავლის ზრდის ხარჯზე — 800 ათასი მანეთით, მოგების საბიუჯეტო ანარიცხთა მიხედვით (მოგების თავისუფალი ნაშთის სახით) — 129,1 ათასი მანეთით;

ბ) შეამცირა ცენტრალიზებული და კაპიტალური დაბანდებანი 221,2 ათასი მანეთით (იმის ხარჯზე, რომ საამორტიზაციო ანარიცხები წარიმართა წარმოების განვითარების ფონდში ძირითადი ფონდების სრულად აღდგენისათვის) და ხელფასის ფონდი — 85 ათასი მანეთით (ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისათვის გეგმით გათვალისწინებული იმ პრემიების ხარჯზე, რომლებიც ხმარდება მოგების გადიდებას მატერიალური წახალისების ფონდის შესაქმნელად);

გ) ვალდებულება იკისრეს 1969 წლის 9 თვის განმავლობაში, ე. ი. ახალ პირობებში მუშაობის პერიოდისათვის გაადიდონ შრომის ნაყოფიერება 1968 წელთან შედარებით 5,7 პროცენტით და საშუალო ხელფასი — 5,2 პროცენტით.

3. დამტკიცდეს ეკონომიური სტიმულირების ფონდებში მოგების ანარიცხების ნორმატივები საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს საწარმოებისათვის, რომლებიც გადაყვანილი არიან დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე, აგრეთვე მთლიანად სამინისტროსათვის, № 2 დანართის თანახმად.

4. ნება დაერთოს საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს:

ა) განახორციელოს კავშირგაბმულობის მუშაკთა პროფკავშირის კომიტეტთან შეთანხმებით მატერიალური წახალისების ფონდსა და სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა და საბინაო მშენებლობის ფონდში მოგების ანარიცხების ნორმატივების დიფერენციაცია კავშირგაბმულობის ქვესაუწყებო საწარმოებისათვის იმ ნორმატივების ფარგლებში, რომლებიც სამინისტროს დაუმტკიცდა;

ბ) მოახდინოს ცენტრალიზაცია წარმოების განვითარების ფონდისა, რომელიც შეიქმნება მოგების ანარიცხთა ხარჯზე, ძირითადი ფონდების სრული აღდგენისათვის განკუთვნილი 15-პროცენტიანი საამორტიზაციო ანარიცხების ხარჯზე;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) გადაანაწილოს ცალკეულ შემთხვევებში კაპიტალური რემონტისათვის განკუთვნილი საამორტიზაციო ანარიცხები კავშირგაბმულობის ქვესაუწყებო საექსპლუატაციო საწარმოებსა და საწარმოო-ტექნიკურ სამმართველოებს შორის იმ პირობით, თუ უზრუნველყოფილი იქნება კაპიტალური რემონტის გეგმის შესრულება;

დ) იმ შემთხვევაში, თუ მუშაობის დროს წამოიჭრა ისეთი მიზეზებით გამოწვეული სიძნელეები, რომლებიც არ არის დამოკიდებული კავშირგაბმულობის საწარმოებსა და საწარმოო-ტექნიკურ სამმართველოებზე, შეიტანოს მთელი კვარტალის განმავლობაში ცვლილებანი ხელფასის ფონდის კვარტალურ გეგმებში სამინისტროს რეზერვის ფარგლებში.

5. დაწესდეს ძირითადი საწარმოო ფონდებისათვის გადასახდელის ნორმა და ნორმირებული საბრუნავი სახსრები მთლიანად საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს ხაზით 6 პროცენტის რაოდენობით. მთლიანად სამინისტროს ხაზით საბიუჯეტო გადასახდელების შეტანა მოხდეს ცენტრალიზებული წესით.

საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრომ შეიტანონ საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს 1969 წლის ბიუჯეტსა და შემოსავალ-გასავლის ბალანსში ცვლილებანი, რომლებიც გამომდინარეობენ ამ დადგენილებიდან და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 27 თებერვლის № 99 დადგენილებიდან.

6. უფლება მიენიჭოთ დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადაყვანილი კავშირგაბმულობის საექსპლოატაციო საწარმოებისა და საწარმოო-ტექნიკური სამმართველოების უფროსებს, მიზანშეწონილობის შემთხვევაში, კავშირგაბმულობის მუშაკთა პროფკავშირის სათანადო კომიტეტთან შეთანხმებით, აძლიონ დანამატი მუშაკებს თანამდებობებისა და პროფესიების შეთავსებისათვის შეცვლილი მუშაკის სატარიფო განაკვეთის (თანამდებობრივი სარგოს) 30 პროცენტამდე.

აღნიშნული დანამატი გასცენ ხელფასის ფონდის ფარგლებში იმ პირობით, თუ თანამდებობებისა და პროფესიების შეთავსების შედეგად ხდება მუშაკთა რაოდენობის შემცირება იმ რაოდენობასთან შედარებით, რომელიც საჭიროა დამტკიცებული ნორმატივების ან მომსახურების ნორმების მიხედვით.

7. საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრომ მიიღოს საჭირო ზომები იმ ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა გასახორციელებლად, რომლებიც კავშირგაბმულობის საწარმოებმა შეიმუშავეს დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით, აგრეთვე იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას სწორი თანაფარდობა შრომის ნაყო-

ფიერების და მუშაკთა საშუალო ხელფასის ზრდის ტემპებს შორის, მატერიალური წახალისების ფონდიდან ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა, მოსამსახურეთა და მუშათა პრემიების ოდენობას შორის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1969 წლის 12 ივნისი, № 344.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1969 წლის 12 ივნისის № 344
დადგენილების დანართი № 1

ნ უ ს ხ ა

საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს საწარმოებისა, რომლებიც გადაყვანილი არიან დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ პირობებზე 1969 წლის 1 აპრილიდან

1. აბაშის კავშირგაბმულობის რაიონული კვანძი
2. ამბროლაურის კავშირგაბმულობის რაიონული კვანძი
3. ადიგენის კავშირგაბმულობის რაიონული კვანძი
4. ასპინძის კავშირგაბმულობის რაიონული კვანძი
5. ახმეტის კავშირგაბმულობის რაიონული კვანძი
6. ახალქალაქის კავშირგაბმულობის რაიონული კვანძი
7. ახალციხის კავშირგაბმულობის რაიონული კვანძი
8. ბორჯომის კავშირგაბმულობის რაიონული კვანძი
9. ბოგდანოვკის კავშირგაბმულობის რაიონული კვანძი
10. ბოლნისის კავშირგაბმულობის რაიონული კვანძი
11. ვანის კავშირგაბმულობის რაიონული კვანძი
12. გარდაბნის კავშირგაბმულობის რაიონული კვანძი
13. გეგეჭკორის კავშირგაბმულობის რაიონული კვანძი
14. გორის კავშირგაბმულობის საქალაქო კვანძი
15. გურჯაანის კავშირგაბმულობის რაიონული კვანძი
16. დმანისის კავშირგაბმულობის რაიონული კვანძი
17. დუშეთის კავშირგაბმულობის რაიონული კვანძი
18. ზესტაფონის კავშირგაბმულობის რაიონული კვანძი
19. ზუგდიდის კავშირგაბმულობის რაიონული კვანძი
20. კასპის კავშირგაბმულობის რაიონული კვანძი
21. ქარელის კავშირგაბმულობის რაიონული კვანძი
22. ყაზბეგის კავშირგაბმულობის რაიონული კვანძი
23. ყვარლის კავშირგაბმულობის რაიონული კვანძი
24. ქუთაისის კავშირგაბმულობის საქალაქო კვანძი
25. ლაგოდეხის კავშირგაბმულობის რაიონული კვანძი
26. ლენტეხის კავშირგაბმულობის რაიონული კვანძი
27. ლანჩხუთის კავშირგაბმულობის რაიონული კვანძი
28. მაიაკოვსკის კავშირგაბმულობის რაიონული კვანძი
29. მარნეულის კავშირგაბმულობის რაიონული კვანძი
30. მახარაძის კავშირგაბმულობის რაიონული კვანძი
31. მესტიის კავშირგაბმულობის რაიონული კვანძი
32. მცხეთის კავშირგაბმულობის რაიონული კვანძი
33. ონის კავშირგაბმულობის რაიონული კვანძი

34. ორჯონიკიძის კავშირგაბმულობის რაიონული კვანძი
35. ფოთის კავშირგაბმულობის საქალაქო კვანძი
36.რუსთავის კავშირგაბმულობის საქალაქო კვანძი
37. საგარეჯოს კავშირგაბმულობის რაიონული კვანძი
38. სამტრედიის კავშირგაბმულობის რაიონული კვანძი
39. საჩხერის კავშირგაბმულობის რაიონული კვანძი
40. სიღნაღის კავშირგაბმულობის რაიონული კვანძი
41. თელავის კავშირგაბმულობის რაიონული კვანძი
42. თეთრიწყაროს კავშირგაბმულობის რაიონული კვანძი
43. თერჯოლის კავშირგაბმულობის რაიონული კვანძი
44. თიანეთის კავშირგაბმულობის რაიონული კვანძი
45. ტყიბულის კავშირგაბმულობის საქალაქო კვანძი
46. ხაშურის კავშირგაბმულობის რაიონული კვანძი
47. ხობის კავშირგაბმულობის რაიონული კვანძი
48. ცაგერის კავშირგაბმულობის რაიონული კვანძი
49. წალკის კავშირგაბმულობის რაიონული კვანძი
50. წალენჯიხის კავშირგაბმულობის რაიონული კვანძი
51. წითელწყაროს კავშირგაბმულობის რაიონული კვანძი
52. წულუკიძის კავშირგაბმულობის რაიონული კვანძი
53. წყალტუბოს კავშირგაბმულობის რაიონული კვანძი
54. ცხაკაიას კავშირგაბმულობის რაიონული კვანძი
55. ჭიათურის კავშირგაბმულობის საქალაქო კვანძი
56. ჩოხატაურის კავშირგაბმულობის რაიონული კვანძი
57. ჩხოროწყუს კავშირგაბმულობის რაიონული კვანძი
58. აჭარის კავშირგაბმულობის საწარმოო-ტექნიკური სამმართველო
59. სამხრეთ ოსეთის ავტ. ოლქის კავშირგაბმულობის საწარმოო-ტექნიკური სამმართველო
60. საქალაქო სატელეფონო ქსელის სამმართველო
61. ფოსტის გადაზიდვის განყოფილება
62. სარეტრანსლაციო სატელევიზიო სადგურების და რადიოსარელეო ხაზების დირექცია
63. ელექტროკავშირისა და რადიოფიკაციის დირექცია
65. სარემონტო-სამონტაჟო სახელოსნოები
66. სატრანსპორტო კანტორა
67. მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების კანტორა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1969 წლის 12 ივნისის № 344
დადგენილების დანართი № 2

ნორმატივები

მოგების ანარიცხებისა საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს იმ საწარმოების ეკონომიური სტიმულირების ფონდებში, რომლებიც გადაყვანილი არიან მეურნეობის ახალ სისტემაზე

	მატერიალური წახალისების ფონდი					სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა და საბინაო მშენებლობის ფონდი					წარმოების განვითარების ფონდი				
	ამოსავალი ნორმა		ნორმატივები			ამოსავალი ნორმა		ნორმატივები			ამოსავალი ნორმა		ნორმატივები		
	ამოსავალი	სტარტული	საბარიფო შემოსავლის ზრდის პროცენტში	მოგების ზრდის ყოველ პროცენტში	საანგარიშო რენტაბელობის ყოველ პროცენტში	დამტკიცებული	სტარტული	საბარიფო შემოსავლის ზრდის ყოველ პროცენტში	მოგების ზრდის ყოველ პროცენტში	საანგარიშსწორები რენტაბელობის ყოველ პროცენტში	დამტკიცებული	სტარტული	საბარიფო შემოსავლის ზრდის ყოველ პროცენტში	მოგების ზრდის ყოველ პროცენტში	საანგარიშსწორები რენტაბელობის ყოველ პროცენტში
67 საწარმო	12.1	8.02	0.250	—	0.640	4.0	1.5	0.047	—	0.120	0.06	0.33	0.010	—	0.026
მთლიანად სამინისტროს ჩაზით	12.1	8.41	0.280	—	0.439	4.0	1.92	0.064	—	0.100	0.06	0.37	0.012	—	0.019

შენიშვნა: მოგების ზრდის დამატებითი რეზერვების გამოძებნისას საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრომ უნდა წარმოადგინოს წინადადებანი იმის შესახებ, რომ გადიდდეს სტარტული ამოსავალი ნორმები დამტკიცებული ნორმების დონემდე და ამასთან დაკავშირებით შეიცვალოს ნორმატივები მოგების ანარიცხებისა ეკონომიური სტიმულირების ფონდებში (გარდა წარმოების განვითარების ფონდისა).

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

51 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პურეული პროდუქტებისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს თანდართული დებულება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პურეული პროდუქტებისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1969 წლის 12 ივნისი, № 346.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1969 წლის 12 ივნისის
№ 346 დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პურეული პროდუქტებისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის შესახებ

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პურეული პროდუქტებისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტი, რომელიც შექმნილია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით, წარმოადგენს საკავშირო-რესპუბლიკურ ორგანოს და თავის საქმიანობაში ემორჩილება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დამზადებათა სახელმწიფო კომიტეტს — მის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პურეული პროდუქტებისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებითა და განკარგულებებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დამზადებათა სახელმწიფო კომიტეტის ბრძანებებით, ინსტრუქციებითა და მითითებებით, ამ დებულებით, სხვა ნორმატიული აქტებით და უზრუნველყოფს მოქმედი კანონმდებლობის სწორად გამოყენებას კომიტეტის სისტემის საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პურეული პროდუქტებისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტი უზრუნველყოფს მარცვლის, ზეთოვანი კულტურების თესლის, მარცვლეული და ზეთოვანი კულტურების ჯიშიანი თესლის, ბალახთა თესლის, თივის, ბალახის ფხვნილის, სახელმწიფო შესყიდვის გეგმებისა და დავალებების შესრულებას და ხელმძღვანელობას უწევს რესპუბლიკის საელევატორო-სასაწყობო მეურნეობას, საფქვავ, ბურღულისა და კომბინირებული საკვების მრეწველობას.

სახელმწიფო კომიტეტს ეკისრება პასუხისმგებლობა აღნიშნული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების და ნედლეულის სახელმწიფო შესყიდვის გატარებისათვის, მარცვლისა და მისი გადამუშავების პროდუქტების მიღებისა, დაცვა-შენახვისა და გამოყენებისათვის, ამ პროდუქტების გარერესპუბლიკური შემოზიდვის გეგმებისა და დავალებათა შესრულებისათვის, საელევატორო-სასაწყობო მეურნეობის, საფქვავი, ბურღულისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის მდგომარეობისა და შემდგომი განვითარებისათვის, გამოშვებული პროდუქციის ხარისხისა, წარმოების ტექნიკური პროგრესისა და მისი დონისათვის.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პურეული პროდუქტებისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის მთავარი ამოცანაა უზრუნველყოს:

მარცვლის, ზეთოვანი კულტურების თესლის, მარცვლეული და ზეთოვანი კულტურების ჯიშიანი თესლის, ბალახთა თესლის, თივისა და ბალახის ფხვნილის გეგმიანი და ზეგეგმითი შესყიდვა ქვესაუწყებო ორგანიზაციებისა და საწარმოების მიერ კოლმეურნეობებისა, საბჭოთა მეურნეობებისა და საქართველოს სსრ სხვა მეურნეობებისაგან;

მაღალხარისხოვანი პროდუქციის: ფქვილის, ბურღულისა და კომბინირებული საკვების გამომუშავება საფქვავი, ბურღულისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის საწარმოების მიერ — დამტკიცებული გეგმების თანახმად;

პურის სახელმწიფო რესურსების ცენტრალიზებული გამოყენება, მარცვლისა და მისი გადამუშავების პროდუქტების სახელმწიფო რესურსების დაცვა-შენახვა;

ელევატორების, მარცვალსაწყობების, მზა პროდუქციის საწყობების, საფქვავი, ბურღულისა და კომბინირებული საკვების საწარმოების მშენებლობა, საელევატორო-სასაწყობო მეურნეობის, საფქვავი, ბურღულისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის ყოველმხრივ განვითარება;

კაპიტალურ დაბანდებათა რაციონალურად გამოყენება და მათი ეფექტიანობის გადიდება, მშენებლობის ღირებულებისა და მისი ვადების შემცირება, საწარმოო სიმძლავრეთა და ძირითადი ფონდების დროზე გადაცემა საექსპლოატაციოდ, აგრეთვე საწარმოო სიმძლავრეთა ათვისება მოკლე ვადებში;

ერთიანი ტექნიკური პოლიტიკა დარგში, მეცნიერების, ტექნიკისა და მოწინავე გამოცდილების უახლესი მიღწევების დანერგვა;

შრომისა და მართვის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვა, კომიტეტის სისტემის საწარმოებისა და ორგანიზაციების დაკომპლექტება კვალიფიციური კადრებით, იმის პირობების შექმნა, რომ რაც შეიძლება უკეთ იქნას გამოყენებული მუშაკთა ცოდნა და გამოცდილება, დაწინაურებულ იქნან ხელმძღვანელ სამუშაოზე ახალგაზრდა სპეციალისტები, რომლებმაც კარგად გამოიჩინეს თავი მუშაობაში;

მატერიალური და მორალური სტიმულების სწორად შეხამება საზოგადოებრივი წარმოების აღმავლობისათვის და კომიტეტის სისტემის თვითეული მუშაკის პასუხისმგებლობის გაძლიერება დავალებული საქმისა და კოლექტივის მუშაობის საერთო შედეგებისათვის;

კომიტეტის სისტემის საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მუშათა და მოსამსახურეთა საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება, შრომის უსაშიშრო პირობების შექმნა წარმოებაში.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პურეული პროდუქტებისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტი მასზე დაკისრებული ამოცანების შესაბამისად:

მოაწყობს ხელშეკრულებების — კონტრაქტაციების დადებას ქვესაუწყებო ორგანიზაციებისა და საწარმოების მიერ კოლმეურნეობებთან, საბჭოთა მე-

ურნეობებთან და სხვა მეურნეობებთან მარცვლის, ზეთოვანი კულტურების თესლის, მარცვლეული და ზეთოვანი კულტურების ჯიშიანი თესლის, ბალახთა თესლის, თივისა და ბალახის ფხვნილის დამზადების შესახებ, შესყიდვის გეგმების შესაბამისად და გეგმების გადამეტებით, და უზრუნველყოფს აღნიშნული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მიღებას, დაბინავებას, გადამუშავებას და შენახვას;

კონტროლს გაუწევს მარცვლის, ზეთოვანი კულტურების თესლის, მარცვლეული და ზეთოვანი კულტურების ჯიშიანი თესლის, ბალახთა თესლის, თივის, ბალახის ფხვნილის სწორად მიღებას (რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით) მეურნეობებისაგან და ანგარიშის გასწორებას მიღებული პროდუქციისათვის;

მიიღებს ზომებს პურის მიმღები პუნქტების, სარეალიზაციო ბაზებისა და სამრეწველო საწარმოების რიტმული მუშაობისათვის, მათ საწარმოო სიმძლავრეთა მაქსიმალურად გამოყენებისათვის, წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის, საზოგადოებრივი შრომის მინიმალური დანახარჯებით, შრომის ნაყოფიერების ზრდის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და მისი თვითღირებულების შემცირების დავალებათა შესრულებისათვის, პურეული პროდუქტების გადასაზიდად გამოყოფილი სახსრების მომჭირნეობისათვის, მიმოქცევის ხარჯების შემცირებისათვის, მოგების მიღებისა და საბიუჯეტო გადასახდელთა შეტანისათვის;

უზრუნველყოფს პურის სახელმწიფო რესურსების ცენტრალიზებულ გამოყენებას, მარცვლის, ზეთოვანი კულტურების თესლის, ფქვილის, ბურღულის, კომბინირებული საკვების, მარცვლეული და ზეთოვანი კულტურების ჯიშიანი თესლის, ბალახთა თესლის, თივის, ბალახის ფხვნილის გაცემას დადგენილი წესით და კონტროლს გაუწევს ფქვილისა და ბურღულის სწორად ხარჯვას გამოყოფილი ფონდების მიხედვით;

განახორციელებს ღონისძიებებს, რომელთა მიზანია მარცვლის, მისი გადამუშავების პროდუქტების, თივის, სახელმწიფო სადაზღვევო ფონდის მარცვლეული კულტურების ჯიშიანი და ჰიბრიდული თესლის სახელმწიფო რეზერვში გამოყოფის დამტკიცებული გეგმების შესრულება, აგრეთვე მათი რაოდენობრივი დაცვა-შენახვა;

მიიღებს ზომებს უცილობლივ შეასრულოს პურეულის ტვირთების სარეს-პუბლიკათაშორისო გაგზავნის დავალებანი და მოამარაგოს რესპუბლიკა პურეული პროდუქტებითა და კომბინირებული საკვებით;

შეიმუშავებს და განახორციელებს ღონისძიებებს საწარმოო პროცესების და დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციისათვის, ფქვილის უტაროდ გაცემისათვის, დატვირთვა-გადმოტვირთვის დროს ტრანსპორტის გაცდენის შემცირებისათვის, არარაციონალური — ზეშორეული და შემხვედრი ტვირთზიდვის აღმოფხვრისათვის;

განახორციელებს ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ქვესაუწყებო საწარმოებსა და ორგანიზაციებს მარცვლის, ზეთოვანი კულტურების თესლის, ფქვილის, ბურღულის, კომბინირებული საკვების, მარცვლეული და ზეთოვანი კულტურების ჯიშიანი თესლის, ბალახთა თესლის, ბალახის ფხვნილის

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაოდენობრივი და ხარისხოვანი დაცვა-შენახვით და მათს დაცვას ბეღლის მავნებლების მიერ დაზიანებისა და გაფუჭებისაგან;

შეამოწმებს პურის სახელმწიფო ინსპექციის მეშვეობით მარცვალს და მისი გადამუშავების პროდუქტებს პურეული პროდუქტების ექსპორტის, იმპორტის და უმნიშვნელოვანესი დანიშნულებით გაგზავნის დროს, გასცემს სერტიფიკატებსა და დასკვნებს, რომლებიც სავალდებულოა ორგანიზაციებისა და საწარმოებისათვის, მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად, განიხილავს საქართველოს სსრ სახელმწიფო და კოოპერაციულ ორგანიზაციებს შორის მარცვლისა და მისი გადამუშავების პროდუქტების ხარისხის საკითხებზე წამოჭრილ უთანხმოებებს; კონტროლს გაუწევს, თუ როგორ იცავენ პურის მიმღები პუნქტები, სარეალიზაციო ბაზები და გადამმუშავებელი საწარმოები მარცვლის ძიღების, დამუშავებისა და გადამუშავების, პურეული პროდუქტების, სახელმწიფო რეზერვის პურეული პროდუქტების ჩათვლით, განლაგებისა და შენახვის წესებს; დადგენილი წესით დაამტკიცებს ჩამოსაწერად მარცვლისა და მისი გადამუშავების პროდუქტების კლებას, რაც დასაბუთებული იქნება მათი ხარისხის გაუმჯობესებით და ბუნებრივი კლების ნორმებით; ყოველწლიურად ჩაატარებს ახალი მოსავლის მარცვლის ხარისხის გამოკვლევას;

განახორციელებს ახალი პურის მიმღები პუნქტების, სარეალიზაციო ბაზებისა და სამრეწველო საწარმოების, საცხოვრებელი სახლების, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების შენობათა და ნაგებობათა მშენებლობას და მოქმედთა რეკონსტრუქციას, ამასთან უზრუნველყოფს კაპიტალურ დაბანდებათა პირველ რიგში წარმართვას მოქმედი საწარმოების ხელახალი ტექნიკური შეიარაღებისათვის, კაპიტალურ დაბანდებათა კონცენტრაციას საექსპლოატაციოდ გადასაცემ მშენებლობებზე და დაუმთავრებელი მშენებლობის შემცირებას; შეიმუშავებს და დაამტკიცებს დადგენილი წესით ახალი მშენებლობის ეკონომიურ დასაბუთებას და სატიტულო სიებს, აგრეთვე მშენებლობის საპროექტო დავალებებსა და ხარჯთაღრიცხვებს (სახარჯთაღრიცხვო-საფინანსო გაანგარიშებანი);

ძოაწყობს ქვესაუწყებო საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მუშაობას პერსპექტიული და წლიური გეგმების პროექტების შესადგენად, შეიმუშავებს საკონტროლო ციფრებისა და დავალებების, აგრეთვე ქვესაუწყებო საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მიერ წარდგენილი გეგმების პროექტების საფუძველზე, კომიტეტის სისტემის პერსპექტიული და წლიური გეგმების პროექტებს, უზრუნველყოფს დაწესებული გეგმების შესრულებას ქვესაუწყებო საწარმოების, ორგანიზაციების და დაწესებულებების ძიერ და მათში სახელმწიფო დისციპლინის მტკიცედ დაცვას;

უზრუნველყოფს პურის მიმღები პუნქტების, სარეალიზაციო ბაზებისა და სამრეწველო საწარმოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დროულად და ხარისხიანად მომზადებას მარცვლის, მისი გადამუშავების პროდუქტების, ზეთოვანი კულტურების თესლის, თივის, მარცვლეული და ზეთოვანი კულტურების ჯიშიანი თესლის, ბალახთა თესლის და ბალახის ფხვნილის მისაღებად და დასაბინავებლად;

შეიმუშავებს და განახორციელებს ღონისძიებებს საელევატორო-სასაწყობო მეურნეობის, საფქვავი, ბურღულისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის ყოველმხრივ განვითარებისათვის, სისტემატურ მუშაობას ჩაატარებს წარმოების მიღწეული ტექნიკურ-ეკონომიური დონის და იმ პროდუქციის შეფასებისათვის, რომელსაც ქვესაუწყებო საწარმოები უშვებენ, განსაზღვრავს სამეცნიერო და ტექნიკური მიღწევების უფრო ეფექტიანად გამოყენების გზებს და უზრუნველყოფს დარგის მაღალტექნიკურ დონეს მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების საფუძველზე;

განსაზღვრავს ქვესაუწყებო საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მოთხოვნილებას ნედლეულზე, სათბობზე, მოწყობილობასა და სხვა მატერიალურ რესურსებზე, წარადგენს შესაბამის განაცხადებს, განაგებს კომიტეტისათვის გამოყოფილ მატერიალურ რესურსებს, და განახორციელებს ქვესაუწყებო საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებას;

მიიღებს ზომებს, რათა ქვესაუწყებო საწარმოებმა, ორგანიზაციებმა და დაწესებულებებმა სწორად შეინახონ და მომჭირნეობით გამოიყენონ ნედლეული, სათბობი, მოწყობილობა და სხვა მატერიალური რესურსები, მიიღებს ზომებს ზედმეტი და გამოუყენებელი მატერიალური რესურსების რეალიზაციისათვის;

განახორციელებს ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ კომიტეტის სისტემის საწარმოებისა და ორგანიზაციების სამეურნეო ანგარიშის განმტკიცებას, რენტაბელობის ამაღლებას, დაგროვების მაქსიმალურად გადიდებას, ძირითადი ფონდების, საბრუნავი სახსრებისა და ბანკის კრედიტების ეფექტიანად გამოყენებას;

დადგენილი წესით დააფინანსებს ქვესაუწყებო საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, ხელმძღვანელობას გაუწევს მათს საფინანსო საქმიანობას და განახორციელებს კონტროლს მათ მიერ საფინანსო რესურსების გამოყენებისადმი;

კონტროლს გაუწევს კომიტეტის სისტემაში აღრიცხვისა და ანგარიშგების სწორად წარმოებას და მათს სინამდვილეს, აგრეთვე განახორციელებს ღონისძიებებს სახელმწიფო ქონების დაცვა-შენახვისა და მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურებისათვის;

უზრუნველყოფს ქვესაუწყებო საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს მუშაკთა კვალიფიციური კადრებით, მოაწყობს მათი კვალიფიკაციის ამაღლებას და მიიღებს ზომებს ახალგაზრდა სპეციალისტთა რაციონალურად გამოყენებისათვის;

ხელმძღვანელობას გაუწევს შრომისა და მართვის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვას კომიტეტის სისტემის საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში;

მოაწყობს ქვესაუწყებო მეურნეობებში სამეურნეო-საფინანსო საქმიანობისა და აღრიცხვის სწორად დაყენებას, შეადგენს და დადგენილი წესით წარადგენს შეჯამებითს საბუღალტრო ანგარიშებს, დაწესებულ ვადებში ჩაატარებს ქვესაუწყებო ორგანიზაციებისა და საწარმოების სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის რევიზიებს;

უზრუნველყოფს იმ საანგარიშო მონაცემების სისწორეს, რომლებიც შეეხება მარცვლისა და მისი გადამუშავების პროდუქტების სახელმწიფო რესურსების არსებულ რაოდენობასა და ხარისხობრივ მდგომარეობას, აგრეთვე პურეული პროდუქტების და კომბინირებული საკვების წარმოების გეგმების შესრულებას, მარცვლის, ზეთოვანი კულტურების თესლის, მარცვლეული და ზეთოვანი კულტურების ჯიშიანი თესლის, ბალახთა თესლის, თივისა და ბალახის ფეხვნილის თესლის შესყიდვას;

მოაწყობს პურის მიმღები პუნქტების, სარეალიზაციო ბაზებისა და საწარმოების ლაბორატორიების მუშაობას, გამოუყოფს მათ საჭირო სადგომებს, მოწყობილობას, ხელსაწყოებსა და ინვენტარს;

განახორციელებს იმისადმი კონტროლს, რომ ქვესაუწყებო საწარმოებმა, ორგანიზაციებმა და დაწესებულებებმა შეასრულონ შრომის კანონმდებლობა, უსაფრთხოების ტექნიკისა და შრომის დაცვის, აგრეთვე ხანძარსაწინააღმდეგო უშიშროების წესები; პროფკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად მოაწყობს სოციალისტურ შეჯიბრებას წარმოების გეგმების ვადამდე შესრულებისათვის, შრომის ნაყოფიერების ამაღლებისათვის, საწარმოთა რენტაბელობის ამაღლებისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, მოაწყობს კოლექტიური ხელშეკრულებების დადებას და კონტროლს გაუწევს მათ შესრულებას;

მტკიცედ დაიცავს სოციალისტური სახელმწიფო საწარმოს დებულებით გათვალისწინებულ უფლებებს, ყოველნაირად შეუწყობს ხელს საწარმოთა სამეურნეო თვითმოქმედებისა და ინიციატივის განვითარებას და თავის ქვესაუწყებო საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს დაავალებს კომიტეტის კომპეტენციაში შემავალი ცალკეული საკითხების გადაწყვეტას.

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პურეული პროდუქტებისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტს სათავეში უდგას თავმჯდომარე, რომელსაც, საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად, ნიშნავს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო, ხოლო სესიებს შორის პერიოდში — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რაც შემდგომ შეტანილი იქნება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად;

კომიტეტის თავმჯდომარეს ჰყავს მოადგილეები, რომლებსაც ნიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო. თავმჯდომარის მოადგილეებს შორის მოვალეობას გაანაწილებს კომიტეტის თავმჯდომარე.

6. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პურეული პროდუქტებისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტი შეიქმნება შემდეგი შემადგენლობით: კომიტეტის თავმჯდომარე და მისი მოადგილეები თანამდებობის მიხედვით, აგრეთვე კომიტეტის სხვა ხელმძღვანელი მუშაკები, რომლებსაც ნიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

7. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პურეული პროდუქტებისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს ეკისრება პერსონალური პასუხისმგებლობა კომიტეტზე დაკისრებული ამოცანებისა და მოვალეობათა შესრულებისათვის, იგი დააწესებს თავმჯდომარის მოადგილეების, კომიტეტის სამმართველოების უფროსების და სხვა ქვეგანაყოფ-

თა ხელმძღვანელების პასუხისმგებლობას კომიტეტის საქმიანობის ცალკეული დარგებისადმი ხელმძღვანელობისა და ქვესაუწყებო საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მუშაობისათვის.

8. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პურეული პროდუქტებისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე გამოსცემს კომიტეტის კომპეტენციის ფარგლებში ბრძანებებსა და ინსტრუქციებს სსრ კავშირის და საქართველოს სსრ მოქმედი კანონების, სსრ კავშირის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოების დადგენილებებისა და განკარგულებების, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დამზადებათა სახელმწიფო კომიტეტის ბრძანებების, ინსტრუქციებისა და მითითებების საფუძველზე და შესასრულებლად, მისცემს მითითებებს, რომლებიც სავალდებულოა კომიტეტის სისტემის საწარმოებისა, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მიერ შესასრულებლად და შეამოწმებს მათ შესრულებას;

სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე საჭირო შემთხვევებში გამოსცემს ბრძანებებსა და ინსტრუქციებს საქართველოს სსრ სხვა სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებთან ერთად;

9. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პურეული პროდუქტებისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტი თავის სხდომებზე, რომლებიც რეგულარულად იმართება, განიხილავს საელევატორო-სასაწყობო მეურნეობის, საფქვავი, ბურღულისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის განვითარების ძირითად საკითხებს და კომიტეტის საქმიანობის სხვა საკითხებს, განიხილავს საწარმოებისა, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისადმი პრაქტიკული ხელმძღვანელობის, შესრულების შემოწმების, კადრების შერჩევისა და გამოყენების საკითხებს, უმნიშვნელოვანესი ბრძანებებისა და ინსტრუქციების პროექტებს, მოისმენს კომიტეტის სამმართველოებისა და განყოფილებების, ქვესაუწყებო საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ანგარიშებს;

კომიტეტის გადაწყვეტილებანი ცხოვრებაში ტარდება, როგორც წესი, თავმჯდომარის ბრძანებებით. თავმჯდომარესა და კომიტეტის წევრებს შორის უთანხმოების შემთხვევაში კომიტეტის თავმჯდომარე ცხოვრებაში გაატარებს თავის გადაწყვეტილებას და წამოჭრილ უთანხმოებათა შესახებ მოახსენებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, ხოლო კომიტეტის წევრებს თავის მხრივ შეუძლიათ აცნობონ თავიანთი აზრი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

10. კომიტეტის ცენტრალური აპარატის სტრუქტურას და მუშაკთა რაოდენობას დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო;

კომიტეტის ცენტრალური აპარატის საშტატო განრიგს, აგრეთვე კომიტეტის ცენტრალური აპარატის სამმართველოებისა და განყოფილებების დებულებებს, ქვესაუწყებო საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა დებულებებს (წესდებებს) დაამტკიცებს კომიტეტი. გამონაკლისს შეადგენს პურის სახელმწიფო ინსპექცია, რომლის დებულებას დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დამზადებათა სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებით.

11. ქვესაუწყებო საწარმოებსა, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს შორის წამოჭრილ სამეურნეო დავის განსახილველად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პურეული პროდუქტებისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტი შექმნის არბიტრაჟს. არბიტრაჟს უფლება ენიჭება გამოსცეს ბრძანებანი მის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებათა იძულებითი წესით შესრულების შესახებ;

არბიტრაჟის დებულებას დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პურეული პროდუქტებისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე.

12. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პურეული პროდუქტებისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტი და მისდამი დაქვემდებარებული საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები შეადგენენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პურეული პროდუქტებისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის ერთიან სისტემას.

13. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პურეული პროდუქტებისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტი განახორციელებს კონტაქტებსა და თანამშრომლობას სხვა სამინისტროებთან და უწყებებთან დარგთშორისი საკითხების შემუშავებისა და გადაწყვეტის დროს.

14. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პურეული პროდუქტებისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტი თავის მუშაობას მოაწყობს დარგის ხელმძღვანელობის ყველა საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის დროს კოლეგიალობისა და ერთმმართველობის შეხამების, მუშაობის დავალებულ უბანზე საქმის მდგომარეობისა და განსაზღვრულ დავალებათა შესრულებისათვის თანამდებობის პირთა ზუსტი პასუხისმგებლობის დაწესების საფუძველზე.

15. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პურეული პროდუქტებისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტი დროულად და ყურადღებით განიხილავს მშრომელთა წერილებს (განცხადებებსა და საჩივრებს), მიაღწევს მათში დაყენებული საკითხების სწორად გადაწყვეტას, აგრეთვე მიიღებს ზომებს კომიტეტის სისტემის საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების საქმიანობაში არსებულ იმ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, რომლებიც მოხსენებულია მშრომელთა წერილებში.

16. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პურეული პროდუქტებისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტი დადგენილი წესით შექმნის, გარდაქმნის და გააუქმებს საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს.

17. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პურეული პროდუქტებისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტი განაზოგადებს თავის დარგში კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკას, შეიმუშავებს წინადა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებებს მისი სრულყოფის შესახებ და განსახილველად წარმოუდგენს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

18. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პურეული პროდუქტებისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტი იმყოფება საშეურნეო ანგარიშზე და მას აქვს ბეჭედი, რომელზედაც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი და თავისი სახელწოდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ДАНАРТИ
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პურეული პროდუქტებისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის დებულებისა, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 12 ივნისის № 346 დადგენილებით.

ს ი ა

სამმართველოებისა, ბაზებისა, პუნქტებისა, წისქვილსაწარმოებისა და კომბინირებული საკვების მეურნეობებისა, რომლებიც შედიან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პურეული პროდუქტებისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის სისტემაში

1. პურეული პროდუქტებისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის აფხაზეთის რესპუბლიკური სამმართველო	ქ. სოხუმი
2. წისქვილკომბინატი № 1 კომბინირებული საკვების მეურნეობით	ქ. თბილისი — ნავთლუღი
3. წისქვილკომბინატი № 2	ქ. ფოთი — ნავსადგური
4. წისქვილკომბინატი № 3	ქ. თბილისი — დიდუბე
5. წისქვილკომბინატი № 4 (გაერთიანებული მეურნეობა)	ქ. სოხუმი
6. წისქვილკომბინატი № 5 (მშენებარე)	ქ. ქუთაისი
7. წისქვილკომბინატი № 6 (მშენებარე)	ქ. გორი
8. წისქვილქარხანა № 6 კომბინირებული საკვების მეურნეობით	ქ. მახარაძე
9. ბორჯომის სარეალიზაციო ბაზა საფქვავი მეურნეობით	ქ. ბორჯომი
10. სამტრედიის სარეალიზაციო ბაზა საფქვავი მეურნეობით	ქ. სამტრედია
11. წნორის სარეალიზაციო ბაზა საფქვავი და კომბინირებული საკვების მეურნეობებით	ქ. წნორი
12. წითელწყაროს ბაზა კომბინირებული საკვების მეურნეობით	ქ. წითელწყარო
13. ბათუმის სარეალიზაციო ბაზა კომბინირებული საკვების მეურნეობით	ქ. ბათუმი
14. ქუთაისის სარეალიზაციო ბაზა კომბინირებული საკვების მეურნეობით	ქ. ქუთაისი
15. ცხინვალის სარეალიზაციო ბაზა კომბინირებული საკვების მეურნეობით	ქ. ცხინვალი

16. მარნეულის სარეალიზაციო ბაზა კომბინირებული საკვების მეურნეობით	ქ. მარნეული
17. გორის სარეალიზაციო ბაზა კომბინირებული საკვების მეურნეობით	ქ. გორი
18. ცხაკაიას სარეალიზაციო ბაზა კომბინირებული საკვების მეურნეობით	ქ. ცხაკაია
19. ნავთლუღის სარეალიზაციო ბაზა კომბინირებული საკვების მეურნეობით	ქ. თბილისი — ნავთლუღი
20. ახალციხის სარეალიზაციო ბაზა	ქ. ახალციხე
21. ზუგდიდის სარეალიზაციო ბაზა	ქ. ზუგდიდი
22. ზესტაფონის სარეალიზაციო ბაზა	ქ. ზესტაფონი
23, მახარაძის სარეალიზაციო ბაზა	ქ. მახარაძე
24. ჭიათურის სარეალიზაციო ბაზა	ქ. ჭიათურა
25. ხაშურის სარეალიზაციო ბაზა	ქ. ხაშური
26. აბაშის სარეალიზაციო ბაზა	ქ. აბაშა
27. ლანჩხუთის სარეალიზაციო ბაზა	ქ. ლანჩხუთი
28. თელავის სარეალიზაციო ბაზა	ქ. თელავი
29. დიდუბის სარეალიზაციო ბაზა	ქ. თბილისი — დიდუბე
30. ხობის სარეალიზაციო ბაზა	ქ. ხობი
31. გაგრის სარეალიზაციო ბაზა	ქ. გაგრა
32. ოჩამჩირის სარეალიზაციო ბაზა	ქ. ოჩამჩირე
33. გალის სარეალიზაციო ბაზა	ქ. გალი
34. გუდაუთის სარეალიზაციო ბაზა	ქ. გუდაუთა
35. ქსნის სარეალიზაციო ბაზა	დაბა ქსანი
37. ახალქალაქის პურის მიმღები პუნქტი	ქ. ახალქალაქი
38. ბადიაურის პურის მიმღები პუნქტი	დაბა ბადიაური
39. საგარეჯოს პურის მიმღები პუნქტი	ქ. საგარეჯო
40. მუკუზნის პურის მიმღები პუნქტი	დაბა მუკუზანი
41. მაღაროს პურის მიმღები პუნქტი	დაბა მაღარო
42. ქარელის პურის მიმღები პუნქტი	ქ. ქარელი
43. კასპის პურის მიმღები პუნქტი	ქ. კასპი
44. ტარის სარემონტო სახელოსნო	ქ. თბილისი

52 საქართველოს სს რესპუბლიკაში შხამიან და სხვა სახის გველთა დაცვისა და მოპოვების მოწესრიგების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ რესპუბლიკაში უკანასკნელ წლებში საგრძნობლად გაიზარდა შხამიანი გველების არაორგანიზებული მოპოვება, ამასთან ბევრ მათგანს სპობს მოსახლეობა. ყოველივე ამან გამოიწვია შხამიანი გველების რაოდენობის მკვეთრი შემცირება ბუნებაში და წარმოშვა მათი სრულიად მოსპობის საშიშროება.

საქართველოს სს რესპუბლიკაში შხამიან გველთა დაცვისა და სამედიცინო მრეწველობის საჭიროებისათვის მათი შემდგომი მოპოვების მოწესრიგების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბუნების დაცვის რესპუბლიკური კომისიის და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტის წინადადება და სახელმწიფო დაცვას დაექვემდებაროს საქართველოს სს რესპუბლიკაში გავრცელებული ყველა სახის გველები.

2. აიკრძალოს 1972 წლამდე საქართველოს სს რესპუბლიკის ტერიტორიაზე გიურზას და სხვა სახის გველების მოპოვება, გარდა საკურორტო ზონისა და დასახლებული პუნქტების ორკილომეტრიანი რადიუსის ფარგლებისა.

3. დაწესდეს, რომ რესპუბლიკაში შხამიანი და სხვა სახის გველების მოპოვება სამრეწველო-სამეცნიერო მიზნებისათვის დაიშვება მხოლოდ სპეციალური ნებართვით, რომელსაც გასცემს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარი სამმართველო.

4. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დავალებით სწავლობს რესპუბლიკაში გავრცელებული შხამიანი გველების ბიოლოგიაეკოლოგიას და არსებული მარაგის რაციონალურად გამოყენების საკითხს.

დაევალოს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტს 1970 წლის ბოლოსათვის წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ღონისძიებანი გველის შხამის სამრეწველო დამზადების შესახებ.

5. დაევალოს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბუნების დაცვის რესპუბლიკურ კომისიას 1971 წელს გამოსცეს ბროშურა რესპუბლიკაში არსებული გველების მნიშვნელობის შესახებ.

6. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარ სამმართველოს განახორციელოს კონტროლი ამ დადგენილების შესრულებისადმი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1969 წლის 19 ივნისი, № 357.

53 რესპუბლიკის ქალაქებსა და სხვა დასახლებულ ადგილებში ქუჩების სახელწოდებათა და სახლთმფლობელობათა ნუმერაციის შეცვლის დროებით შეწყვეტის შესახებ

მოსახლეობის 1970 წლის სრულიად საკავშირო აღწერის მომზადებასა და ჩატარებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაევალოს აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქების, რაიონებისა და ყველა ადგილობრივი მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს შეწყვიტონ რესპუბლიკის ქალაქებსა და დასახლებულ ადგილებში ქუჩების დასახელებისა და სახლთმფლობელობათა ნუმერაციის შეცვლა 1969 წლის პირველი ივლისიდან 1970 წლის 1 მაისამდე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1969 წლის 18 ივნისი, № 359.

54 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გაზიფიკაციის მთავარი სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს თანდართული დებულება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გაზიფიკაციის მთავარი სამმართველოს შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1969 წლის 19 ივნისი, № 363.

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1969 წლის 19 ივნისის
№ 363 დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გაზიფიკაციის მთავარი სამმართველოს შესახებ

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გაზიფიკაციის მთავარი სამმართველო (საქართველოს სსრ მთავარგაზი), რომელიც შექმნილია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1969 წლის 25 აპრილის ბრძანებულებით, თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს ამ დებულებით და ემორჩილება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

2. საქართველოს სსრ მთავარგაზი იმყოფება სამეურნეო ანგარიშზე და მისი შენახვა წარმოებს საგაზო მეურნეობათა და საწარმოთა ანარიცხების ხარჯზე.

3. საქართველოს სსრ მთავარგაზის ძირითადი ამოცანაა ქალაქებისა და სოფლის დასახლებული პუნქტების გაზიფიკაციის, მისი ქვესაუწყებო მთელი საგაზო მეურნეობის ექსპლოატაციის სამუშაოთა მოწყობა და ამ სამუშაოების ხელმძღვანელობა.

4. საქართველოს სსრ მთავარგაზი:

ა) შეიმუშავებს ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების გაზიფიკაციის პერსპექტიულ და წლიურ გეგმებს, აგრეთვე საგაზო მეურნეობათა ობიექტების დაპროექტებისა და მშენებლობის გეგმებს და დადგენილი წესით წარმოუდგენს ამ გეგმებს განსახილველად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს;

ბ) განახორციელებს მისდამი დაქვემდებარებული, აგრეთვე მოიჯარე ორგანიზაციების ძალებით გაზიფიკაციის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებს და კონტროლს გაუწევს საქართველოს სსრ მთავრობის მიერ დამტკიცებული გაზიფიკაციის გეგმების შესრულებას;

გ) აწარმოებს ამუშავება-გაწყობის სამუშაოებს, თბორეჟიმის პერიოდულად გამართვას და გაზისა და სარეზერვო სათბობის, აგრეთვე სითბოს ხარჯვის ხვედრითი ნორმების შემუშავებას რესპუბლიკის სამრეწველო, კომუნალურ-საყოფაცხოვრებო (გარდა საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს ობიექტებისა, რომლებშიაც ეწყობა საგაზო მოწყობილობა) და სასოფლო-სამეურნეო ობიექტების თბომოწყობილობებში (ქვაბებში, ღუმელებში, საშრობებში და ა. შ.) და მათს დამხმარე მოწყობილობაში (ქიმიური წყალწმენდის, ვენტილაციის, დანადგარებში, საკონტროლო-საზომ ხელსაწყოებში, ავტომატიკაში და ა. შ.);

დ) განახორციელებს რესპუბლიკის სამრეწველო, კომუნალურ-საყოფაცხოვრებო და სასოფლო-სამეურნეო ობიექტების, აგრეთვე საქართველოს სსრ მთავარგაზის ობიექტების გაზიფიკაციის დაპროექტებას, აგრეთვე სამეცნიერო-კვლევითს სამუშაოებს სახალხო მეურნეობაში ბუნებრივი და გათხევადებული გაზის გამოყენებისათვის;

ე) კონტროლს გაუწევს გაზის რაციონალურად გამოყენებას საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში;

ვ) განიხილავს სამინისტროებისა და უწყებების პერსპექტიულ და წლიურ განაცხადებს მათთვის ბუნებრივი და გათხევადებული გაზის გამოყოფის შესახებ და საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს წარუდგენს შეჯამებულ განაცხადებს;

ზ) შეიმუშავებს და საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს წარუდგენს შეჯამებულ განაცხადებს მოწყობილობასა, აპარატურასა, ავტოტრანსპორტსა და მასალებზე რესპუბლიკის ყველა საგაზო მეურნეობისა და საწარმოს საჭიროებისათვის;

თ) განახორციელებს გაზის მეურნეობათა ობიექტების მშენებლობისა და ექსპლოატაციის მოწინავე საწარმოო გამოცდილების გაზიარებას, მოაწყობს გაზიფიკაციის დარგში სამამულო და უცხოეთის ტექნიკის მიღწევების შესწავლასა და გამოყენებას;

ი) განსაზღვრავს იმ ობიექტებს, რომლებიც გაზიფიცირებულ უნდა იქნან;

კ) დააწესებს გაზიფიკაციის სამუშაოთა გრაფიკებს, აგრეთვე რიგითობას და შეცვლის მათ დამტკიცებული წლიური და კვარტალური გეგმების ფარგლებში;

ლ) გასცემს გაზიფიკაციის ერთდროულ დავალებებს დამტკიცებული გეგმებისა და აპარატურის, მოწყობილობის, მასალების, ბუნებრივი და გათხევადებული გაზის გამოყოფილი ფონდების ფარგლებში, დააწესებს მათი შესრულების ვადებს;

მ) გასცემს გაზიფიკაციის დამატებითს დავალებებს იმ შემთხვევაში, თუ მოიპოვება მოწყობილობის, აპარატურის, მასალების, ბუნებრივი და გათხევადებული გაზის გეგმის გადამეტებით გამოყოფილი ფონდები.

5. ყველა სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო საწარმოების, კომუნალურ-საყოფაცხოვრებო ობიექტების და მოსახლეობის გაზმომარაგება გამოყოფილი ფონდების შესაბამისად ხორციელდება საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს სსრ მთავარგაზის და მისი ადგილობრივი ორგანოების მეშვეობით.

სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო საწარმოების, კომუნალურ-საყოფაცხოვრებო ობიექტების გაზმომარაგების რეჟიმის ყოველგვარი შეცვლა ხდება მხოლოდ საქართველოს სსრ მთავარგაზის მითითებით.

განცხადებანი გაზმომარაგების რეჟიმების შეცვლის შესახებ, რომლებიც ქვეყნდება პერიოდულ პრესაში და გადაიცემა რადიოთი და ტელევიზიით, შეთანხმებულ უნდა იქნას საქართველოს სსრ მთავარგაზთან.

6. საქართველოს სსრ მთავარგაზი მასზე დაკისრებულ ამოცანებს საგაზო მეურნეობათა გაზიფიკაციისა და ექსპლოატაციის დარგში განახორციელებს ქალაქების, ავტონომიური ოლქის და ავტონომიური რესპუბლიკების საგაზო მეურნეობათა საარაონთაშორისო სამონტაჟო-საექსპლოატაციო კანტორების, ტრესტებისა და სამმართველოების მეშვეობით.

ქალაქ თბილისის, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ საგაზო მეურნეობები — „თბილგაზის“, „აფხაზგაზის“ და „აჭარგაზის“ სამმართველოები ემორჩილებიან,

როგორც საქართველოს სსრ მთავარგაზს, ისე შესაბამისად თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს და აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს.

7. ქ. თბილისის გაზიფიკაციის განვითარების, კაპიტალური დაბანდებების, გაზმომარაგების ობიექტების დაპროექტების, ბუნებრივი და გათხევადებული გაზის მიღებისა და რეალიზაციის პერსპექტიული და წლიური გეგმების, შრომის გეგმების, შემოსავალ-გასავლის ბალანსების, ბინების გაზიფიკაციის გეგმების პროექტებს შეიმუშავებს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომი.

თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომი ბინების გაზიფიკაციის, გაზის მიღებისა და რეალიზაციის მაჩვენებლებს შეათანხმებს საქართველოს სსრ მთავარგაზთან, რის შემდეგ განსახილველად წარუდგენს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს.

8. საგაზო და სხვა მეურნეობათა შექმნას, რეორგანიზაციას და ლიკვიდაციას რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში აწარმოებს საქართველოს სსრ მთავარგაზი დადგენილი წესით.

9. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გაზიფიკაციის მთავარ სამმართველოს სათავეში უდგას საქართველოს სსრ მთავარგაზის უფროსი, რომელსაც, საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად, ნიშნავს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო, ხოლო სესიებს შორის პერიოდში — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

10. საქართველოს სსრ მთავარგაზის უფროსი:

ა) ხელმძღვანელობას გაუწევს საქართველოს სსრ მთავარგაზის და მისი ქვესაუწყებო სამმართველოების, ტრესტების, საგაზო მეურნეობათა კანტორებისა და საწარმოების საქმიანობას, ამასთან უზრუნველყოფს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ რესპუბლიკის გაზიფიკაციის საკითხებზე მიღებული დადგენილებებისა და განკარგულებების შესრულებას;

ბ) უზრუნველყოფს ყველა საგაზო მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებას, რესპუბლიკის ყველა ქალაქის, ავტონომიური ოლქის და ავტონომიური რესპუბლიკების საგაზო მეურნეობებს შორის გაანაწილებს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მიერ გამოყოფილ მოწყობილობას, აპარატურას, ავტოტრანსპორტს და მასალებს;

გ) ხელმძღვანელობას გაუწევს ქალაქების, ავტონომიური ოლქის და ავტონომიური რესპუბლიკების ყველა საგაზო მეურნეობის, აგრეთვე ქვესაუწყებო საწარმოებისა და ორგანიზაციების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობას და დააფინანსებს მათ დადგენილი წესით;

დ) მოაწყობს და კონტროლს გაუწევს საბუღალტრო და სტატისტიკური აღრიცხვისა და ანგარიშგების დაყენებას საგაზო მეურნეობებში, საწარმოებსა და ორგანიზაციებში; განიხილავს და დაამტკიცებს შეჯამებულ ანგარიშებსა და ბალანსებს, მოაწყობს მეურნეობის საექსპლოატაციო საჭიროებისათვის, აგრეთვე კაპიტალური მშენებლობისათვის სახსრების განაწილებას და მათი გამოყენე-

ბის აღრიცხვას, მოაწყობს შიგასაუწყებო კონტროლს და დოკუმენტური რევიზიების ჩატარებას რესპუბლიკის ყველა საგაზო მეურნეობაში;

ე) საჭიროების შემთხვევაში შეიტანს ცვლილებებს საგაზო მეურნეობებისა და საწარმოების წლიურ და კვარტალურ სამეურნეო გეგმებში საქართველოს სსრ მთავარგაზის მიერ დამტკიცებული მაჩვენებლების მიხედვით ისე, რომ უცვლელი დარჩეს ის მაჩვენებლები, რომლებიც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებულია მთლიანად საქართველოს სსრ მთავარგაზისათვის;

ვ) საქართველოს სსრ მთავარგაზის კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ბრძანებებსა და ინსტრუქციებს სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონების, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა საფუძველზე და შეამოწმებს მათ შესრულებას;

ზ) დანიშნავს და თანამდებობიდან გაათავისუფლებს საქართველოს სსრ მთავარგაზის აპარატის მუშაკებს და ყველა საგაზო მეურნეობების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელ მუშაკებს დადგენილი წესით;

თ) დაამტკიცებს დებულებებს ცალკეული სამმართველოების შესახებ, აგრეთვე დებულებებს, წესდებებსა და წესებს რესპუბლიკის ყველა საგაზო მეურნეობისა და საწარმოსათვის.

11. საქართველოს სსრ მთავარგაზს უფლება აქვს:

ა) გამოსცეს დადგენილი წესით წესები, მითითებანი და ინსტრუქციები საგაზო მეურნეობათა შენახვისა და ექსპლოატაციის შესახებ;

ბ) შეამოწმოს, თუ რამდენად ასრულებენ სამინისტროები და უწყებები საწარმოების, საცხოვრებელი ბინების გაზიფიკაციის გეგმებს და მიიღოს მათგან ინფორმაცია ამ საკითხებზე.

12. საქართველოს სსრ მთავარგაზში შეიქმნება კოლეგია შემდეგი შემადგენლობით: მთავარი სამმართველოს უფროსი (თავმჯდომარე), მისი მოადგილეები (თანამდებობის მიხედვით) და მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელი მუშაკები.

კოლეგიის წევრთა რაოდენობას და მის შემადგენლობას განსაზღვრავს და დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო საქართველოს სსრ მთავარგაზის უფროსის წარდგენით.

კოლეგია თავის სხდომებზე განიხილავს პრაქტიკული ხელმძღვანელობის, შესრულების შემოწმების, კადრების შერჩევისა და განაწილების საკითხებს, უმნიშვნელოვანესი ღონისძიებების, ბრძანებებისა და ინსტრუქციების პროექტებს, ანგარიშებს საქართველოს სსრ მთავარგაზის განყოფილებების, აგრეთვე რესპუბლიკის საწარმოთა საგაზო მეურნეობების მუშაობის შესახებ.

კოლეგიის გადაწყვეტილებანი ცხოვრებაში ტარდება საქართველოს სსრ მთავარგაზის უფროსის ბრძანებებით.

მთავარ სამმართველოს უფროსსა და კოლეგიის წევრებს შორის უთანხმოების შემთხვევაში, საქართველოს სსრ მთავარგაზის უფროსი ცხოვრებაში გაატარებს თავის გადაწყვეტილებას და წამოჭრილი უთანხმოების შესახებ მოახსენებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, კოლეგიის წევრებს თავის მხრივ შეუძლიათ აცნობონ თავიანთი აზრი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

13. წარმოების, ექსპლოატაციისა და მშენებლობის ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და ნოვატორთა მოწინავე გამოცდილების რაც შეიძლება უკეთ გამოყენების მიზნით, საქართველოს სსრ მთავარგაზი მოიწვევს დადგენილი წესით აქტივის თათბირებს, რომლებზედაც მოისმენენ მოხსენებებს პარტიისა და მთავრობის უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებების, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ხელმძღვანელი მითითებების შესახებ, აგრეთვე განიხილავენ საქართველოს სსრ მთავარგაზის და მისი საგაზო მეურნეობების სამეურნეო და საფინანსო საქმიანობის საკითხებს.

14. საქართველოს სსრ მთავარგაზის სტრუქტურასა და შტატებს დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

15. საქართველოს სსრ მთავარგაზის ცენტრალური აპარატის საშტატო განრიგს დაამტკიცებს საქართველოს სსრ მთავარგაზის უფროსი.

16. საქართველოს სსრ მთავარგაზს აქვს ბეჭედი, რომელზედაც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი და თავისი სახელწოდება.

55 საქართველოს სსრ საშინაო მასალათა მრეწველობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს თანდართული დებულება საქართველოს სსრ საშინაო მასალათა მრეწველობის სამინისტროს შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **გ. ჩოგოვაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1969 წლის 27 ივნისი, № 374.

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1969 წლის 27 ივნისის № 374
დადგენილებით

დებულება

საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს შესახებ

1. საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო, საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად, წარმოადგენს საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროს და თავის საქმიანობაში ემორჩილება როგორც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, ისე სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროსაც.

საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო ხელმძღვანელობას გაუწევს მისდამი დაქვემდებარებული საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაობას და პასუხისმგებელია რესპუბლიკაში საშენ მასალათა მრეწველობის მდგომარეობისა და შემდგომი განვითარებისათვის, წარმოების სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესისა და ტექნიკური დონისათვის, აგრეთვე პროდუქციის ტექნიკური დონისა და ხარისხისათვის და იმისათვის, რომ რაც შეიძლება უფრო სრულად დაკმაყოფილდეს სახალხო მეურნეობის და მოსახლეობის მოთხოვნილება ყველა სახის პროდუქციაზე, რომლებსაც სამინისტროს საწარმოები და ორგანიზაციები უშვებენ.

2. საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს მთავარი ამოცანაა:

— უზრუნველყოს საშენი მასალების მრეწველობის, როგორც რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის შემადგენელი ნაწილის, ყოველმხრივი განვითარება, წარმოების განვითარებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის მაღალი ტემპები სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის საფუძველზე იმ მიზნით, რომ რაც შეიძლება უფრო სრულად დაკმაყოფილდეს ქვეყნის სახალხო მეურნეობის, მოსახლეობისა და თავდაცვის მოთხოვნილებანი სამინისტროს საწარმოებისა და ორგანიზაციების ყველა სახეობის პროდუქციაზე;

— შეასრულოს სახელმწიფო გეგმის დავალებანი და უზრუნველყოს სახელმწიფო დისციპლინის მტკიცედ დაცვა;

— უზრუნველყოს საზოგადოებრივი შრომის მინიმალური დანახარჯებით მაღალხარისხოვანი პროდუქციის წარმოება, წარმოების ეფექტიანობის ამაღლება, ძირითადი ფონდების, შრომითი, მატერიალური და ფინანსური რესურსების გამოყენების გაუმჯობესება;

— ერთიანი ტექნიკური პოლიტიკის გატარება, მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების და მოწინავე გამოცდილების დანერგვა, წარმოების მაღალი ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლების უზრუნველყოფა, ახალი, ყველაზე ეკონომიური და ეფექტიანი საშენი მასალების, ნაკეთობებისა და კონსტრუქციების წარმოების ყოველმხრივ განვითარება;

— კაპიტალურ დაბანდებათა რაციონალურად გამოყენება და მათი ეფექტიანობის ამაღლება, მშენებლობის ღირებულების და მისი ვადების შემცირება, საწარმოო სიმძლავრეთა და ძირითადი ფონდების დროულად გადაცემა საექსპლოატაციოდ, აგრეთვე საწარმოო სიმძლავრეთა ათვისება მოკლე ვადებში;

— შრომისა და წარმოების მართვის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვა, წარმოებაში შრომის უსაშიშრო პირობების შექმნა, სამინისტროს საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების უზრუნველყოფა კვალიფიციური კადრებით, პირობების შექმნა მუშაკთა ცოდნისა და გამოცდილების საუკეთესოდ გამოყენებისათვის, იმ ახალგაზრდა სპეციალისტთა დაწინაურება ხელმძღვანელ სამუშაოზე, რომლებმაც კარგად გამოიჩინეს თავი მუშაობაში;

— სამინისტროს საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებია მუშათა და მოსამსახურეთა საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება.

3. საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო განაგებს სამინისტროსადმი დაქვემდებარებულ საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს უშუალოდ ან მის მიერ შექმნილი ორგანოების მეშვეობით; გადაწყვეტს ყველა საკითხს დარგში მისთვის მინიჭებული უფლებების ფარგლებში და შეუძლია მიანდოს მის კომპეტენციაში შემავალი ცალკეული საკითხების გადაწყვეტა მისდამი დაქვემდებარებულ საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს.

საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო თავის საქმიანობაში განახორციელებს კონტაქტებსა და საქმიან თანამშრომლობას სხვა სამინისტროებთან და უწყებებთან დარგთშორისი საკითხების შემუშავებასა და გადაწყვეტაში.

4. საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო, რომელიც რესპუბლიკაში წარმოადგენს წამყვანს საშენი მასალების, ნაკეთობებისა და კონსტრუქციების წარმოების მხრივ, მონაწილეობას იღებს იმ საწარმოების მიერ ამ პროდუქციის გამოშვების დაგეგმვაში, რომლებიც მას არ ემორჩილებიან, და საქართველოს სსრ შესაბამის სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად შეიმუშავებს ღონისძიებებს ამ პროდუქციის ტექნიკური დონის სრულყოფისა და მისი ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

5. საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებითა და განკარგულებებით, სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს ბრძანებებით და სხვა ნორმატიული აქტებით, აგრეთვე ამ დებულებით და უზრუნველყოფს მოქმედი კანონმდებლობის სწორად შეფარდებას მისდამი დაქვემდებარებულ საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში.

საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო განაზოგადებს სამინისტროს საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში კანო-

ნმდებლობის შეფარდების პრაქტიკას, შეიმუშავებს წინადადებებს მისი გაუმჯობესების შესახებ და დადგენილი წესით წარუდგენს ამ წინადადებებს განსახილველად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

6. საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო მასზე დაკისრებული ამოცანების შესაბამისად, განახორციელებს შემდეგ ფუნქციებს:

დაგეგმვის დარგში:

ა) შეისწავლის რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებას სამინისტროს საწარმოების პროდუქციაზე და განახორციელებს სამინისტროს ხაზით და ტერიტორიულად დარგის განვითარების დაგეგმვას სსრ კავშირის და საქართველოს სსრ მთელი სახალხო მეურნეობის განვითარების ამოცანების შესაბამისად, წარმოების სპეციალიზაციისა და კოოპერირების გათვალისწინებით;

ბ) განსაზღვრავს რესპუბლიკის საშენ მასალათა მრეწველობის განვითარების ძირითად მიმართულებებს, განახორციელებს ღონისძიებებს, რომელთა მიზანია საწარმოების ტექნიკური ხელახალი შეიარაღება და მოდერნიზაცია, წარმოების ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფა, გამოშვებული პროდუქციის ხარისხის შემდგომი გაუმჯობესება, ასორტიმენტის გაფართოება და ტექნიკური დონის ამაღლება;

გ) უზრუნველყოფს ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენებასა და აღდგენას, ამასთან მათი ექსპლოატაციის დროს გაითვალისწინებს სხვა დარგებისა და მთლიანად სახალხო მეურნეობის ინტერესებს, განახორციელებს საჭირო ღონისძიებებს, რომელთა მიზანია ჰაერის, ნიადაგისა და წყალსატევების დაცვა სამრეწველო და სამეურნეო გადანაყარით, ჩამდინარე წყლებით, რადიოაქტიური ნივთიერებებითა და წარმოების ნარჩენებით გაბინძურებისაგან, მცენარეთა და ცხოველთა სამყაროს დაცვა-შენახვას;

დ) განსაზღვრავს, დამტკიცებული საკონტროლო ციფრების საფუძველზე, და სამინისტროს საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს დაუგზავნის პერსპექტიული და წლიური გეგმების საკონტროლო ციფრებს;

შეიმუშავებს იმ საკონტროლო ციფრებისა და გეგმების პროექტების საფუძველზე, რომლებსაც სამინისტროს საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები წარადგენენ, პერსპექტიული და წლიური გეგმების პროექტებს სამინისტროს ხაზით და ტერიტორიის მიხედვით და წარუდგენს მათ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს.

განიხილავს დაქვემდებარებული საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მონაწილეობით და დაუმტკიცებს მათ პერსპექტიულ და წლიურ გეგმებს დაწესებული მაჩვენებლების მიხედვით სახალხო-სამეურნეო გეგმის დავალებათა შესაბამისად, ამასთან უზრუნველყოფს ამ გეგმების ყველა განაყოფისა და მაჩვენებლის დაკავშირებას;

ე) შეიმუშავებს და განახორციელებს ღონისძიებებს, რომლებიც დაკავშირებულია სამინისტროს საწარმოების მიერ მათი პროდუქციის რეალიზაციასთან;

განსაზღვრავს, დაინტერესებული ორგანოების წინადადებათა გათვალისწინებით, სამინისტროს საწარმოების მიერ ისეთი ნომენკლატურის პროდუქციის

წარმოების მოცულობას, რომელიც არ არის გათვალისწინებული სახალხო-სამეურნეო გეგმით;

მიიღებს ზომებს სამინისტროს საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა რაციონალური სამეურნეო კავშირურთიერთობის განვითარებისათვის;

ვ) მოაწყობს მუშაობას სამინისტროს საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მიერ პერსპექტიული და წლიური გეგმების პროექტების შედგენისათვის;

ზ) უზრუნველყოფს დაწესებული გეგმების შესრულებას სამინისტროს ყველა საწარმოს, ორგანიზაციისა და დაწესებულების მიერ;

თ) შეიმუშავებს და დაამტკიცებს ტექნიკურ-ეკონომიურ ნორმატივებს, ნედლეულის, სათბობის, მასალების ხარჯვისა და მარაგის ნორმებს, საწარმოო და საექსპლოატაციო საჭიროებისათვის იმ ნომენკლატურის მიხედვით ელექტროენერგიის ხარჯვის ნორმებს, რომელიც დაწესებულია მოკავშირე რესპუბლიკების საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროებისათვის; უზრუნველყოფს დამტკიცებული ნორმატივებისა და ნორმების დანერგვას;

ი) შეიმუშავებს და დაამტკიცებს ან დასამტკიცებლად წარადგენს, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სამინისტროს საწარმოთა და ორგანიზაციათა პროდუქციის და მომსახურების ფასებსა და ტარიფებს; განახორციელებს იმისადმი კონტროლს, თუ რამდენად სწორად იყენებენ ფასებსა და ტარიფებს სამინისტროს საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები;

კ) მოაწყობს პირველადს აღრიცხვას სამინისტროს საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში, დადგენილი წესით მიიღებს სტატისტიკურ და საბუღალტრო ანგარიშგებას, განახორციელებს ღონისძიებებს სააღრიცხვო საქმეთა ცენტრალიზაციისა და აღრიცხვის პროგრესული მეთოდების დანერგვისათვის.

მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში:

ა) სისტემატურ მუშაობას ეწევა წარმოების მიღწეული ტექნიკურ-ეკონომიური დონისა და დარგის პროდუქციის გამოშვების ანალიზისათვის და ამ ანალიზის საფუძველზე, სამამულო და უცხოეთის მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების გათვალისწინებით, შეიმუშავებს და განახორციელებს ღონისძიებებს მისი ამაღლებისათვის;

ბ) ხელმძღვანელობას გაუწევს სამინისტროსადმი დაქვემდებარებული საპროექტო-საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიური ორგანიზაციების საქმიანობას, შეიმუშავებს და განახორციელებს ღონისძიებებს მათი მუშაობის ეფექტიანობის ამაღლებისათვის; უზრუნველყოფს საპროექტო-საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიურ ორგანიზაციებს საჭირო საწარმოო-ექსპერმინეტული ბაზით;

გ) შეიმუშავებს და წარმოებაში დანერგავს წარმოების ორგანიზაციის დიდად ეფექტიან ტექნოლოგიურ პროცესებსა და მეთოდებს, აგრეთვე ახალი სახის საშენ მასალებსა და ნაკეთობებს.

სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროსთან და საქართველოს სსრ შესაბამის სამინისტროებთან და უწყებებთან შეთანხმებით გადაწყვეტს მოძველებული პროდუქციის წარმოებიდან მოხსნის საკითხებს;

შეისწავლის გამოშვებული პროდუქციის ექსპლოატაციისა და გამოყენების გამოცდილებას, შეიმუშავებს და მიიღებს ზომებს პროდუქციის გამოვლინებულ კონსტრუქციულ და საწარმოო ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, ნაკეთობათა საიმედოობის ამაღლებისა და სამსახურის ვადის გადიდებისათვის;

დ) მისცემს დამამზადებელ სამინისტროებსა და უწყებებს სამინისტროს საწარმოებისა, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისათვის ახალი სახის მანქანების, მოწყობილობის, ხელსაწყოებისა და მასალების შექმნის ტექნიკურ-ეკონომიურ მოთხოვნებს, განიხილავს შესათანხმებლად წარდგენილ აღნიშნული პროდუქციის შემუშავების ტექნიკურ დავალებებს, შექმნის საჭირო შემთხვევებში პირობებს მანქანების, მოწყობილობის, ხელსაწყოებისა და მასალების ტექნოლოგიური გამოცდის ჩასატარებლად;

ე) განიხილავს შემკვეთი სამინისტროებისა და უწყებების მიერ წარდგენილ ტექნიკურ-ეკონომიურ მოთხოვნებს ახალი სახის საშენი მასალების, ნაკეთობებისა და კონსტრუქციების შესაქმნელად, შეიმუშავებს და დაამტკიცებს მათთან შეთანხმებით აღნიშნული მასალების, ნაკეთობებისა და კონსტრუქციების ტექნიკურ დავალებებს და შემკვეთებთან ერთად გადაწყვეტს სამრეწველო გამოცდის შედეგების მიხედვით მათი წარმოების საკითხს:

ვ) უზრუნველყოფს სახელმწიფო სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების დანერგვასა და დაცვას, შეიმუშავებს და დადგენილი წესით დაამტკიცებს ტექნიკურ პირობებს;

ზ) ხელმძღვანელობას გაუწევს გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის განვითარების საქმეს; შეიმუშავებს გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის პერსპექტიულ და მიმდინარე თემატიკურ გეგმებს; უზრუნველყოფს გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვას. გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის განვითარებისათვის მუშაობას სამინისტრო ეწევა მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტთან და გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა სრულიად საკავშირო საზოგადოების რესპუბლიკურ საბჭოებთან ერთად;

თ) მოაწყობს სამეცნიერო-ტექნიკურ ინფორმაციას, უზრუნველყოფს საინფორმაციო ლიტერატურის მომზადებას და გამოცემას დადგენილი წესით სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს ინფორმაციის ცენტრალური ორგანოს გეგმის მიხედვით;

ი) უზრუნველყოფს სამამულო და უცხოეთის საპატენტო მასალების ფართოდ შესწავლას და გამოყენებას საშენი მასალების, ნაკეთობებისა და სხვა პროდუქციის ახალი ტექნოლოგიური პროცესების შემუშავებისა და არსებული პროცესების სრულყოფის დროს; უზრუნველყოფს, რომ საწარმოებმა და ორგანიზაციებმა დადგენილი წესით წარადგინონ განაცხადები სსრ კავშირში საავტორო მოწმობების მიცემის შესახებ და იმ შემთხვევაში, თუ ეს მიზანშეწონილი იქნება, დააპატენტონ გამოგონებანი საზღვარგარეთ;

კ) შეიმუშავებს და დადგენილი წესით წარადგენს წინადადებებს იმის შესახებ, რომ შესყიდულ იქნას საზღვარგარეთ ტექნიკურ-ეკონომიურად ყველაზე პროგრესული მასალებისა და ნაკეთობების, აგრეთვე ტექნოლოგიური პროცე-

ების ლიცენზიები. უზრუნველყოფს წარმოების უსწრაფესად ათვისებას შესყიდული ლიცენზიების მიხედვით.

კაპიტალური მშენებლობის დარგში:

ა) განახორციელებს კაპიტალურ მშენებლობას, უზრუნველყოფს კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანად გამოყენებას, ახალი მშენებლობის რაციონალურად განლაგებას, დარგის პროგრესულ წარმოებათა უპირატესობრივ განვითარებას, კაპიტალურ დაბანდებათა პირველ რიგში წარმართვას მოქმედი საწარმოების ხელახალი ტექნიკური შეიარაღებისათვის, დარგთშორისი და შიდასადარგო პროპორციების გაუმჯობესებისათვის, კაპიტალურ დაბანდებათა კონცენტრაციისათვის საექსპლოატაციოდ გადასაცემ მშენებლობებზე და დაუმთავრებელი მშენებლობის შემცირებისათვის;

ბ) შეიმუშავებს და დადგენილი წესით დაამტკიცებს მშენებლობათა სატიტულო სიებს, აგრეთვე საპროექტო-საძიებო სამუშაოთა სატიტულო სიებს მომავალი წლების მშენებლობისათვის;

უზრუნველყოფს საჭირო საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დროულად შემუშავებას, დამტკიცებას და მშენებლობებისათვის მიცემას;

კონტროლს გაუწევს საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ხარისხს და მშენებლობის დამტკიცებული სახარჯთაღრიცხვო ღირებულების დაცვას, აგრეთვე ტექნიკურ ზედამხედველობას გაუწევს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა და იმ მოწყობილობის ხარისხს, რომელსაც მშენებარე ობიექტებს აწვდიან; მოაწყობს მშენებლობის საავტორო ზედამხედველობას;

გ) უზრუნველყოფს მშენებლობათა დაფინანსებას და მათს მომარაგებას ისეთი მოწყობილობით, მასალებითა და ნაკეთობებით, რომელთა მიწოდება შემკვეთის მოვალეობაში შედის.

განახორციელებს იმისადმი კონტროლს, რომ ქვესაუწყებო საწარმოებმა და ორგანიზაციებმა გაანაწილონ კაპიტალური მშენებლობისათვის საჭირო მოწყობილობის შეკვეთები მის შესაძენად გამოყოფილი ფონდებისა და ასიგნებათა შესაბამისად.

შეიმუშავებს მშენებლობაში შინაგანი რესურსების მობილიზაციის ღონისძიებებს და განახორციელებს კონტროლს მათი შესრულებისადმი;

დ) უზრუნველყოფს ტიპობრივი პროექტებისა და ახალი მასალების მაქსიმალურად გამოყენებას მშენებლობაში, ინდუსტრიული მეთოდებისა და მექანიზაციის დანერგვას მშენებლობაში, რომელსაც ახორციელებენ სამინისტროს მოიჯარე ორგანიზაციები და რომელიც წარმოებს სამეურნეო წესით;

ე) განახორციელებს კონტროლს სამინისტროს საწარმოთა მშენებლობის მიმდინარეობისადმი, რომელიც წარმოებს მოიჯარე სამშენებლო ორგანიზაციების ძალებით; უზრუნველყოფს საწარმოო სიმძლავრეთა და ძირითადი ფონდების დროულად გადაცემას საექსპლოატაციოდ, აგრეთვე საწარმოო სიმძლავრეთა ათვისებას მოკლე ვადებში;

დანიშნავს თავისი კომპეტენციის ფარგლებში სახელმწიფო კომისიებს იმ საწარმოების, შენობებისა და ნაგებობების მისაღებად საექსპლოატაციოდ, რო-

მელთა მშენებლობა დამთავრებულია, დაამტკიცებს მათი მიღების აქტებს და ძიიღებს გადაწყვეტილებებს შეჯამებული სახარჯთაღრიცხვო-საფინანსო გაანგარიშებათა დახურვის შესახებ;

ვ) მოაწყობს ძირითადი ფონდების კაპიტალურ რემონტს, უზრუნველყოფს მოწყობილობის მოდერნიზაციას, ტექნიკური დონისა და მწარმოებლურობის ამაღლებას, აგრეთვე შენობათა და ნაგებობათა ტექნიკური და საექსპლოატაციო მდგომარეობის გაუმჯობესებას; განახორციელებს ღონისძიებებს რემონტის ხარისხის გაუმჯობესებისა და ძისი გაიაფებისათვის.

მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების დარგში:

ა) განსაზღვრავს სამინისტროს საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მოთხოვნილებას ნედლეულსა, სათბობსა, მოწყობილობასა და სხვა მატერიალურ რესურსებზე განაგებს სამინისტროსათვის გამოყოფილ მატერიალურ რესურსებს და პასუხისმგებელია ამ საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისათვის;

ბ) გაანაწილებს სამინისტროსათვის გამოყოფილი ნედლეულის, სათბობის, მოწყობილობის და სხვა მატერიალური რესურსების ფონდებს საწარმოებსა, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს შორის, აგრეთვე გადაანაწილებს საჭიროების შემთხვევებში აღნიშნულ ფონდებს, საწარმოო პროგრამის და კაპიტალური მშენებლობის გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულების გათვალისწინებით;

გ) შეიმუშავებს და დაამტკიცებს პროდუქციის შიდადარგობრივი კოოპერირებული მიწოდების გეგმებს იმის გათვალისწინებით, რომ უზრუნველყოფილ იქნას პროდუქციის მიწოდება სხვა დარგების მომხმარებლებისათვის;

დ) განახორციელებს კონტროლს ნედლეულის, სათბობის, მოწყობილობისა და სხვა მატერიალური რესურსების ფონდების რეალიზაციისადმი, აგრეთვე იმისადმი, რომ სამინისტროს საწარმოებმა, ორგანიზაციებმა და დაწესებულებებმა დროზე დადონ ხელშეკრულებანი პროდუქციის მიწოდების შესახებ და კონტროლს გაუწევს სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულებას;

ე) უზრუნველყოფს სამინისტროს საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მიერ ნედლეულის, სათბობის, მოწყობილობისა და სხვა მატერიალური რესურსების სწორად შენახვასა და გამოყენებას, მიიღებს ზომებს ზედმეტი და გამოუყენებელი მატერიალური რესურსების რეალიზაციისათვის;

ვ) შეიმუშავებს და განახორციელებს ღონისძიებებს, რომელთა მიზანია მასალების, ნედლეულისა და სათბობის მომჭირნეობით ხარჯვა, დანაკარგების შემცირება წარმოებაში, საწარმოო ნარჩენებისა და მეორეული ნედლეულის გამოყენება და სხვა ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მატერიალური რესურსების ეფექტიანად გამოყენებას.

ფინანსებისა და კრედიტის დარგში:

ა) განახორციელებს ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ სამინისტროს საწარმოებისა და ორგანიზაციების სამეურნეო ანგარიშის განმტკიცებას, ეენტაბელობის ამაღლებას და დაგროვების მაქსიმალურად გადიდებას, ძირი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თადი ფონდების, საბრუნავი სახსრებისა და ბანკის კრედიტების ეფექტიანად გამოყენებას.

დადგენილი წესით დააფინანსებს სამინისტროს საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, ხელმძღვანელობას გაუწევს მათს საფინანსო საქმიანობას და განახორციელებს კონტროლს მათ მიერ საფინანსო რესურსების გამოყენებისადმი;

ბ) უზრუნველყოფს სამინისტროს საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ საფინანსო გეგმების შესრულებას, საკუთარი საბრუნავი სახსრების დაცვა-შენახვას, ანგარიშის დროულად გასწორებას მუშა-მოსამსახურეებთან, ბიუჯეტთან, მიმწოდებლებთან, მოიჯარეებთან, ბანკებთან, აგრეთვე საწარმოთა და ორგანიზაციათა მიერ იმ საკუთარი სახსრების გადარიცხვას, რომლებიც განკუთვნილია კაპიტალური მშენებლობის და კაპიტალური რემონტის დასაფინანსებლად და საფინანსო გეგმით გათვალისწინებული სხვა მიზნებისათვის;

გ) დადგენილი წესით შექმნის ახალი ტექნიკის ათვისების ფონდს, ახალი ტექნიკის შექმნისა და დანერგვისათვის დასაჯილდოებელ ფონდს და სხვა ცენტრალიზებულ ფონდებს, აგრეთვე რეზერვს სამინისტროს საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის ფინანსური დახმარების გასაწევად;

დ) ბანკების დაწესებულებებთან ერთად მოაწყობს ანგარიშსწორების ისეთი ყველაზე ეკონომიური და პროგრესული ფორმების დანერგვას, რომლებიც ხელს უწყობენ გადასახდელთა შეტანის, საბრუნავი სახსრების ბრუნვადობის დაჩქარებას და საგადამხდელო დისციპლინის განმტკიცებას; მონაწილეობას მიიღებს სამინისტროს საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ურთიერთდავალიანების ჩათვლების მოწყობისა და გატარების საქმეში;

ე) გახსნის ბანკებში საანგარიშსწორებო ანგარიშებს საკუთარი საბრუნავი სახსრების, მოგების, ახალი ტექნიკის ათვისების ფონდის შესაქმნელი თანხების და სხვა სახსრების გადასანაწილებლად დაქვემდებარებულ საწარმოებსა და ორგანიზაციებს შორის, აგრეთვე ცალკეულ ანგარიშებს საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის ფინანსური დახმარების გასაწევი რეზერვის სახსრების და კაპიტალური რემონტისათვის საამორტიზაციო ანარიცხთა რეზერვის სახსრების შესანახად;

ვ) დაამტკიცებს სამინისტროს განყოფილებების, სამინისტროსადმი უშუალოდ დაქვემდებარებული საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების შეჯამებულ ანგარიშებსა და ბალანსებს სამინისტროს საქმიანობის სახეობათა მიხედვით;

ზ) მოაწყობს საკონტროლო-სარევიზიო მუშაობას, უზრუნველყოფს, უწყებრივი კონტროლის შესახებ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, რევიზიების რეგულარულად ჩატარებას, ეკონომიკის მდგომარეობის ყოველმხრივ ანალიზს, ფულადი სახსრებისა და მატერიალურ ფასეულობათა დაცვა-შენახვის შემოწმებას, მომჭირნეობის რეჟიმის დაცვას სამინისტროს საწარმოებსა და ორგანიზაციებში; კონტროლს გაუწევს აღრიცხვისა და ანგარიშგების სწორად წარმოებას და უტყუარობას საწარმოებსა და ორგანიზაციებში, აგრეთვე განახორციელებს ღონისძიებებს სახელმწიფო ქონების დაცვისა და მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურებისათვის.

კადრების, შრომისა და ხელფასის დარგში:

ა) უზრუნველყოფს სამინისტროს საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს კვალიფიციური კადრებით, მოაწყობს კადრების მომზადებას და მათი კვალიფიკაციის ამაღლებას; შეისწავლის კადრებს სამინისტროს საწარმოებსა და ორგანიზაციებში, უზრუნველყოფს ძველი გამოცდილი კადრებისა და ახალგაზრდა ნიჭიერი მუშაკების სწორად შეხამებას, შექმნის დასაწინაურებელ რეზერვს იმ მიზნით, რომ დანიშნოს ხელმძღვანელ სამუშაოზე პოლიტიკურად მომწიფებული სპეციალისტები, რომლებმაც კარგად იციან თავიანთი საქმე და ავტორიტეტითა და ნდობით სარგებლობენ კოლექტივში; კონტროლს გაუწევს ახალგაზრდა სპეციალისტების სწორად გამოყენებას და განახორციელებს ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მუდმივი კადრების შექმნას სამინისტროს საწარმოებსა და ორგანიზაციებში;

ბ) ხელმძღვანელობას გაუწევს შრომისა და მართვის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვას სამინისტროს საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში, უზრუნველყოფს ისეთ ღონისძიებათა გატარებას, რომელთა მიზანია შრომის პირობების შემდგომი გაუმჯობესება და გაჯანსაღება, უსაფრთხოების ტექნიკის წესებისა და საწარმოო სანიტარიის მოთხოვნების მტკიცედ დაცვა;

გ) განახორციელებს ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ არამადნეულ და არალითონმადნეულ სასარგებლო წიაღისეულთა საბადოების უსაშიშრო დამუშავების მეთოდებისა და საშუალებების დანერგვას, პროფესიულ დაავადებათა წინააღმდეგ პროფილაქტიკური მეთოდებისა და ბრძოლის ჩატარებას;

დ) უზრუნველყოფს შრომის ანაზღაურებისა და დაჯილდოების მოქმედი წესების სწორად გამოყენებას, აგრეთვე სწორ თანაფარდობას შრომის ნაყოფიერების ზრდასა და ხელფასის ზრდას შორის; კონტროლს გაუწევს ხელფასის ფონდებისა და წახალისებითი ფონდების ხარჯვას;

ე) დააწესებს და შეცვლის სამინისტროს ცენტრალური აპარატის მუშაკთა თანამდებობრივ განაკვეთებს თანამდებობრივი განაკვეთების სქემების დაცვით და ხელფასის იმ ფონდის ფარგლებში, რომელიც გამოანგარიშებულია საშუალო თანამდებობრივი განაკვეთების მიხედვით;

ვ) შეიმუშავებს და განახორციელებს ღონისძიებებს სამინისტროს, აგრეთვე მისდამი დაქვემდებარებული საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების სტრუქტურის სრულყოფისა და აპარატის შემცირებისათვის;

ზ) დადგენილი წესით მოაწყობს სამინისტროსადმი დაქვემდებარებული საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მუშაკთა სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურებას;

თ) მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტთან ერთად ხელმძღვანელობას გაუწევს კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადებას და განახორციელებს მათი შესრულების კონტროლს;

ი) მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის მონაწილეობით უზრუნველყოფს სამინისტროს საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მუშაკთა საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, აგრეთვე გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა გატარებას;

კ) მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტთან ერთად მოაწყობს სოციალისტურ შეჯიბრებას, დადგენილი წესით შემოიღებს გარდამავალ წითელ დროშებს ფულადი პრემიებით, ხელს შეუწყობს კომუნისტური შრომისათვის, წარმოების მაღალი კულტურისათვის მოძრაობის განვითარებას, აგრეთვე შეაჯამებს სოციალისტური შეჯიბრების შედეგებს და გამარჯვებულ კოლექტივებს მიანიჭებს გარდამავალ წითელ დროშებსა და ფულად პრემიებს, მიაკუთვნებს კომუნისტური შრომის წოდებას საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივებს, მოაწყობს შრომის მოწინავე მეთოდებისა და მოწინავე გამოცდილების შესწავლას, განზოგადებას და გავრცელებას;

ლ) მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტთან ერთად დააჯილდოებს მოწინავე მუშაკებს სამკერდე ნიშნებითა და საპატიო სიგელებით.

საქმიანობის სხვა სახეობანი:

ა) მონაწილეობას მიიღებს საშენ მასალათა მრეწველობის ნედლეულის ბაზის განვითარების იმ გეოლოგიურ-სადაზვერვო სამუშაოთა დაგეგმვაში, რომლებსაც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიის სამმართველო ასრულებს; საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ გეოლოგიის სამმართველოსთან ერთად განიხილავს ნედლეულის საბადოების წინასწარი დაზვერვის შედეგებს საშენი მასალების წარმოებისათვის და განსაზღვრავს ამ საბადოების დეტალური დაზვერვის მიზანშეწონილობას; მიიღებს აღნიშნული ნედლეულის დეტალურად დაზვერილ საბადოებს იმ მიზნით, რომ დააპროექტოს და ააშენოს მათ ბაზაზე ახალი საწარმოები; მოაწყობს სასარგებლო წიაღისეულთა დასამუშავებელი საბადოების რევიზიის, დამატებითი დაზვერვისა და გადაფასების სამუშაოებს;

ბ) მოაწყობს გეოლოგიურ და მარკშეიდერულ სამსახურს, უზრუნველყოფს სამთო სამუშაოების სწორად განვითარებას სამთო-მომპოვებელ საწარმოებში, სასარგებლო წიაღისეულთა ამოღების სისრულეს, განახორციელებს მარაგის მდგომარეობისა და მოძრაობის, აგრეთვე საბადოების დამუშავებისას მინერალური ნედლეულის ფაქტიური დანაკარგის აღრიცხვას;

გ) უზრუნველყოფს ქვესაუწყებო სარკინიგზო და საავტომობილო ტრანსპორტის განვითარებასა და ექსპლუატაციას; შეიმუშავებს და განახორციელებს ღონისძიებებს დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოებზე მექანიზაციის საშუალებათა ფართოდ დანერგვისათვის, უზრუნველყოფს რკინიგზის მოძრავი შემადგენლობისა და საერთო სარგებლობის საავტომობილო სატრანსპორტო საშუალებების მაღალეფექტიანად გამოყენებას;

დ) უზრუნველყოფს ექსპორტისათვის ისეთი პროდუქციის წარმოების დავალებათა შესრულებას, რომელიც საგარეო ბაზრის მოთხოვნებს დააკმაყოფილებს, მიიღებს ზომებს ექსპორტისათვის საქონლის წარმოების გასაადიდებლად;

ე) მოაწყობს მშრომელთა წერილების (საჩივრებისა და განცხადებების) დროულად და ყურადღებით განხილვას, მიაღწევს ამ წერილებში დასმული საკითხების სწორად გადაწყვეტას, აგრეთვე მიიღებს ზომებს მშრომელთა წერილებში აღნიშნულ იმ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, რასაც ადგილი აქვს სამინისტროს საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების საქმიანობაში;

ვ) მოაწყობს სოციალისტური საკუთრების და სახანძრო უსაფრთხოების წესების დაცვას სამინისტროს საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში.

7. საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს სათავეში უდგას მინისტრი, რომელსაც, საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად, ნიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, ხოლო სესიებს შორის პერიოდში — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რასაც შემდგომ დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს;

საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრს ჰყავს მოადგილეები, რომლებსაც ნიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, მოადგილეებს შორის მოვალეობას გაანაწილებს მინისტრი.

8. საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრს ეკისრება პერსონალური პასუხისმგებლობა სამინისტროზე დაკისრებული ამოცანებისა და მოვალეობათა შესრულებისათვის, იგი დააწესებს მინისტრის მოადგილეებისა და სამინისტროს განყოფილებათა ხელმძღვანელების პასუხისმგებლობას სამინისტროს საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების საქმიანობისათვის.

9. საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრი:

ა) ხელმძღვანელობას გაუწევს სამინისტროს, აგრეთვე სამინისტროს საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების საქმიანობას;

ბ) თანამდებობაზე დანიშნავს და თანამდებობიდან გაათავისუფლებს სამინისტროს ცენტრალური აპარატის მუშაკებს და სამინისტროსადმი დაქვემდებარებულ საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მუშაკებს დადგენილი ნომენკლატურის შესაბამისად;

გ) დადგენილი წესით შეიტანს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განსახილველად საშენ მასალათა მრეწველობის საკითხებზე საკანონმდებლო აქტების, დადგენილებებისა და განკარგულებების პროექტებს;

დ) სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს მოქმედი კანონების, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა და განკარგულებების, აგრეთვე სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს ბრძანებებისა და ინსტრუქციების საფუძველზე და შესასრულებლად ბრძანებებსა და ინსტრუქციებს და გასცემს სამინის-

ტროს საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მიერ შესასრულებლად სავალდებულო მითითებებს;

საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრი საჭირო შემთხვევებში გამოსცემს საქართველოს სსრ სხვა სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებთან ერთად ერთობლივ ბრძანებებსა და ინსტრუქციებს;

ე) გააუქმებს სამინისტროს განყოფილებათა ხელმძღვანელების, აგრეთვე სამინისტროს საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ხელმძღვანელების მიერ გამოცემულ ბრძანებებსა და ინსტრუქციებს, რომლებიც ეწინააღმდეგებიან სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონებს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებსა და განკარგულებებს, სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს და საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს ბრძანებებსა და ინსტრუქციებს;

ვ) შეიტანს სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროსთან შეთანხმებით ცალკეულ ცვლილებებს სამინისტროს ცენტრალური აპარატის სტრუქტურაში და დაამტკიცებს მის საშტატო განრიგს მუშაკთა რაოდენობისა და ხელფასის იმ ფონდის ფარგლებში, რაც სამინისტროს დაუწესდა ცენტრალური აპარატისათვის;

ზ) დაამტკიცებს დებულებებს სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების შესახებ, აგრეთვე დადგენილი წესით მიანიჭებს სამეურნეო ანგარიშის უფლებებს სამინისტროს განყოფილებებს;

თ) დადგენილი წესით შექმნის, გადააკეთებს და გააუქმებს სამინისტროს საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, აგრეთვე დაამტკიცებს სამინისტროსადმი დაქვემდებარებულ საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა წესდებებს (დებულებებს);

ი) დადგენილი წესით მოიწვევს აქტივის თათბირებს, რომლებზედაც განიხილავენ მოხსენებებს პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულების ღონისძიებათა შესახებ, დარგის განვითარების უმნიშვნელოვანეს პრობლემებს, აგრეთვე სამინისტროს და მისი ქვესაუწყებო საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების საქმიანობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

10. საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროში შეიქმნება კოლეგია შემდეგი შემადგენლობით: მინისტრი (თავმჯდომარე) და მინისტრის მოადგილეები თანამდებობის მიხედვით, აგრეთვე სამინისტროს სხვა ხელმძღვანელი მუშაკები.

სამინისტროს კოლეგიის წევრებს დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო;

საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო თავის სხდომებზე, რომლებიც რეგულარულად იმართება, განიხილავს რესპუბლიკის საშენ მასალათა მრეწველობის განვითარების ძირითად საკითხებს და სამინისტროს საქმიანობის სხვა საკითხებს, საწარმოებისა, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისადმი პრაქტიკული ხელმძღვანელობის, შესრულების შემოწმე-

ბის, კადრების შერჩევისა და გამოყენების საკითხებს, უმნიშვნელოვანესი ბრძანებებისა და ინსტრუქციების პროექტებს, მოისმენს სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების, სამინისტროსადმი დაქვემდებარებული საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელთა ანგარიშებს.

კოლეგიის გადაწყვეტილებანი ცხოვრებაში გატარდება, როგორც წესი, მინისტრის ბრძანებებით. მინისტრსა და კოლეგიას შორის უთანხმოების შემთხვევაში მინისტრი ცხოვრებაში გაატარებს თავის გადაწყვეტილებას და წამოჭრილი უთანხმოების შესახებ მოახსენებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, ხოლო კოლეგიის წევრებს თავის მხრივ შეუძლიათ აცნობონ თავიანთი აზრი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

11. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროში შეიქმნება სამეცნიერო-ტექნიკური საბჭო, რომელშიაც შევლენ გამოჩენილი მეცნიერები, მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, წარმოების ნოვატორები, აგრეთვე სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოებებისა და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები;

სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოს შემადგენლობას და საბჭოს დებულებას დაამტკიცებს საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრი.

12. საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო სამინისტროს საწარმოებსა, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს შორის წამოჭრილი სამეურნეო დავის განსახილველად ჰქმნის არბიტრაჟს. სამინისტროს არბიტრაჟს უფლება ენიჭება გასცეს ბრძანებები მის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებათა იძულებითი წესით შესრულების შესახებ.

არბიტრაჟის დებულებას დაამტკიცებს საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრი.

13. სამინისტროს ცენტრალური აპარატის სტრუქტურას და მუშაკთა რაოდენობას დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროსთან შეთანხმებით;

14. საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს აქვს ბეჭედი, რომელზედაც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი და თავისი სახელწოდება.

56 აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ადგილობრივი მრეწველობის სამმართველოების ორგანოების სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

მიღებულ იქნას საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის წინადადება და ნება დაერთოს მათ გადაიყვანონ სამეურნეო ანგარიშზე აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროები, აგრეთვე სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ადგილობრივი მრეწველობის სამმართველო.

სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანილი სამინისტროებისა და სამმართველოს აპარატების შენახვის ხარჯები გაწეულ იქნას ქვესაუწყებო საწარმოთა ანარიცხებიდან.

გადაყვანა განხორციელდეს 1969 წლის 1 ოქტომბრიდან პერსონალის იმ რაოდენობისა და ხელფასის ფონდის ფარგლებში, რაც დამტკიცებულია 1969 წლისათვის, ისე, რომ უცვლელი დარჩეს ბიუჯეტთან ურთიერთობა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **გ. ჩოგოვაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1969 წლის 27 ივნისი, № 375.

57 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 17 იანვრის № 40 დადგენილებასთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებების შეცვლისა და ნაწილობრივ გაუქმების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ნაწილობრივ ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 14 ივლისის № 427 დადგენილება „შავი ზღვის სანაპიროს 1,5-კილომეტრიან ზოლში ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების განაშენიანების დროებითი წესების შესახებ“ და ამ დადგენილებით დამტკიცებული „დროებითი წესები“, გარდა მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა.

დაევალოთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იურიდიულ კომისიას და საქართველოს სსრ სახმშენს დამატებით განიხილონ „დროებითი

წესების“ მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საკითხი მისი მოქმედების ფარგლებში და თავიანთი წინადადებანი წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

2. დამტკიცდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა თანდართული ცვლილებანი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ბ. ჩოგოვაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1969 წლის 27 ივნისი, № 376.

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1969 წლის 27 ივნისის № 376
დადგენილებით

ცვლილებანი,

რომლებიც შეტანილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 17 იანვრის № 40 დადგენილებასთან დაკავშირებით

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 8 ოქტომბრის № 705 დადგენილებაში „საქართველოს სსრ შავი ზღვის სანაპიროს განაშენიანების მოწესრიგების შესახებ“:

მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში სიტყვები: „როგორც საკურორტო ზონაში, ისე საკოლმეურნეო მიწებზე, რომლებიც უშუალოდ ეკვრიან მათ“, — შეიცვალოს სიტყვებით: „შავი ზღვის სანაპიროს სამკილომეტრიან ზონაში“.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 31 ივლისის № 474 დადგენილებაში „საქართველოს სსრ ქალაქებსა და დაბებში მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთების გამოყოფის მოწესრიგების შესახებ“:

პირველ პუნქტში სიტყვები: „1,5-კილომეტრიან“ — შეიცვალოს სიტყვით: „სამკილომეტრიან“ და შემდეგ სიტყვებისა „შავი ზღვის სანაპიროს“ — დაემატოს სიტყვები: „რომელშიაც მშენებლობა უნდა ხორციელდებოდეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 17 იანვრის № 40 დადგენილების შესაბამისად“ და შემდეგ როგორც ტექსტშია.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 5 ნოემბრის № 636 დადგენილებაში „ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის შესახებ“:

ა) მე-2 პუნქტში სიტყვები: „ამ ზონების ტერიტორიაზე“ შეიცვალოს სიტყვებით: „სამკილომეტრიან ზონაში“;

ბ) ძალადაკარგულად ჩაითვალოს მე-2 პუნქტის მეორე აბზაცი.

58 სოციალისტური სახელმწიფო საწარმოს დებულების საქართველოს სსრ რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების სამშენებლო ორგანიზაციების მიმართ გამოყენების თავისებურებათა შესახებ

შესაბამისად სოციალისტური სახელმწიფო საწარმოს დებულებისა (მე-3 პუნქტი), რომელიც დამტკიცებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 4 ოქტომბრის № 731 დადგენილებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

დაწესდეს, რომ სახელმწიფო სოციალისტური საწარმოს დებულება გამოიყენება საქართველოს სსრ რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების სამშენებლო ორგანიზაციების მიმართ, დანართის თანახმად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **გ. ჩოგოვაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1969 წლის 30 ივნისი, № 380.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1969 წლის 30 ივნისის № 380
დადგენილების დანართი

თავისებურებანი სოციალისტური სახელმწიფო საწარმოს დებულების გამოყენებისა საქართველოს სსრ რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების სამშენებლო ორგანიზაციების მიმართ

1. სოციალისტურ სახელმწიფო საწარმოებს (ორგანიზაციებს) მიეკუთვნებიან სამეურნეო ანგარიშზე მყოფი, საწესდებო ფონდის მქონე, დამოუკიდებელ ბალანსზე არსებული და იურიდიულ პირად ცნობილი:

სამშენებლო, სამშენებლო-სამონტაჟო, სამონტაჟო, სპეციალიზებული სამმართველოები (უბნები) და მათთან გათანაბრებული ორგანიზაციები (სამშენებლო-სამონტაჟო, ხიდმშენებელი და სარემონტო-სამშენებლო მატარებლები, მოძრავი მექანიზებული კოლონები, მექანიზაციის სამმართველოები, ამუშავება-აწყობის სამმართველოები, სარემონტო-სამშენებლო სამმართველოები, კანტორები და სხვ.).

ტრესტები, ტრესტ-მოედნები, ქალაქის ტიპის ტრესტები და მათთან გათანაბრებული ორგანიზაციები (სამშენებლო სამმართველოები, სახლმშენებლობის და ქარხანათმშენებლობის კომბინატები და სხვ.), რომელთა გამგებლობაში იმყოფებიან არადამოუკიდებელი საწარმოები, სამშენებლო, სამშენებლო-სამონტაჟო, სამონტაჟო და სპეციალიზებული სამმართველოები (უბნები) და მათთან გათანაბრებული ორგანიზაციები, აგრეთვე პოლიგონები, ბეტონხსნარის კვანძები, სატრანსპორტო და სხვა საწარმოო ერთეულები, რომელთა მიმართ ტრესტები ახორციელებენ საწარმოს უფლებებსა და მოვალეობას.

დამოუკიდებელი საწარმოების (სამშენებლო, სამშენებლო-სამონტაჟო, სამონტაჟო, სპეციალიზებული სამმართველოების, უბნების და სხვ.) მიმართ ტრესტები და მათთან გათანაბრებული ორგანიზაციები მოქმედებენ, როგორც სამეურნეო მმართველობის ორგანო.

2. სამშენებლო, სამშენებლო-სამონტაჟო, სამონტაჟო და სპეციალიზებული საწარმოები (ორგანიზაციები) ასრულებენ სათანადო ხარისხის სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოებს პროექტის, სამშენებლო ნორმებისა და წესების შესაბამისად და დადგენილი წესით ატარებენ მათ მიერ დამონტაჟებული მოწყობილობის ინდივიდუალურ გასინჯვასა და გამოცდას, დროზე გამოასწორებენ სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოთა მიღების პროცესში გამოვლინებულ ნაკლოვანებებსა და დეფექტებს, შექმნიან საწარმოო სიმძლავრეებს და დადგენილი წესით ჩააბარებენ შემკვეთებს იმ ობიექტებს (საწარმოებს, მათ ცალკეულ რიგებს, ასამუშავებელ კომპლექსებს, შენობებსა და ნაგებობებს), რომელთა მშენებლობა დამთავრებულია, მოწყობილობის კომპლექსური გასინჯვის ჩასატარებლად და პროდუქციის გამოშვების დასაწყებად.

3. სამშენებლო საწარმოებს (ორგანიზაციებს) უფლება აქვთ იმ სამინისტროებისათვის (უწყებებისათვის) შეტყობინების შემდეგ, რომელთა შემადგენ-

ლობაში ისინი შედიან, მიიღონ სხვა საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა შესრულების შეკვეთები იმ პირობით, თუ დაფინანსებული იქნება ეს სამუშაოები, გადასცემს შემკვეთი შრომის ლიმიტებს, საჭირო მასალებს ან ფონდებს, თუ ეს ზიანს არ მიაყენებს მათთვის დაწესებული სახელმწიფო გეგმისა და სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულებას.

4. წინა კვარტალებში მიღებული ხელფასის საერთო ფონდის ეკონომიის გამოყენებაში სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციები ხელმძღვანელობენ საწარმოო სიმძლავრეთა და მშენებლობის ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემისათვის მუშათა დაჯილდოების შესახებ არსებული დებულებით (პუნქტი 30), რომელიც დამტკიცებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის 1968 წლის 17 ოქტომბრის № 331/II-23 ერთობლივი დადგენილებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინდექსი — 76187

СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 3 1969 год

გამომცემელი: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისია

ქაღალდის ფორმატი 70 × 108¹/₁₆,
ნაბეჭდი თაბახი 5,5, სააღრიცხვო თაბახი 4,97.

წლიური ხელმოწერის ფასი 3 მან.

ტირაჟი 2450 შეკვეთა № 813

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა.